შპს „თეგეტა მოტორსი“

2023 წლის
კონსოლიდირებული
მმართველობითი ანგარიშგება

ვახტანგ კაჭარავა
აღმასრულებელი დირექტორი

მაკა გურული
მთავარი ბუღალტერი

შპს „თეგეტა მოტორსი“

2023 წლის
კონსოლიდირებული
მმართველობითი ანგარიშგება

ვახტანგ კაჭარავა
აღმასრულებელი დირექტორი

მაკა გურული
მთავარი ბუღალტერი

Deloitte.

შპს დელოიტი და ტუში
საიდენტიფიკაციო კოდი: 204422240
ბიზნეს ცენტრი სითი თაუერი
ვაჟა-ფშაველას გამზ. 70
თბილისი, 0186, საქართველო

ტელ: +995 (32) 224 45 66
ფაქსი: +995 (32) 224 45 69
deloitte.ge

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

შპს „ თეგეტა მოტორსის“ აქციონერებს და მენეჯმენტს

ჩვენ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2024 წლის 15 მაისს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია კონსოლიდირებულ წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

აუდიტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს

შოთა ნანიტაშვილი (რეგ# SARAS-A-957146)

შპს „დელოიტი და ტუშის“ სახელით (რეგ# SARAS-F-107265)

Deloitte & Touche

2024 წლის 15 მაისი

თბილისი, საქართველო

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას ("DTTL"), მისი წევრი კომპანიების გლობალურ ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს (ერთობლივად „ორგანიზაცია დელოიტი“). DTTL (რომელიც ასევე მოიხსენება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი") და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს, რომელთაც არ აქვთ უფლება აიღონ ერთმანეთის ვალდებულებები მესამე პირთან მიმართებაში. DTTL და მისი ყოველი წევრი კომპანია და მასთან დაკავშირებული ორგანიზაცია პასუხისმგებელია მხოლოდ საკუთარ და არა ერთმანეთის ქმედებებსა და უმოქმედობებზე. DTTL კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს www.deloitte.com/about.

© 2024 შპს დელოიტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.

შპს დელოიტი და ტუში
საიდენტიფიკაციო კოდი: 204422240
ბიზნეს ცენტრი სითი თაუერი
ვაჟა-ფშაველას გამზ. 70
თბილისი, 0186, საქართველო

ტელ: +995 (32) 224 45 66
ფაქსი: +995 (32) 224 45 69
deloitte.ge

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

შპს „ თეგეტა მოტორსის“ აქციონერებს და მენეჯმენტს

ჩვენ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2024 წლის 15 მაისს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია კონსოლიდირებულ წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

აუდიტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს

შოთა ნანიტაშვილი (რეგ# SARAS-A-957146)

შპს „დელოიტი და ტუშის“ სახელით (რეგ# SARAS-F-107265)

2024 წლის 15 მაისი

თბილისი, საქართველო

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას ("DTTL"), მისი წევრი კომპანიების გლობალურ ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს (ერთობლივად „ორგანიზაცია დელოიტი“). DTTL (რომელიც ასევე მოიხსენება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს, რომელთაც არ აქვთ უფლება აიღონ ერთმანეთის ვალდებულებები მესამე პირთან მიმართებაში. DTTL და მისი ყოველი წევრი კომპანია და მასთან დაკავშირებული ორგანიზაცია პასუხისმგებელია მხოლოდ საკუთარ და არა ერთმანეთის ქმედებებსა და უმოქმედობებზე. DTTL კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს www.deloitte.com/about.

© 2024 შპს დელოიტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.

სარჩევი

ჯგუფის მიმოხილვა და ისტორია 1
გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემები 3
ჯგუფის წინაშე არსებული ძირითადი რისკები და გაურკვევლობები 6
„თეგეტას ჯგუფის“ კორპორაციული მართვის ანგარიშგება 6
შპს „თეგეტა მოტორსის“ კორპორაციული მართვის კოდექსის მიმოხილვა 9
სებ-ის მიერ დადგენილ კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის აღწერა 9
კორუფციისა და მექრთამეობის საწინააღმდეგო პოლიტიკა, თანამშრომელთა და ადამიანის უფლებების დაცვა 12
შიდა კონტროლების მიმოხილვა 13
ბიზნესი და ოპერაციები 14
შვილობილი კომპანიების მიმოხილვა 18
ბრენდები 20
ჯგუფის 2023 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და სამომავლო გეგმები 21
ჯგუფის სტრატეგიული განვითარება 24
ჯგუფის ფინანსური შედეგების მიმოხილვა 25
ჯგუფის პასუხისმგებელი პირების განცხადება 27

ჯგუფის მიმოხილვა და ისტორია

თეგეტა მოტორს ჯგუფი („ჯგუფი“) დღეს ლიდერია საავტომობილო პროდუქტებისა და მომსახურების დარგში. ის წარმოადგენს უნივერსალურ კომპანიას, რომელიც მოღვაწეობს სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების, სასოფლო, სამშენებლო და სამრეწველო დანიშნულების ტექნიკით, სათადარიგო ნაწილებით, საპოხი მასალებით, საბურავებით ვაჭრობისა და ტექნიკური მომსახურების სფეროში. ჯგუფი კორპორატიულ და საცალო კლიენტებს სთავაზობს მაღალი ხარისხის ავტო-პროდუქტებისა და სერვისის ფართო სპექტრს. მისი საქმიანობა რამდენიმე ბიზნეს მიმართულებად იყოფა, ესენია ავტო-საბურავები, ავტონაწილები, აკუმულატორები, საცხებ-საპოხი მასალები, დანადგარები და ავტოტექმომსახურება.

ჯგუფი ემსახურება როგორც საცალო, ისე კორპორატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციებს, გამოირჩევა დახვეწილი სავაჭრო ინფრასტრუქტურით და აერთიანებს 26 სერვის-ცენტრს, რომლებიც თბილისსა და საქართველოს დიდ ქალაქებში მდებარეობს. ჯგუფის ფილიალები და სერვის ცენტრები მოიცავენ საქართველოს ყველა მსხვილ დასახლებულ პუნქტს.

უმაღლესი დონის სერვისმა და საერთაშორისო სტანდარტების სერვის-ცენტრებმა განაპირობა ის, რომ შპს „თეგეტა მოტორსს“, პირველად საქართველოში, ავტომობილების გაყიდვისა და მომსახურების სფეროში აღებული აქვს ISO სერთიფიკატები. ჯგუფმა 2016 წელს მიიღო ISO 9001:2015 სერთიფიკატი ხარისხის მენეჯმენტის სისტემის კუთხით. 2023 წლის ბოლოს ჯგუფმა წარმატებით გაიარა გარე საკონტროლო აუდიტი ხარისხის მენეჯმენტის სისტემის კუთხით და მიიღო ISO 9001:2015 სერთიფიკატის 2027 წლის 31 იანვრამდე გამოყენების უფლება. 2020 წლის შუა პერიოდში ჯგუფმა წარმატებით გაიარა C ტიპის ინსპექტირების ორგანოს მიერ ჩატარებული გარე საკონტროლო აუდიტი და მიიღო სერთიფიკატი, რომ ჯგუფი აკმაყოფილებს საქართველოს ავტოინდუსტრიის სტანდარტებს. 2021 წელს შპს “თეგეტა თრაქ ენდ ბასმაც“ წარმატებით გაიარა სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის“ გარე აუდიტი და C ტიპის ინსპექტირების ორგანომ მოიპოვა აკრედიტაცია - მიიღო სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის სერთიფიკატი.

ბიზნეს-პროცესების ავტომატიზაციისა და მუშაობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ჯგუფმა 2009 წელს დამოუკიდებლად დანერგა ბიზნესის მართვისა და ბიზნეს-პროცესების ადმინისტრირების ავტომატიზებული თანამედროვე პროგრამა ,,SAP”, რომელიც ყოველწლიურად ვითარდება.

2018 წლის სექტემბერში ჯგუფმა დანერგა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მართვის (ISO 45001:2018) და გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემები (ISO 14001:2015). 2021 წლის ბოლოს ჯგუფმა წარმატებით გაიარა გარე საკონტროლო აუდიტი ზემოთაღნიშნული სისტემების კუთხით და მიიღო სერთიფიკატების 2024 წლის 27 დეკემბრის და 22 ოქტომბრის (შესაბამისად) ჩათვლით გამოყენების უფლება.

2020 წელს ჯგუფმა დაიწყო გადაწყობა ეჯაილ საოპერაციო მოდელზე. ეს მოდელი გულისხმობს ჯგუფის სტრუქტურის სრულ ცვლილებას (დეტალური ინფორმაცია სტრუქტურულ ცვლილებებზე მოცემულია ჯგუფის ბიზნეს მოდელისა და კორპორატიული მართვის ნაწილში). ჯგუფი ორიენტირებულია მომხმარებელსა და მასთან დაკავშირებულ მიზნებზე. დეპარტამენტების ფუნქციონალური დაყოფის ნაცვლად, ვიღებთ სურვილისამებრ კონკრეტული მიზნის გარშემო გაერთიანებულ გუნდებს, რომლებიც, შეძლებისდაგვარად, დაკომპლექტებულია განსხვავებული კომპეტენციის მქონე ადამიანებით.

ჯგუფის მოცემულ სტრუქტურაზე გადასვლა ბიზნესის პროცესების ოპტიმიზაციისა და საოპერაციო ეფექტურობის ამაღლების საწინდარია. ისტორიულად ჯგუფის ბიზნეს მოდელი ეფუძნება იდეას, მოემსახუროს ყველა ტიპის მომხმარებელს, განურჩევლად ავტომობილის ბრენდისა, მოდელის ან წლოვანებისა. შესაბამისად, აღნიშნული მოდელი მოითხოვს რამდენიმე მიმართულების ერთდროულ მართვას, ხოლო თავის მხრივ, მიმართულებები აერთიანებს სხვადასხვა ბრენდებსა და გაყიდვების არხებს, რაც ერთობლიობაში წარმოქმნის კომპლექსურ ორგანიზაციულ სტრუქტურას.

ამასთანავე, წლების განმავლობაში ბაზარზე წარმატებულმა საქმიანობამ განაპირობა ჯგუფის მასშტაბების ზრდა, რაც თავისთავად წარმოშობს რისკებს, რომ ცენტრალიზებული ორგანიზაციული მართვის პირობებში რიგი პროცესების ეფექტურობა და ეფექტიანობის ხარისხმა შეიძლება დაიწიოს. სწორედ ასეთი შედეგების თავიდან ასაცილებლად მოახდინა ჯგუფმა ეჯაილ ტრანსფორმაცია.

მოცემული მოდელი განაპირობებს თანამშრომელთა მოტივაციისა და შრომისუნარიენობის ამაღლებას, რადგან მის პირობებში გადაწყვეტილების მიღება არის დეცენტრალიზებული და ადამიანური კაპიტალი თვითორგანიზებადი გუნდის წევრებს წარმოადგენს. გაცილებით მარტივად ხდება პრიორიტეტების დალაგება ბიზნეს ერთეულების დონეზე, რაც ბაზარზე უფრო მოქნილად მოქმედების საშუალებას იძლევა. ამასთან ერთად ჯგუფის მენეჯმენტს უმარტივდება მთლიანი სურათის აღქმა, შეფასება და საჭიროების შემთხვევაში დროული რეაგირება.

ჯგუფი ოპერირებს შვილობილი კომპანიების მეშვეობით, რომელთა შესახებ დეტალური ინფორმაცია აღწერილია სექციაში – შვილობილი კომპანიების მიმოხილვა.

ჯგუფს 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული ჰყავდა 2 600-ზე მეტი ადამიანი.

გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემები

ჯგუფის მისიაა საქმიანობა წარმართოს ისე, რომ გაუფრთხილდეს და ზიანი არ მიაყენოს გარემოს, რისთვისაც უზრუნველყოფს ეკოლოგიური მიმართულებით წარმოქმნილი უარყოფითი ზეგავლენის პრევენციას.

გარემოს დაცვის მიმართულებით ჯგუფის მიზანია:

- ტექნიკური ინფრასტრუქტურისა და შიდა პროცესების გაუმჯობესებაზე მუდმივად ზრუნვა;
- პერსონალის კვალიფიკაციის, მოტივაციისა და გაცნობიერების/ჩართულობის ამაღლება;
- ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული და საკანონმდებლო აქტების დაცვა;
- მენეჯმენტის სისტემის ფუნქციონირების მუდმივი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულებით რისკების შემცირება.

ჯგუფი ზრუნავს საკუთარ იმიჯზე, ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ნდობის მოპოვებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, მისი საქმიანობიდან და სოციალური პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, ჯგუფი ვალდებულებას იღებს, ადგილობრივი საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით, მუდმივად გააუმჯობესოს გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემა და მისი ფუნქციონირების ეფექტურობა, რაც ძირითად საფუძველს წარმოადგენს შიდა მოხმარების ბუნებრივი რესურსების გაფრთხილებისა და მაქსიმალურად დაზოგვისათვის.

2018 წლის სექტემბერში ჯგუფმა დანერგა გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემები (ISO 14001:2015).

ISO 14001 არის საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც განსაზღვრავს მოთხოვნებს გარემოსდაცვითი მართვის სისტემისთვის. ის ეხმარება ორგანიზაციებს გააუმჯობესონ თავიანთი გარემოსდაცვითი საქმიანობა რესურსების უფრო ეფექტურად გამოყენების გზით და ნარჩენების შემცირებით, კონკურენტუნარიანი უპირატესობითა და დაინტერესებული მხარეთა ნდობით.

გარემოს დაცვის მიმართულებით ჯგუფმა შემდეგი მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელა:

- **მწვანე არჩევანი** - შპს „ტოიოტა ცენტრი თეგეტა“ 2019 წლიდან გლობალურ პროექტში - „ეკოგამოწვევა 2050“ ჩაერთო და კამპანიით - „მწვანე არჩევანი“ ჰიბრიდული ავტომობილების გაყიდვების წახალისებას შეუდგა. კამპანიის ფარგლებში ყველა, ვინც „ტოიოტა ცენტრ თეგეტაში“ ჰიბრიდული ძრავით აღჭურვილ მოდელს შეიძენს, „მწვანე გზის კლუბის“ წევრი ხდება. ჯგუფი მათ სახელზე აჯამეთის დაცულ ტერიტორიაზე იმერულ მუხას რგავს, რომელიც გადაშენების პირას მყოფი და წითელ ნუსხაში შეტანილი ჯიშია. ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენი მომხმარებლის სახელით აჯამეთში 1000–მდე მუხა დაირგო.

- **ნულოვანი ემისია** - ჯგუფი მუდმივად ცდილობს ჰაერის დაბინძურების პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლაში თავისი წვლილის შეტანას. შვილობილი კომპანია - შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსი“ რეგიონის მასშტაბით ელექტროავტომობილების სერვისის პირველი ჰაბია. ჯგუფი მომხმარებელს მის ტერიტორიაზე დამონტაჟებულ მანქანების ელექტროდამტენებს სთავაზობს, რაც სწრაფი დამუხტვის საშუალებას იძლევა. დამატებით, დამტენები თბილისის რამდენიმე ობიექტსა და საქართველოში არსებული ცნობილი ქსელური სასტუმროების ტერიტორიაზეა

ხელმისაწვდომი. ასევე „თეგეტა მოტორსის“ ცენტრალური ფილიალის სერვისცენტრში გამოყოფილია ელექტრო სატვირთო მანქანები, რომლებიც შიდა პერიმეტრზე ავტონაწილების გადასატანად გამოიყენება.

- **ნარჩენების მართვა** - გარემოზე მავნე ზემოქმედების შესამცირებლად ჯგუფის ერთ-ერთი მიმართულება ნარჩენების მართვა და გადამუშავებაა.
  საუბარია ავტომობილების ნაწილებისა და პროდუქციის დახარისხებასა და გადამუშავებაზე (ფილტრის მასალები, მეორადი ზეთები, საბურავები და აკუმულატორები). ნარჩენების მართვა და გადამუშავება ჯგუფის ყოველდღიურობის ნაწილია, თუმცა პროცესის სრულყოფილი და ეფექტიანი მართვისთვის ჰოლდინგის შემადგენლობაში კომპანია **Tegeta Green Planet** გაჩნდა. კომპანია ერთ-ერთი პირველია საქართველოში, რომელმაც ეს ვალდებულება აიღო და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსაგან ავტორიზაცია მოიპოვა. Tegeta Green Planet საავტომობილო პროდუქტების მართვისა და სერვისის შემდგომ მიღებული ნარჩენების გადამუშავებაზე იღებს ვალდებულებას. უსარგებლო ნაწილები რეციკლირების იმ ობიექტებს გადაეცემა, რომელთაც შესაბამისი ლიცენზიები აქვთ.

- **ქაღალდის გადამუშავება** - ქაღალდის გადამუშავების მიმართულებით, ჯგუფი აქტიურად თანამშრომლობს გამომცემლობა „პალიტრა L“-თან. მათი პროექტის - „მაკულიტერატურა“ - ფარგლებში, ჯგუფის თანამშრომლები ქაღალდებს „მწვანე ყუთებში“ აგროვებენ. მაკულატურა ქაღალდის გადამამუშავებელ საწარმოს გადაეცემა. თანამშრომლობის ფარგლებში „პალიტრა L“ ჯგუფს წიგნის ვაუჩერებს გადასცემს. წიგნებს თავისი ადრესატი ჰყავს - ჯგუფი გამოცემებს საჩუქრად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ბავშვებთან გზავნის.

- **ქაღალდის მოხმარების შემცირება** - ჯგუფმა გარემოზე ზრუნვის მიმართულებით ქაღალდის მოხმარების შესამცირებლად მომხმარებელთან კომუნიკაციის სისტემა შეცვალა. ჯგუფის სერვის- ცენტრებში მისულ მომხმარებელს კონკრეტული პროდუქციის ან სერვისის მიღებისას საკმაოდ ხშირად უხდებოდა ფურცლის გამოყენება. 2021 წლიდან ჯგუფის სერვისების ნაწილი გაციფრულდა და მომხმარებლები ახლა საჭირო დოკუმენტაციას მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით იღებენ. სამომავლოდ, ქაღალდის მოხმარების შესამცირებლად, ჯგუფი სისტემის სრულად გაციფრულებას გეგმავს.

- **ენერგო ეფექტურობა** - ჯგუფი მცირე, საშუალო თუ დიდ სამშენებლო პროექტებს თანამედროვე სტანდარტით ახორციელებს, რა დროსაც ხარისხის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი სწორედ ენერგოეფექტურობაა. ამ მიმართულებით ჯგუფმა აიღო EDGE-ის სერტიფიკატი, რომელიც სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC-ს) მიერ შემუშავებული EDGE-ს კრიტერიუმებს, რომელიც მწვანე შენობების, ენერგო და რესურს ეფექტურობის ინოვაციური შეფასების ინტრუმენტს წარმოადგენს.

- **პოლივიმი** - ჯგუფმა დაიწყო თანამშრომლობა რუსთავში მდებარე საწარმო „პოლივიმთან“, რომელიც გადამუშავების მიზნით ნედლეულის სახით მოიხმარს პოლიეთილენ-ტერეფტალატის (PET) მეორად ბოთლებს. პარტნიორობის ფარგლებში, ჯგუფის ოფისებსა და სერვის ცენტრებში განთავსდება სპეციალური ყუთები, სადაც შეგროვებული მეორეული პლასტმასის ბოთლებისგან პოლივიმის საწარმოში გადამუშავებული ნედლეული დამზადდება.

- **დასუფთავების საერთაშორისო დღე** - ჰოლდინგისა და მისი შვილობილი კომპანიების თანამშრომლებმა 2022 წელს თბილისში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბუნებრივად გამწვანებული ტერიტორიის, დიღმის ჭალების, დასუფთავებაზე იზრუნეს. მსოფლიო დასუფთავების დღის აქცია პოლივიმის, „პარკი არ მინდა“-სა და დიღმის ჭალების გარემოსდაცვითი მუზეუმის მხარდაჭერით გაიმართა.
თეგეტა ჰოლდინგის თანამშრომლების მიერ შეგროვებული ნარჩენები გადასამუშავებლად პარტნიორ ორგანიზაციებს გადაეცათ.

ჯგუფის წინაშე არსებული ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ჯგუფის და მისი შვილობილი კომპანიების საქმიანობა ძირითადად კონცენტრირებულია საქართველოში. ვინაიდან ქვეყანა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი ბაზარია, მას არ აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში საქმიანობა შესაძლოა მოიცავდეს რისკებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე, მათ შორის რისკს, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, არსებობს ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის რისკები - სავალუტო რისკები.

ჯგუფი საკრედიტო რისკს გასწევს იქიდან გამომდინარე, რომ არსებობს სხვაობა ყიდვა-გაყიდვისა და სესხების ვალუტებსა და ჯგუფის სამუშაო ვალუტებს შორის. ჯგუფის სამუშაო ვალუტა უპირატესად ქართული ლარია („ლარი“). ვალუტა, რომელშიც ეს ოპერაციები უმეტესწილად არის გამოხატული არის აშშ დოლარი, ევრო, ბრიტანული გირვანქა-სტერლინგი და იაპონური იენი. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანია გარიგებები აშშ დოლარსა და ევროში.[1]

„თეგეტას ჯგუფის“ კორპორაციული მართვის ანგარიშგება

შპს „თეგეტა მოტორსი“ (შემდგომში - „კომპანია“) წარმოადგენს ჰოლდინგურ კომპანიას, რომელიც აერთიანებს 30-მდე შვილობილ კომპანიას („თეგეტა მოტორსი“ და მისი შვილობილი კომპანიები ერთობლივად მოხსენიებული როგორც „თეგეტას ჯგუფი“/“ჯგუფი“). მისი კორპორაციული მართვის სისტემა შედგება როგორც უშუალოდ კომპანია ,,თეგეტა მოტორსის“ მართვის სტრუქტურის, ისე მისი შვილობილი კომპანიებისაგან, რომლებსაც აქვთ დამფუძნებელი კომპანიისგან დამოუკიდებელი მართვის სისტემა.

„თეგეტას ჯგუფის“ კორპორაციული მართვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით, მათ შორის, კომპანიის კორპორაციული მართვა შესაბამისობაშია საქართველოს ეროვნული ბანკის 2021 წლის 07 დეკემბრის N172/04 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსთან“ და მის საფუძველზე კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ „კორპორაციული მართვის კოდექსთან“ („სებ-ის მიერ დადგენილი კოდექსი“), რომლითაც დადგენილია „ჯგუფის“ მართვის ძირითადი პრინციპები, კონტროლის ერთიანი სისტემა, მმართველ ორგანოებს შორის უფლებებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილების წესი, გადაწყვეტილებების მიღებისა და კომპანიის საქმიანობის მონიტორინგთან დაკავშირებული წესები და პროცედურები.

„ჯგუფში“ დანერგილია შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა, რაც უზრუნველყოფს ზუსტი და სარწმუნო ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესს. „თეგეტას ჯგუფში“ კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებულ შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო კომპანიისა და შვილობილი კომპანიების დირექტორები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შიდა მარეგულირებელ დოკუმენტების მათი მართვის სფეროში მყოფ კომპანიებში დანერგვა და ეფექტიანი შესრულება.

შპს „თეგეტა მოტორსში“ მმართველ ორგანოებს წარმოადგენს: პარტნიორთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო, ხელმძღვანელი პირები.

➢ **პარტნიორთა საერთო კრება** - კომპანიის მართვის უმაღლესი ორგანოა, რომლის მუშაობას წარმართავენ კომპანიის პარტნიორები, საქართველოს კანონმდებლობითა და კომპანიის წესდებით განსაზღვრული წესით; შპს „თეგეტა მოტორსის“ ჰყავს ორი პარტნიორი, კერძოდ, 98,78 წილის მესაკუთრეა შპს „თი ჯი ემ ჯგუფი“ (ს/ნ: 405347058), ხოლო 1,22 % წილის მესაკუთრეა ფიზიკური პირი, ბატონი თემურ კოხოძე (პ/ნ: 42001000456). პარტნიორთა უფლებები და კომპეტენციის ფარგლები განსაზღვრულია კომპანიის წესდებითა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით. პარტნიორთა კრება წესდებით განსაზღვრულ სხვა საკითხებთან ერთად პასუხისმგებელია შემდეგი საკითხების გადაწყვეტაზე:

- საზოგადოების ქონების პარტნიორთა შორის განაწილება;
- პარტნიორის გარიცხვა და გასვლა საზოგადოებიდან;
- სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა/გაუქმება, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის დანიშვნა/გამოწვევა, უფლებამოსილების ვადის განსაზღვრა, ვადის გაგრძელება, ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა;

[1] დეტალური ინფორმაცია ჯგუფის მიერ ფინანსური რისკების მართვის შესახებ მოცემულია 2023 წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

- საზოგადოების რეორგანიზაცია, დაშლა;
- საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმებაში ცვლილება/წესდების ახალი რედაქციის მიღება.
- წარმოების ახალი სახეებისა და/ან ახალი სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა;
- სხვა საზოგადოებაში ინვესტიციების განხორციელება, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება ერთ მილიონ აშშ დოლარს;

პარტნიორთა მორიგი რიგგარეშე მოწვევის უფლება აქვს: პარტნიორს/პარტნიორებს, სამეთვალყურეო საბჭოს ან/და აღმასრულებელ დირექტორს.

პარტნიორთა გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტი, თუ კომპანიის წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. პარტნიორის ხმების რაოდენობა გამოითვლება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალში ამ პარტნიორის წილის მიხედვით.

- **სამეთვალყურეო საბჭო** - კომპანიის მართვის უმაღლესი ორგანოს - პარტნიორთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით განსაზღვრული შემადგენლობით მოქმედი კოლეგიური ორგანოა, რომელიც შექმნილია კომპანიის ხელმძღვანელი პირების საქმიანობის კონტროლის განხორციელების მიზნით და საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობით, კომპანიის წესდებითა და სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად. მიმდინარედ სამეთვალყურეო საბჭო შედგება 8 (რვა) წევრისგან, რომელთაგან 2 (ორი) დამოუკიდებელი პირია. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი აირჩევა საერთო კრების მიერ კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით.

სამეთვალყურეო საბჭოს ყოველი წევრი აირჩევა არაუმეტეს 3 წლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა მისი ამოწურვის შემდეგ ავტომატურად გრძელდება საერთო კრების ჩატარებამდე და ამ კრებაზე ახალი წევრების არჩევამდე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება არჩეულ იქნენ ახალი ვადით.

საბჭოს შემადგენლობა, მათი კომპეტენციები, უნარები და გამოცდილება ადეკვატურია საზედამხედველო მოვალეობების შესრულებისათვის, კომპანიის მიმართულების და სტრატეგიის შესამუშავებლად. საბჭოს თითოეულ ინდივიდუალურ წევრს გააჩნია საჭირო გამოცდილება, ცოდნა, კვალიფიკაციები, ექსპერტული გამოცდილება და პატიოსნება, რომ ეფექტურად განახორციელოს საბჭოს წევრის მოვალეობები და გააუმჯობესოს საბჭოს უნარი, ემსახუროს კომპანიის და მისი პარტნიორების გრძელვადიან ინტერესებს. საბჭოს ხელმძღვანელობს წევრთა მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს წევრთა მიერ არჩეული მოადგილე.

სამეთვალყურეო საბჭო წესდებით განსაზღვრულ სხვა საკითხებთან ერთად პასუხისმგებელია შემდეგი საკითხების გადაწყვეტაზე:

- რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემების დამტკიცება და მათი ეფექტური ფუნქციონირების ზედამხედველობა;
- ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკის განსაზღვრა;
- ფინანსური დაგეგმარების და ანგარიშგების საერთო სტანდარტების დამტკიცება;
- საზოგადოების კორპორატიულ მართვასთან დაკავშირებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების დამტკიცება, დირექტორთა კომპეტენციის სფეროების გამიჯვნა და ამ მიზნით შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტაციის შემუშავება, დამტკიცება და დირექტორებს შორის კომპეტენციის განაწილების საკითხებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;
- საზოგადოების წლიური ბიუჯეტის დამტკიცება;
- წლიური ანგარიშის განხილვა და დასამტკიცებლად წარდგენა საერთო კრებისათვის, ასევე მოგების განაწილების წინადადების წარდგენა საერთო კრებისათვის;
- დირექტორების დანიშვნა და გამოწვევა, მათთან ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა, აგრეთვე მათი ანგარიშების დამტკიცება, დირექტორების საქმიანობაზე ზედამხედველობის გაწევა (კონტროლი) და ამ მიზნით, საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ანგარიშების გამოთხოვა;
- საზოგადოების ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

მიმდინარედ, სამეთვალყურეო საბჭოს ფარგლებში შექმნილია აუდიტის კომიტეტი 3 (სამი) წევრის შემადგენლობით, რომელსაც თავმჯდომარეობს დამოუკიდებელი წევრი.

➢ **დირექტორები** - კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირები, რომლებიც ინიშნებიან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობით, კომპანიის წესდებით, პარტნიორთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, აგრეთვე, მათთან გაფორმებული სასამსახურო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს.
მიმდინარედ, შპს „თეგეტა მოტორსს“ ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული ექვსი დირექტორი:

- აღმასრულებელი დირექტორი;
- სპეციალური დანიშნულების და ინდუსტრიული ტექნიკის დირექტორი;
- საავტომობილო პროდუქტების და სერვისის მიმართულების დირექტორი;
- მსუბუქი ავტომობილების გაყიდვების დირექტორი;
- საერთაშორისო ქსელის განვითარების დირექტორი;
- კომერციული ტექნიკის და ავტობუსების დირექტორი.

თითოეული დირექტორი ხელმძღვანელობს ჯგუფის იმ სტრატეგიულ ბიზნეს მიმართულებას, რომლის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება მინიჭებული აქვს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და წარმოადგენს საზოგადოებას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ შვილობილ კომპანიებში მათი წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით პარტნიორისათვის მინიჭებული სრული უფლებამოსილებით, დამოუკიდებლად, მათ შორის, დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მისი ხელმძღვანელობის სფეროში ახალი შვილობილი კომპანიის შექმნის და არსებული კომპანიების რეგისტრირებულ მონაცემებში (მათ შორის წესდებაში) ცვლილებების შესახებ.

თითოეული დირექტორი, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სამეთვალყურეო საბჭოსთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ამტკიცებს მისი მართვის სფეროში არსებული სტრატეგიული ბიზნეს მიმართულების საშტატო განრიგს აღმასრულებელი დირექტორის მიერ დამტკიცებული საზოგადოების მართვის სტრუქტურის შესაბამისად, იღებს და ათავისუფლებს კომპანიის თანამშრომლებს, წყვეტს მათი წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს.

მესამე პირების წინაშე საზოგადოების სრული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მინიჭებული აქვს აღმასრულებელ დირექტორს.

აღმასრულებელი დირექტორი:
➢ განკარგავს საზოგადოების ქონებას (საზოგადოების წესდების შესაბამისად);
➢ გასცემს მინდობილობებს (პროკურის გარდა);
➢ საზოგადოების სახელით დებს ხელშეკრულებებს;
➢ ხსნის ანგარიშს/ანგარიშებს ბანკში და ახორციელებს საბანკო ოპერაციებს;
➢ სამეთვალყურეო საბჭოსთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ადგენს და ამტკიცებს საზოგადოების მართვის სტრუქტურას და საზოგადოების მართვის სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაციას წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს;
➢ წყვეტს საზოგადოების მიმდინარე საქმიანობის სხვა საკითხებს, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც განეკუთვნება საზოგადოების პარტნიორთა კრების, სამეთვალყურეო საბჭოს ან სხვა დირექტორის კომპეტენციას.

შპს „თეგეტა მოტორსის“ კორპორაციული მართვის კოდექსის მიმოხილვა

2024 წლის 19 აპრილს შპს „თეგეტა მოტორსის“ სამეთვალყურეო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება კომპანიის „კორპორაციული მართვის კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე. კოდექსი შემუშავებული იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის 2021 წლის 07 დეკემბრის N172/04 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის“ საფუძველზე.
დოკუმენტის მიღების მიზანს წარმოადგენს „თეგეტა მოტორსის ჯგუფის“ მმართველობისა და ხელმძღვანელობის საკითხების რეგულირება, სისტემატიზაცია, კომპანიის მართვის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, კორპორაციული მართვის კულტურის გაუმჯობესება და საუკეთესო პრაქტიკის დადგენა, რაც დაფუძნებული იქნება:

- პასუხისმგებლიან, ანგარიშვალდებულ და მაღალ ღირებულებებზე დაფუძნებულ მართვაზე;
- ეფექტურ სამეთვალყურეო და აღმასრულებელ ორგანოებზე, რომლებიც იმოქმედებენ კომპანიის, მისი დასაქმებულებისა და პარტნიორების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე;
- შესაბამის საინფორმაციო გახსნილობაზე და გამჭვირვალობაზე, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის ეფექტურ სისტემაზე.

კოდექსით დადგენილ იქნა კომპანიის კორპორაციული მართვის ჩარჩო, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობასა და კომპანიის წესდებაზე, საერთაშორისოდ აღიარებულ საუკეთესო პრაქტიკასა და შემდეგ უმნიშვნელოვანეს პრინციპებზე:

- **ანგარიშვალდებულება:** კოდექსი აყალიბებს კომპანიის ანგარიშვალდებულებას ყველა პარტნიორის მიმართ, განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სტრატეგიის ჩამოყალიბების და აღნიშნულის საფუძველზე კომპანიის დირექტორთა მიერ ხელმძღვანელობისა და მართვის პროცესს;
- **სამართლიანობა:** კომპანია ვალდებულია დაიცვას პარტნიორთა უფლებები და უზრუნველყოს ყველა პარტნიორის მიმართ თანაბარი მოპყრობა, მინორიტარი პარტნიორების ჩათვლით;
- **გამჭვირვალობა:** კომპანია პასუხისმგებელია, უზრუნველყოს, დროული და ზუსტი ინფორმაციის მიწოდება ყველა სათანადო პირისთვის კომპანიის ყველა არსებით საკითხზე, მათ შორის, ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის ეფექტურობის, საკუთრების და კომპანიის ხელმძღვანელობის შესახებ, ისე, რომ აღნიშნული ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული მხარეებისათვის;
- **პასუხისმგებლობა:** კომპანია აღიარებს თავისი პარტნიორების უფლებებს, რაც მათ მინიჭებული აქვთ საქართველოს კანონმდებლობით.

კომპანიის კორპორაციული მართვის ეროვნულ ბანკის მიერ დამტკიცებული კორპორაციული მართვის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭო.

სებ-ის მიერ დადგენილ კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის აღწერა

შპს „თეგეტა მოტორსის“ 2024 წლის 19 აპრილს დამტკიცებული „კორპორაციული მართვის კოდექსი“ სრულ შესაბამისობაშია „მეწარმეთა შესახებ“, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებთან.
შპს „თეგეტა მოტორსის“ მმართველობის პოლიტიკა შეესაბამება კომპანიის საქმიანობის პროფილს, მასშტაბს, კომპლექსურობას და შესაბამისად, გააჩნია:

ა) კომპანიის წესდება, რომელიც განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელ პირთა ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილია მათ მიერ საკუთარი უფლებამოსილებების შესრულება და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი;
ბ) „ქცევისა და ეთიკის კოდექსი“, რომლითაც დანერგილია თანამშრომლების და მმართველი ორგანოს წევრების ეთიკური ქცევის მაღალი სტანდარტები;
გ) მდგრადი განვითარების მიზნები, მათ შორის, გარემოსდაცვითი და სოციალური მმართველობის საკითხები;

დ) კომპანიის სტრატეგია და სათანადო რესურსები, რათა მიღწეულ იქნეს დასახული მიზნები, მათ შორის, მდგრადი განვითარების მიზნები;
ე) სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი აუდიტის კომიტეტის დებულება, რომელშიც გაწერილია კომიტეტის მანდატი, საქმიანობის მიმართულებები და პროცედურები, მათ შორის, კომიტეტის სამეთვალყურეო საბჭოსთან ანგარიშგების, კომიტეტის წევრობასთან დაკავშირებული შეზღუდვების, კომიტეტის წევრთა როლებისა და ფუნქციების შესახებ საკითხები;
ვ) მკაფიოდ განსაზღვრული ორგანიზაციული და მმართველობის სტრუქტურა, სადაც არავინ სარგებლობს შეუზღუდავი უფლებამოსილებებით და რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების განსაზღვრის, რისკების ეფექტიანი იდენტიფიცირების, მართვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესებს, შესაბამის შიდა კონტროლის მექანიზმებს, მათ შორის, ჯანსაღი ადმინისტრირებისა და სააღრიცხვო პროცედურებს, რისკების მართვის ეფექტურ საინფორმაციო სისტემებსა და კონტროლებს, ანაზღაურების პოლიტიკასა და პროცედურებს.

კოდექსით განსაზღვრულია, რომ მმართველი ორგანოს ნებისმიერი წევრი უფლებამოსილია საწარმოს კორპორაციული მართვის სისტემასთან არსებულ პრობლემურ საკითხებზე მიმართოს სამეთვალყურეო საბჭოს.

პერიოდულად ხორციელდება კომპანიის წესდების, ქცევისა და ეთიკის კოდექსის, კორპორაციული მართვის კოდექსის, სამეთვალყურეო საბჭოსა და აუდიტის კომიტეტის დებულებების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში განახლება, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომია, კერძოდ, განთავსებულია კომპანიის ვებგვერდზე: https://tegeta.ge/.

კომპანიის კორპორაციული მართვისას გააზრებულად სრულდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის დადგენილი მოთხოვნები, თუმცა ვინაიდან, სებ-ის მიერ დადგენილი კოდექსი ეფუძნება მიდგომას: „შეასრულე ან განმარტე და წარმოადგინე ალტერნატივა“, კოდექსით გათვალისწინებულ იმ მოთხოვნებზე, რომლის შესრულებაც არ არის იმპერატიულად სავალდებულო სხვა ნორმატიული აქტით, კომპანიას მიმართული აქვს ალტერნატიული მეთოდებისთვის ან განსაზღვრული აქვს შესაბამისი ვადა მოთხოვნების სრულად დასაკმაყოფილებლად, კერძოდ:

- სებ-ის მიერ დადგენილი კორპორაციული მართვის კოდექსით მმართველობის ორგანოდ განსაზღვრულია დირექტორთა საბჭო, რომელიც სხვა ფუნქციებთან ერთად, აღასრულებს საწარმოს ბიზნესსტრატეგიებს, სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად ქმნის ფინანსური და არაფინანსური რისკების, მათ შორის მდგრადი განვითარების, გარემოსდაცვითი და სოციალური, მართვის ეფექტურ სისტემებს, რისკის კულტურას, პროცესებსა და კონტროლებს, აწვდის სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაციას.

  მიმდინარედ, შპს „თეგეტა მოტორსის“ ხელმძღვანელ პირებს წარმოადგენენ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სტრატეგიულ ბიზნეს მიმართულებებს, თუმცა კომპანიის ხელმძღვანელობით სტრუქტურაში კოლეგიური ორგანოს სახით არ არის ჩამოყალიბებული დირექტორთა საბჭო. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კორპორაციული მართვის სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტიან შესრულებაზე პასუხისმგებელნი არიან დირექტორები. შესაბამისად, კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნები, რაც მიემართება დირექტორთა საბჭოს, გავრცელებულია კომპანიის დირექტორებზე.

- სებ-ის მიერ დადგენილი კორპორაციული მართვის კოდექსით, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე უნდა იყოს კოდექსით გათვალისწინებული დამოუკიდებელი წევრი.

  მიმდინარედ, შპს „თეგეტა მოტორსის“ სამეთვალყურეო საბჭოს 2019 წლიდან თავმჯდომარეობს ამავე კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორი, რომელსაც აქვს დიდი გამოცდილება, კომპეტენცია და ცოდნა ავტოინდუსტრიის სფეროში. ვინაიდან, აღნიშნული არ წარმოადგენს სხვა ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ იმპერატიულ მოთხოვნას, კომპანიის პარტნიორთა კრებას არ მიუღია გადაწყვეტილება თავმჯდომარის ცვლილების თაობაზე დამოუკიდებლობის კრიტერიუმის გათვალისწინებით.

- სებ-ის მიერ დადგენილი კორპორაციული მართვის კოდექსით, სამეთვალყურეო საბჭოს ერთი მესამედი, მაგრამ არანაკლებ ორი წევრისა, უნდა წარმოადგენდეს კოდექსით განსაზღვრულ დამოუკიდებელ წევრს.

მიმდინარედ, სამეთვალყურეო საბჭო შედგება 8 (რვა) წევრისგან, რომელთაგან 2 (ორი) წევრი წარმოადგენს კანონმდებლობით განსაზღვრულ დამოუკიდებელ წევრს, აქედან 1 პირი თავმჯდომარეობს აუდიტის კომიტეტს. დამოუკიდებელ წევრებს საქმიანობის განხორციელებისას აქვთ ობიექტური და დამოუკიდებელი ან სხვა გარე მხარის გავლენის/პოტენციური გავლენის გარეშე გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა და მათი რაოდენობა უზრუნველყოფს ნებისმიერი არსებითი ინტერესთა კონფლიქტის სათანადოდ განხილვის/აღმოფხვრის შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ საბჭოს შემადგენლობას 2024 წლიდან დაემატა ქალი წევრი, დამოუკიდებელი წევრის სტატუსით. კომპანია აგრძელებს დამოუკიდებელი წევრთა რაოდენობის გაზრდის მიმართულებით მუშაობას.

- სებ-ის მიერ დადგენილი კორპორაციული მართვის კოდექსით ყველა საწარმო, მიუხედავად მისი ზომითი კატეგორიის, კომპლექსურობისა და საქმიანობის მასშტაბებისა, ვალდებულია, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისაგან შექმნას აუდიტის კომიტეტი, ეფექტიანობის გაზრდისათვის სასურველია სამეთვალყურეო საბჭოსთან სხვა ფუნქციის მქონე კომიტეტების შექმნაც, მათ შორის რისკების მართვის, ანაზღაურების, ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტები და სხვა. კოდექსით გათვალისწინებული კომიტეტების არარსებობის შემთხვევაში (გარდა აუდიტის კომიტეტისა) სამეთვალყურეო საბჭომ ან არსებულმა კომიტეტებმა უნდა უზრუნველყონ ამ კომიტეტების შესაბამისი ფუნქციების შესრულება.

  მიმდინარედ, სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილია მხოლოდ აუდიტის კომიტეტი, რომელსაც თავმჯდომარეობს დამოუკიდებელი წევრი და რომელიც შედგება 3 წევრისგან. კოდექსით რეკომენდირებული სხვა კომიტეტების ფუნქციებს ასრულებს სამეთვალყურეო საბჭო.

- სებ-ის მიერ დადგენილი კორპორაციული მართვის კოდექსით, სამეთვალყურეო საბჭოს უნდა გააჩნდეს თვითშეფასების და შეფასების შესაბამისი პროცედურები, ამასთან, საწარმოში უნდა არსებობდეს სამეთვალყურეო საბჭოს შერჩევის კრიტერიუმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის სათანადო პოლიტიკა და პროცედურები.

  მიმდინარედ, სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით გათვალისწინებულია კრიტერიუმები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს საბჭოს წევრი, მათ შორის, წევრის დამოუკიდებულობის კრიტერიუმები. კომპანიაში წერილობითი სახით არ არსებობს სამეთვალყურეო საბჭოს თვითშეფასების და შეფასების შესაბამისი პროცედურები, ასევე, სამეთვალყურეო საბჭოს შერჩევის კრიტერიუმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის სათანადო პოლიტიკა და პროცედურები, თუმცა იგეგმება აღნიშნული დოკუმენტების წერილობითი ფორმით შემუშავება.

- სებ-ის მიერ დადგენილი კორპორაციული მართვის კოდექსით, საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას – მოადგილე, მოადგილის არყოფნისას კი – ერთ-ერთი დირექტორი. მათი არყოფნისას კრების თავმჯდომარეს ხმათა უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება. მმართველი ორგანოს ყველა წევრი, შიდა აუდიტის და სხვა კომიტეტების თავმჯდომარეები, ასევე გარე აუდიტორები უნდა ესწრებოდნენ საერთო კრებას. საერთო კრების ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყოს, რომ აქციონერთა/პარტნიორთა კითხვებს გაეცეს პასუხი. დირექტორებმა უნდა უპასუხონ აქციონერთა/პარტნიორთა კითხვებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პასუხი მატერიალურ ზიანს მიაყენებს საწარმოს, მის აქციონერებს/პარტნიორებსა და დასაქმებულებს, ან დაარღვევს კანონმდებლობის მოთხოვნებს. საწარმომ უნდა გაასაჯაროოს აღნიშნული ინფორმაცია და საერთო კრების ოქმი.

  კომპანიის წესდების თანახმად, პარტნიორთა კრებას თავმჯდომარეობს პარტნიორთა კრების თავმჯდომარე. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არ უნდა ხელმძღვანელობდეს საერთო კრებას. ამასთან, პარტნიორთა მოწვევით, კრებას ძირითადად ესწრება აღმასრულებელი დირექტორი. შესაბამისად, არ ხორციელდება არც ზემოთმითითებული ინფორმაციის და კრების ოქმის გასაჯაროება.

- სებ-ის მიერ დადგენილი კორპორაციული მართვის კოდექსის მიხედვით, საწარმოს წერილობითი ფორმით უნდა ჰქონდეს ანაზღაურების პოლიტიკა.

  კომპანიას შექმნილი აქვს ანაზღაურებისა და საბონუსე საკითხების მარეგულირებელი დოკუმენტები ცალ-ცალკე, საქმიანობის სფეროების, ასევე, თანამშრომელთა რანგების გათვალისწინებით. კომპანია დამატებით ამუშავებს ერთიანი ანაზღაურების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტსაც.

კორუფციისა და მექრთამეობის საწინააღმდეგო პოლიტიკა, თანამშრომელთა და ადამიანის უფლებების დაცვა

ჯგუფი თავის ყველა საქმეს წარმართავს კეთილსინდისიერად, გამჭვირვალედ და ეთიკურად. მენეჯმენტი მიმართავს ნულოვანი ტოლერანტობის მიდგომას მოსყიდვისა და კორუფციის მიმართ და ისწრაფვის იმოქმედოს პროფესიონალურად და სამართლიანად ყველა ბიზნეს გარიგებასა და ურთიერთობაში. ჯგუფის მიზანია მუდმივად დანერგოს და განაახლოს კორუფციის საწინააღმდეგოდ ეფექტური სისტემები. ჯგუფი სტიმულს აძლევს თითოეულ პერსონალს, რათა მათ ადრეულ ეტაპზევე განაცხადონ რაიმე საკითხის ან საეჭვო ქმედების შესახებ. ხოლო თუ თანამშრომელი არ არის დარწმუნებული, ადგილი აქვს თუ არა ქმედებას, რომელიც შეიძლება კავშირში იყოს მოსყიდვას ან კორუფციის ფაქტთან, ეს საკითხი უნდა განიხილოს ხაზის მენეჯერთან (ან თუ ეს არ არის შესაძლებელი, პირდაპირ დირექტორთან). ჯგუფის ზოგადი პროცედურები მოსყიდვის ან კორუფციის ნებისმიერი რისკის შესამცირებლად მოიცავს:

(ა) მექრთამეობისა და კორუფციის პოლიტიკის კომუნიკაცია თანამშრომლებთან;

(ბ) ფინანსური დირექტორისა და შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ დრო გამოშვებით დაკვირვება თუ რამდენად ეფექტურად ხორციელდება ჯგუფის პოლიტიკა, შესაბამისობის, ადეკვატურობისა და ეფექტიანობის კუთხით.

(ბ) ჯგუფის ოფიცრებისა და პერსონალის გადამზადება;

(გ) ოპერაციების გამჭვირვალობა და ინფორმაციის გამჟღავნება;

(დ) ფინანსური და კომერციული კონტროლი, როგორიცაა სათანადო აღრიცხვა და აუდიტი;

(ე) გადაწყვეტილების მიღება, როგორიცაა უფლებამოსილების პროცედურების დელეგირება, ფუნქციების გამიჯვნა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება;

(ვ) დისციპლინური პასუხისმგებლობის დადგომა ჯგუფის კორუფციისა და მოსყიდვის საწინააღმდეგო წესების დარღვევის შემთხვევაში.

ჯგუფი ერთგულია ბიზნესისა და ეთიკური ქცევის უმაღლესი სტანდარტების, მათ შორის, ყველა მოქმედი კანონმდებლობისა და წესების და უზრუნველყოფს ჯგუფის ოპერირებას ყველა ამ ნორმებთან შესაბამისობაში. ჯგუფი პატივს სცემს საერთაშორისოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებს, როგორც ეს დადგენილია ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითადი კონვენციებით. ბიზნესის და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, ჯგუფი აცნობიერებს კორპორაციულ პასუხისმგებლობას, პატივი სცეს ამ პრინციპებს და უზრუნველყოს ადამიანის უფლებების დაცვა.

ჯგუფის ადამიანის უფლებათა პოლიტიკის მიზნებია:

(ა) თანამშრომლების, ბიზნეს პარტნიორებისა და მომხმარებლების ინფორმირება ჯგუფის მიერ ადამიანის უფლებებისადმი ერთგულების შესახებ.

(გ) შენარჩუნებული იქნას ჯგუფის მაღალი ეთიკური სტანდარტები.

(დ) ხელი შეუწყოს გლობალურად ადამიანის უფლებების რეალიზაციას.

შიდა კონტროლების მიმოხილვა

ჯგუფის მენეჯმენტი ადეკვატურ ყურადღებას აქცევს შიდა კონტროლის სისტემას და აცნობიერებს IT კონტროლის მნიშვნელობას. ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში შეტანილი მასალები ემყარება დამხმარე დოკუმენტაციას, რომელიც გენერირდება შინაგანად ან მიიღება მომწოდებლებისგან ან გამყიდველებისგან. ფულადი სახსრების გადინების ყველა ოპერაცია მკაცრად კონტროლდება და მტკიცდება ხაზინის დეპარტამენტის უფროსის ან აღმასრულებელი და ფინანსური დირექტორის მიერ ტრანზაქციის მოცულობიდან გამომდინარე.

ჯგუფის ყოველდღიურ საქმიანობას აკონტროლებენ აღმასრულებელი და ფინანსური დირექტორი და/ან სხვა დირექტორები, ხოლო შვილობილ კომპანიებში ადგილობრივი დირექტორები. საკითხები, რომლებიც სცილდება შვილობილი კომპანიების მენეჯერების კომპეტენცია,ს მიკუთვნებულია განსახილველად ჯგუფის შესაბამისი სტრატეგიული მიმართულების დირექტორთან. აუდიტის კომიტეტი ჩართულია შიდა კონტროლის ხარვეზების აღმოჩენასა და დროულ გამოსწორებაში. სამეთვალყურეო საბჭო ამოწმებს ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტის საქმიანობას და იღებს ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ბიზნესი და ოპერაციები

ჯგუფის მიმოხილვა

ჯგუფი მომხმარებელს სთავაზობს საავტომობილო ეკოსისტემის სრულ სპექტრს, რაც გულისხმობს მსუბუქი მანქანების ყიდვა-გაყიდვას, გაქირავებას, სპეც-ტექნიკისა და სატვირთო ტექნიკის ყიდვა-გაყიდვას, გაქირავებას, საავტომობილო პროდუქტებსა და სრულ სერვისს.

ჯგუფის პროდუქტების ასორტიმენტი მოიცავს შემდეგ პროდუქციას: საბურავები, ზეთები, აკუმულატორები, სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების ნაწილები, ფილტრები, ავტომობილის აქსესუარები და მოვლის საშუალებები, საავტოფარეხო და ინდუსტრიული დანადგარები, ფოლადის გვარლები და საკონვეიერო ლენტები, სპეც-ტექნიკის ნაწილები, დიზელის აგრეგატების ნაწილები.

ჯგუფის სერვისის თანამშრომლები ყოველწლიურად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს უცხოელ პარტნიორებთან, როგორებიცაა: ZF, BOSCH, SCHAEFFLER, SHELL, DENSO, FEBI, MOTUL, VARTA და სხვა. აღნიშნული სერვის-ცენტრები დაკომპლექტებულია თანამედროვე მანქანა-დანადგარებით. ჯგუფი კორპორატიულ და საცალო მომხმარებელს ავტოტექმომსახურების სრულ ასორტიმენტს სთავაზობს, რაც მოიცავს თითქმის ყველა მსუბუქი და სატვირთო სატრანსპორტო საშუალებების, მათ შორის, ავტობუსების, სამშენებლო და სპეცტექნიკის, სასოფლო-სამეურნეო და მიწისმთხრელი ტექნიკის დიაგნოსტირებას და შეკეთებას სპეციალური, ავტორიზებული პროგრამების მეშვეობით. მომსახურება მოიცავს:

- ვულკანიზაცია;
- სავალი ნაწილის შეკეთება;
- ელ. სისტემის დიაგნოსტირება და შეკეთება;
- ძრავის დიაგნოსტირება და შეკეთება;
- თვლების შეყრის გასწორება;
- დისკების გასწორება;
- ძრავში ზეთის შეცვლა;
- ავტომატურ კოლოფში ზეთის შეცვლა;
- წინა მაშუქების გასწორება სტენდზე;
- გადაცემათა კოლოფის შეკეთება;
- საწვავი სისტემის დიაგნოსტირება და შეკეთება;
- სამღებრო და სათუნუქე სამუშაოები;
- რეცხვა.

არსებული უნიკალური პროდუქტები

1. „ბიზნეს პროცესების დიჯიტალიაცია“

ჯგუფმა დანერგა სრულად დიჯიტალიზირებული ბიზნეს პროცესები.

მომხმარებელი შოურუმში ვიზიტისას მიმართავს გაყიდვების კონსულტანტს, რომელიც ეხმარება პროდუქციის შერჩევაში, სისტემაში შექმნილი ინვოისი ფურცელზე აღარ იბეჭდება, ინვოისის შექმნისთანავე მომხმარებელი მობილურ ტელეფონზე მიიღებს შეტყობინებას, სადაც მითითებული იქნება საგადახდო კოდი, რომლის საფუძველზეც შეძლებს თანხის გადახდას.

2. „ჩემი ავტომობილის ისტორია“

ჩემი ავტომობილის ისტორია არის ონლაინ მომსახურება ჯგუფის როგორც საცალო, ასევე კორპორატიული კლიენტებისათვის, რომელთაც საშუალება აქვთ, იხილონ საკუთარი დანახარჯები და დანაზოგები, განხორციელებული მომსახურებებისა თუ შენაძენების ხარჯთაღრიცხვა და მათი ანალიზი სხვადასხვა ჭრილში, ონლაინ რეჟიმში აკონტროლონ საკუთარი ავტომობილის ისტორია, მიიღონ აუცილებელი შეხსენებები და რეკომენდაციები ავტომობილის მოვლასთან დაკავშირებით. www.mycarhistory.ge–ზე მომხმარებლების მიერ ჯგუფში განხორციელებული ყოველი ოპერაცია ავტომატურად ვებ-პლატფორმაზე ინახება. ეს ინფორმაცია კონფიდენციალურია და მომხმარებელს მასზე წვდომა აქვს მხოლოდ ავტორიზაციის გავლის შემდეგ, პირადი მონაცემების შეყვანის საფუძველზე. აღნიშნულ სერვისს არ აქვს ანალოგი ქვეყნის მასშტაბით.

3. ონლაინ რეზერვაცია

ონლაინ რეზერვაცია წარმოადგენს წინასწარი ჩაწერის სერვისს, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს დაჯავშნოს ვიზიტი სწრაფი სერვისის ან სერვისების მისაღებად შპს „თეგეტა მოტორსის“ ცენტრალურ ფილიალში. მომხმარებელს რამდენიმე წუთში შეუძლია სახლიდან გაუსვლელად ჩაეწეროს მისთვის სასურველ დროს და თავი აარიდოს შესაძლო ლოდინის პროცესს, დაზოგოს დრო და სწრაფად მიიღოს სასურველი სერვისი:

- ძრავის ზეთის შეცვლა;
- ძრავის ზეთის ფილტრის შეცვლა;
- ძრავის ჰაერის ფილტრის შეცვლა;
- საწვავის ფილტრის შეცვლა;
- სალონის ფილტრის შეცვლა;
- საბურავის დაშლა-აწყობა;
- თვლების შეყრა;
- აკუმულატორის შეცვლა;
- საბურავის ბალანსირება;
- ალუმინის დისკების გასწორება;
- ავტომატურ გადაცემათა კოლოფში ზეთის შეცვლა;
- სავალი ნაწილის შემოწმება.

4. თეგეტა ქარდი

“თეგეტა ქარდი” (Classic, Silver, Gold, VIP) არის ავტომფლობელთათვის განკუთვნილი ლოიალობის ბარათი. ბარათის მფლობელი სარგებლობს „ჩემი ავტომობილის ისტორიის“ ონლაინ მომსახურებით. ნებისმიერი პროდუქტის/მომსახურების შეძენისას „თეგეტა ქარდზე“ აკუმულირდება ქულები, მათი გამოყენება სპეციალურ აქციებში მონაწილეობისას არის შესაძლებელი.

მომხმარებლის მხრიდან განხორციელებული ნებისმიერი შენაძენი პროდუქტსა თუ სერვისზე “თეგეტა მოტორსის” ცენტრებში ტარდება “თეგეტა ქარდზე”. ბარათზე ქულების განსაზღვრული რაოდენობის დაგროვებისას, მფლობელები მონაწილეობას იღებენ “თეგეტა მოტორსის” სპეციალურ აქციებში (მაგ. გამოცხადებული გათამაშებები, ქულების გაორმაგება და ა.შ.).

5. თეგეტა კომფორტი

ჯგუფი მომხმარებელს ავტომობილის შეკეთებას სერვის-ცენტრში მისვლის გარეშე სთავაზობს. „თეგეტა კომფორტი“ არის მომსახურება საქმიანი ადამიანებისთვის, რომლებსაც არ აქვთ დრო თავად მიიყვანონ ავტომობილი სერვის-ცენტრში. „თეგეტა კომფორტი“ გულისხმობს ავტომობილის მომსახურებას მომხმარებლის სერვის-ცენტრში მისვლის გარეშე. „თეგეტა მოტორსის“ პერსონალური მენეჯერი მიაკითხავს ავტომობილს მომხმარებლისთვის სასურველ მისამართზე და თავად უზრუნველყოფს მის სერვის-ცენტრში გადაყვანას და შეკეთებას. პერსონალური მენეჯერი მიდის მომხმარებლისთვის სასურველ მისამართზე, იბარებს ავტომობილს, რომელზეც მთლიანად იღებს პასუხისმგებლობას და უზრუნველყოფს მის ტრანსპორტირებას „თეგეტა მოტორსის“ ცენტრალურ ფილიალში. აღსანიშნავია, რომ ავტომობილი ტრანსპორტირების დროს დაზღვეულია.

6. ავტოსერვისის ტექნიკური პროექტები

ჯგუფი მეწარმეებს, რომელთა ბიზნეს გეგმა დაკავშირებულია საავტომობილო სფეროსთან (ავტოტექმომსახურებასთან), ტექნიკურ–საკონსულტაციო დახმარებას სთავაზობს. ავტოსერვისის ბიზნესის დაწყების ან გაფართოების მსურველებს ჯგუფი სთავაზობს შემდეგი სახის მომსახურებას:

- ტექნიკური პროექტის შექმნა;
- სამშენებლო პროექტის შექმნა;
- არქიტექტორული გადაწყვეტილებები;
- იურიდიული საკითხების მოგვარება;
- ობიექტის აშენება;
- მოწყობილობა-დანადგარების შერჩევა, მიწოდება, მონტაჟი;
- სარეალიზაციო პროდუქციით მომარაგება;
- დახმარება კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაში.

7. ონლაინ მაღაზია

ჯგუფმა მრავალფუნქციური პორტალი „shop.tegetamotors“ შეიმუშავა, რომლის მიზანია მომხმარებლებს მაქსიმალურად გაუმარტივოს საავტომობილო პროდუქტებისა თუ აქსესუარების მოძიება-შეძენის პროცესი და სწრაფადვე მიაწოდოს მისთვის სასურველ ლოკაციაზე.

ონლაინ მაღაზიაში განთავსებულია 20 ათასზე მეტი დასახელების პროდუქცია შემდეგი კატეგორიებიდან:

- საბურავები;
- ნაწილები;
- აკუმულატორები;
- ზეთები-სითხეები;
- დანადგარები;
- აქსესუარები.

მოქნილი და მრავალფუნქციური ვებგვერდი shop.tegetamotors.ge მნიშვნელოვან ბენეფიტებს სთავაზობს მომხმარებლებს :

- ადგილზე მიტანის სერვისი;
- მარტივი გადახდა, როგორც ნაღდი ანგარიშწორებით, ასევე გადარიცხვით;
- 300-ზე მეტი საერთაშორისო ბრენდის პროდუქცია;
- დახმარება ონლაინ რეჟიმში;
- მორგებული და სპეციალური შეთავაზებები.

8. Tegeta-ს აპლიკაცია

Tegeta-ს აპლიკაცია კიდევ უფრო ამარტივებს კომუნიკაციას მომხმარებელსა და მის საავტომობილო პარტნიორს შორის. ამჟამად პროდუქტის მხოლოდ პირველი ეტაპია დასრულებული. აპლიკაცია ხელმისაწვდომია როგორც APP STORE-ზე, ასევე PLAY STORE-ზე. ჯგუფის ციფრული ტრანსფორმაციის გუნდი კვლავ აგრძელებს პროდუქტის განვითარებაზე მუშაობს.

აპლიკაციის მეშვეობით მომხმარებელი შეძლებს:

- ონლაინ რეზერვაციას;
- პერსონალური მენეჯერის გამოძახებას;
- მიღებული სერვისების ისტორიის კონტროლს;
- სასურველი ფილიალის მარტივად შერჩევას;
- სხვადასხვა შეთავაზებების მიღებას;

გაყიდვის არხები

ჯგუფი ბაზარს უკავშირდება გაყიდვების 4 მთავარი არხით:

- საცალო;
- კორპორატიული;
- სახელმწიფო ტენდერები;
- საბითუმო.

საცალო ვაჭრობა

ჯგუფს ჰყავს 500 000-მდე აქტიური კლიენტი. კლასიკ ბარათი – 304 546, ვერცხლის ბარათი – 97 766, ხოლო ოქროს ბარათი – 56 012. ლოიალობის ბარათების მფლობელებს შეუძლიათ ისარგებლონ დაგროვებადი სისტემით. დაგროვებული ქულებით მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა შეიძინოს მისთვის სასურველი პროდუქტი ბარათის 1 გატარებით.

კორპორატიული კლიენტები

ჯგუფი ემსახურება 54 000-ზე მეტ კორპორატიულ კლიენტს საქართველოში არსებული ყველა ბიზნეს სექტორიდან. კოპორატიული გაყიდვების არხი ჯგუფის გაყიდვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა და მოიცავს შემდეგ სექტორში მომუშავე კოპანიებს: გზების და ჰესების მშენებლობა, სამთო სამომპოვებლო სამუშაოები, სამშენებლო მასალების, რკინის და მეტალის წარმოება.

სახელმწიფო ტენდერები

ჯგუფი ემსახურება 1500-მდე საჯარო ორგანიზაციას, რაც გარკვეულწილად უზრუნველყოფს მომავალში სახელმწიფო სატრანსპორტო და ინფრასტრუქტურული პროექტების ზრდის შესაბამისად გაიზარდოს ბიზნესის ეს მოცულობაც.

საბითუმო ვაჭრობა

ჯგუფი აქტიურად მოქმედებს საბითუმო გაყიდვების სფეროში. ჯგუფს ჰყავს 4,000-ზე მეტი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის მასშტაბით. 2018 წელს ჯგუფმს შექმნა საბითუმო პორტალი, რისი საშუალებითაც სავაჭრო პარტნიორებს შეუძლიათ მიიღონ სასურველი პროდუქტი ოფისიდან გაუსვლელად ონლაინ შეკვეთების საშუალებით.

ჯგუფის სტრუქტურა მოიცავს კომპანიებს, რომლებიც ჩართულნი არიან ავტომობილებისა და საავტომობილო პროდუქტების იმპორტის, დისტრიბუციის და სერვისის საცალო ვაჭრობის საქმიანობაში.

ჯგუფი არის ლიდერი როგორც საცალო გაყიდვებში, ასევე საბითუმო გაყიდვების, კორპორაციული გაყიდვებისა და სახელმწიფო ტენდერების ნაწილში.

სრულად კონსოლიდირებული შვილობილები წარმოადგენენ საოპერაციო ერთეულებს, რომლებიც კონცენტრირებას აკეთებენ ბიზნესის კონკრეტულ მიმართულებაზე. ასეთი კორპორაციული სტრუქტურა ჯგუფს საშუალებას აძლევს თითოეულ ერთეულში მიაღწიოს რესურსების გამოყენების მაქსიმალურ ეფექტურობას.

შვილობილი კომპანიების მიმოხილვა

შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“ – დაარსდა 2006 წელს, როგორც ერთ-ერთი უმსხვილესი გერმანული საავტომობილო კონცერნის, MAN TRUCK & BUS AG-ის ოფიციალური იმპორტიორი საქართველოში. დღეისათვის კომპანია MAN-ის, SCHMITZ CARGOBULL-ის, CIFA-ს, TEREX-ის, ISUZU-ს და მრავალი სხვა სპეციალური ტექნიკის მწარმოებელი კომპანიის ოფიციალური წარმომადგენელი და პარტნიორია საქართველოში.

შპს „თეგეტა კონსტრაქსშენ ექვიფმენთ“ – დაარსდა 2007 წელს. JCB-ის ოფიციალური დილერია საქართველოში. იგი მომხმარებელს სთავაზობს ცნობილი ბრიტანული ბრენდის, JCB-ის სამშენებლო და საგზაო ტექნიკას სრული საგარანტიო მომსახურებით, ასევე ნებისმიერი სამშენებლო ტექნიკის სერვისსა და სათადარიგო ნაწილებს.

შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელს“ – დაარსდა 2010 წელს. „პორშე“ და „მაზდა“-ს ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში. 2011 წელს კომპანიამ გახსნა „პორშე ცენტრი თბილისი“, ხოლო 2012 წელს ქართულ ბაზარზე შემოიყვანა იაპონური ბრენდი „მაზდა“. ახდენს აღნიშნული სამარკო ნიშნის მქონე მსუბუქი ავტომობილების იმპორტს, რეალიზებასა და პორშე და მაზდას სამარკო ნიშნის მქონე მსუბუქი ავტომობილების მომსახურებას.

შპს „ტოიოტა ცენტრი თეგეტა“ – დაარსდა 2013 წელს. TOYOTA-ს ოფიციალური დილერია საქართველოში. 2013 წელს „თეგეტა მოტორსსა“ და „ტოიოტა კავკასიას“ შორის ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება შედგა და 2013 წლის 26 აგვისტოს დაფუძნდა “TOYOTA CENTER TEGETA.” 2014 წელს კომპანიამ „ტოიოტა კავკასიისგან“ ტოიოტას დილერისა და ავტორიზებული სერვისცენტრის სტატუსი მიიღო. კომპანია მონობრენდულია და მისი მომსახურება სრულიად ტოიოტას ბრენდის ავტომობილებზეა ფოკუსირებული.

შპს „თეგეტა აკადემია“ – იურიდიულ პირად დაარსდა 2017 წელს. მისი მიზანია პროფესიული განათლების პოპულარიზაცია ქვეყანაში, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება ავტომომსახურების სფეროში და მათი შემდგომი დასაქმება.
აკადემიის სასწავლო კურსს უძღვებიან როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ტრენერები, მსოფლიოს წამყვანი ავტოინდუსტიის სფეროდან, როგორებიც გახლავთ ბოში, მოტული, პორშე, ტოიოტა და სხვა მსოფლიო წამყვანი ბრენდები. 2020 წელს კომპანიას მიენიჭა არაფორმალური განათლების აღიარების უფლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ფარგლებში. შედეგად კომპანიას ჰყავს დიპლომირებული მექანიკოსების კურსდამთავრებულები.

შპს „სკანდინავიან ავტო თეგეტა“ – დაარსდა 2019 წელს, რომლის მიზანიც არის ვოლვოს ბრენდის ავტომობილებით და სათადარიგო ნაწილებით ვაჭრობა, ასევე გაყიდვის შემდგომი მომსახურების გაწევა.

შპს “თი-ბი-ეი თეგეტა” – TOYOTA-ს ოფიციალური დილერია ბათუმში. კომპანია მონობრენდულია და მისი მომსახურება სრულიად ტოიოტას ბრენდის ავტომობილებზეა ფოკუსირებული.

შპს „თეგეტა პრაიმ პროდაქტს“ - ბრიჯსტოუნის საბურავებისა და მოტულის ბრენდის საპოხი მასალების იმპორტიორი კომპანია.

შპს „თეგეტა ავტომოტივ იმპორტი“ - თეგეტა მოტორსის პორტფელში არსებული ყველა მიმართულების იმპორტიორი, კერძოდ საბურავების, საპოხი მასალების, სათადარიგო ნაწილების, ბატარეების, ავტოფარეხების მოწყობილობების და ა.შ.

შპს „თეგეტა ინდასტრი“ – წარმოადგენს მზარდ კომპანიას ინდუსტრიულ სფეროში, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს მაღალი ხარისხის პროდუქტსა და მომსახურებას. კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს როგორც მობილური, ასევე სტაციონალური ქვის სამტვრევი ხაზის და ბეტონის მწარმოებელი დანადგარების იმპორტსა და მონტაჟს. მომხმარებლების შეუფერხებელი მუშაობისათვის კომპანიას მუდმივად მარაგში აქვს თითოეული დანადგარის სათადარიგო ნაწილი.

შპს „თეგეტა დისტრიბუცია“ – უზრუნველყოფს იმპორტირებული პროდუქციის დისტრიბუციას ქვეყნის მასშტაბით.

შპს „თეგეტა რითეილი“ - უზრუნველოფს იმპორტირებული პროდუქციის რეალიზაციას საცალო, კორპორატიული და სახელმწიფო არხებით.

შპს „ქონსთრაქშენ მეშინარი ჯორჯია“ - ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მძიმე საგზაო-სამშენებლო ტექნიკის საცალო ვაჭრობა და მომსახურება. ამ მიმართულებით კომპანია უმსხვილესი ფრანგული ჯგუფის FAYAT GROUP-ის წევრი კომპანიის MARINI-ის ოფიციალური წარმომადგენელი გახდა. ეს ლიდერი ბრენდი საგზაო ციკლისთვის საჭირო აღჭურვილობის სრულ სპექტრს სთავაზობს მომხმარებელს. კომპანია ასევე არის გერმანული პრემიუმ ბრენდის Liebherr-ის სპეცტექნიკის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში.

შპს „თეგეტა ქომერშელ ვიიქლს“ - არის უმსხვილესი ფრანგული ბრენდის Renault Trucks-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოსა და სომხეთში. ამ თანამშრომლობის შედეგად თეგეტა ჰოლდინგის სატვირთო პორტფელს შეემატა ამ ბრენდის ტექნიკაც.

შპს „თეგეტა კაპიტალი“ - კომპანია Future Lab-თან თანამშრომლობით Startup Drive-ში ჩაერთო და საავტომობილო თემაზე შექმნილ სტარტაპებს დაეხმარა.

შპს „თეგეტა ლოჯისტიკი“ - კომპანია დაარსდა 2007 წელს, თუმცა ბაზარზე ეკონომიკური საქმიანობა 2022 წელს განაახლა. კომპანიის ძირითადი საქმიანობა საერთაშორისო გადაზიდვები და საბაჟო მომსახურებაა. კომპანია ტვირთის გადაზიდვას ახორციელებს საჰაერო, სახმელეთო და სარკინიგზო ტრანსპორტით.

შპს „თეგეტა ეფრუვდ“ - კომპანიის ძირითადი საქმიანობა ამერიკიდან სუფთა ისტორიის მქონე ავტომობილების ჩამოყვანა-რეალიზებაა. კომპანიის მიზანია მეორადი ავტომობილების ბაზარზე შექმნას მაღალი კლასის, ხარისხიანი და სანდო მომსახურება, რომლის დახმარებითაც მომხმარებელს გაუმარტივებს ავტომობილის შერჩევა-შეძენის პროცესს და გაუჩენს საიმედოობის შეგრძნებას, რომ შეძენილი პროდუქტი არის ხარისხიანი და არ საჭიროებს დამატებით გადამოწმებას. თეგეტა ეფრუვდი ასევე მომხმარებელს სთავაზობს სერვისს, რომლის საშუალებითაც ისინი შეძლებენ მარტივად გაყიდონ ან ჩაანაცვლონ არსებული ავტომობილი ახლით.

შპს „თეგეტა თაიარ იმპორტს“ – 2022 წელს დაარსდა შპს „თეგეტა თაიარ იმპორტს“. კომპანია უზრუნველყოფს საბურავების იმპორტსა და რეალიზაციას.

შპს „თეგეტა რეალ ისთეით“ - კომპანია დაარსდა 2022 წელს, თუმცა ამ დრომდე არ ახორციელებს ბაზარზე ეკონომიკურ საქმიანობას. კომპანიის ძირითად საქმიანობას უძრავი ქონების მართვა წარმოადგენს.

შპს „ავტო გალერი“- 2022 წლის ივნისსა და ივლისში თეგეტა მოტორსმა მიიღო კონტროლი შპს „ავტო გალერი“-ზე - 90%. მანამდე კომპანია იყო თეგეტა მოტორს ჯგუფის დაკავშირებული მხარე. კომპანია ახორციელებს როგორც მეორადი, ასევე ახალი ავტომობილების რეალიზაციას. კომპანია მთავარ აქცენტს აკეთებს ელექტრომობილების რეალიზაციაზე. 2023 წელს შპს თეგეტა მოტორსმა შეიძინა დარჩენილი 10%-ც ავტოგალერიში და გახდა მისი 100%-იანი წილის მფლობელი.

შპს „თეგეტა ქარ რენთ“ - წარმოადგენს შპს „ავტო გალერის“ 100%-იანი წილის მქონე კომპანიას. 2020 წლიდან კომპანია უმსხვილესი Car Rental ბრენდის Europcar International-ის ექსკლუზიური წარმომადგენელი გახდა. კომპანია როგორც ფიზიკურ პირებს, ასევე ორგანიზაციებს სთავაზობს საოპერაციო ლიზინგს, სატრანსპორტო მომსახურებასა და ავტომობილების გაქირავებას.

შპს „თეგეტა ინთერნეიშენალი“ - 2022 წლის ივნისსა და ივლისში თეგეტა მოტორსის ჯგუფს შეუერთდა შპს „თეგეტა ინთერნეიშენალი“. მანამდე კომპანია იყო თეგეტა მოტორს ჯგუფის დაკავშირებული მხარე. კომპანის საქმიანობის სფერო მოიცავს ავტომობილების აკუმულატორებით, ზეთებით, ფილტრებით, სათადარიგო ნაწილებით ვაჭრობას.

შპს „რენტალ ჯორჯია“ - წარმოადგენს შპს „თეგეტა ინთერნეიშენალის“ 100%-იანი წილის მქონე კომპანიას.
თეგეტა რენტალსი მომხმარებელს სთავაზობს ნებისმიერი სახის სამშენებლო და სპეც ტექნიკის იჯარას გამოცდილი ოპერატორებით, როგორც დღიური ასევე გრძელვადიანი საჭიროებისთვის. ასევე, ტექნიკით მომსახურებას მიწის სამუშაოებისა და ინერტული მასალების ტრანსპორტირების მიმართულებით.
კომპანია ოპერირებას ახორცილებს მსოფლიოში არსებული საუკეთესო ბრენდების ტექნიკის მეშვეობით MAN, JCB, DRESSTA.

შპს „კავკასუს ავტომოტივი“ – 2022 წლის ივნისსა და ივლისში თეგეტა მოტორსის ჯგუფს შეუერთდა შპს „კავკასუს ავტომოტივი“. მანამდე კომპანია იყო თეგეტა მოტორს ჯგუფის დაკავშირებული მხარე. კომპანია წარმოადგენს Volvo-ს ბრენდის ავტომობილების ავტორიზებულ იმპორტიორს საქართველოში და რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფება „დილერთან“.

შპს „აზტექ და თეგეტა მოტორსი“ – 2022 წლის ივნისსა და ივლისში თეგეტა მოტორსის შვილობილმა კომპანიამ შპს „თეგეტა მოტორს ბაქომ“ შეისყიდა შპს „აზტექ და თეგეტა მოტორსის“ აქციები და გახდა აქციების 75%-ის მფლობელი. მანამდე შპს „აზტექ და თეგეტა მოტორსი“ ჯგუფის მეკავშირე საწარმო იყო. კომპანია ოპერირებს აზერბაიჯანის ბაზარზე. კომპანია ადგილობრივ მომხმარებელს სრულ ავტო-ტექ მომსახურებას და საავტომობილო პროდუქტების დიდ არჩევანს სთავაზობს როგორც საცალო, ასევე კორპორატიული და საბითუმო მიმართულებით. 2023 წელს შპს თეგეტა მოტორს ბაქომ შეიძინა დარჩენილი 25%-იანი წილიც შპს აზტექ და თეგეტა მოტორსში.

2023 წელს დაარსდა შემდეგი შვილობილი კომპანიები:

შპს „კავკასუს მეშინერი“ – დაარსდა 2023 წლის თებერვალში, Hyundai-ს სამშენებლო და სამრეწველო ტექნიკის ავტორიზებული დილერი, ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მძიმე საგზაო-სამშენებლო ტექნიკის საცალო ვაჭრობა და მომსახურება.

შპს „თეგეტა ენერჯი“ – დაარსდა 2023 წლის ნოემბერში, არააქტიური კომპანია.

შპს „თეგეტა მოტორს დუშანბე“ – კომპანიის წარმომადგენლობა ტაჯიკეთში, არააქტიური კომპანია.

შპს „თეგეტა მოტორს ბიშკეკი“ – კომპანიის წარმომადგენლობა ყირგიზეთში, არააქტიური კომპანია.

შპს „თეგეტა მოტორს იუ ეს ეი“ – კომპანიის წარმომადგენლობა ამერიკის შეერთებულ შტატებში, არააქტიური კომპანია.

დეტალური ინფორმაცია შვილობილი კომპანიების შესახებ მოცემულია 2023 წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბრენდები

ჯგუფმა ჩამოაყალიბა პარტნიორული ურთიერთობები მრავალ საერთაშორისო მწარმოებელთან და ბრენდთან, მათ შორის:

- Bridgestone
- Michelin
- Continental
- Shell
- Mobil
- Motul
- Bosch
- Denso
- BMC
- Petronas
- Milwaukee
- Hino
- Febi
- Hengst
- MAN
- JCB
- Varta-Johnson Controls
- ZF group
- BOMAG
- Renault Trucks
- Clark
- Valtra
- Hankook
- Toyota
- Porsche
- Mazda
- Volvo
- Liebherr
- MARINI
- Gomaco
- Berco
- Fendt
- Geely

ჯგუფი ყოველწლიურად ზრუნავს მაღალტექნოლოგიურ განვითარებაზე მსოფლიოს წამყვანი ბრენდების მხარდაჭერით, დასავლური ცოდნის, გამოცდილების გაზიარებითა და საკუთარ საქმიანობაში დანერგვით. ჯგუფი მუდმივად ხარისხზეა ორიენტირებული, სწორედ ამაზე მეტყველებს ჯგუფის უცვლელი სლოგანი „დროა აირჩიო ხარისხი“.

ჯგუფის 2023 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და სამომავლო გეგმები

2023 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები

- 2023 წელს, ჰოლდინგმა არაერთი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელა, გაიხსნა ულტრათანამედროვე მულტიფუნქციური საავტომობილო კომპლექსი თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე. მასშტაბური მულტიფუნქციური სივრცე პირველია რეგიონის საავტომობილო სექტორში, რომელიც მომხმარებელს სრულიად ახალი კონცეფციით ემსახურება.

- 2023-ში გაიხსნა "ვოლვოს" სრულიად ახალი კონცეპტუალური შოურუმი თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე. ეს პირველი ლოკაციაა კავკასიის რეგიონში, რომელიც VRE კონცეფციით შეიქმნა და ბრენდის შვედეთში არსებული შოურუმების ანალოგია.

- გარდა ახალი შოურუმებისა და სერვის ცენტრებისა, "ტოიოტა" ცენტრი თეგეტას არსებულ შოურუმს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია. იაპონური ბრენდის ქართული წარმომადგენლობის ვიზუალურ მახასიათებლებთან ერთად, სრულად შეიცვალა შოურუმის კონცეფციაც, და რეგიონში განსხვავებული მომსახურების პრეცედენტი შეიქმნა.

- 2023 წელს, ჯგუფმა დაიწყო სრულიად ახალი ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტი და გახდა პირველი ჯგუფი საქართველოში, რომელიც ელექტრო დამმუხტველი სადგურების ქსელს შექმნის. თბილისსა და რეგიონებში ელექტრომობილების ფლობის გამარტივების მიზნით, ჯამში 70 უნივერსალური დასამუხტი სადგური განთავსდება. გარემოზე ზრუნვა ჯგუფის სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, ეს პროექტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ჰოლდინგის გეგმებს მწვანე ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებით.

- საქართველოს გარდა, განხორციელდა მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი სომხეთში, ერევანში გაიხსნა გლობალური ლიდერი ბრიტანული ბრენდის, JCB-ის ექსკლუზიური წარმომადგენლობა. ახალი მასშტაბური სადილერო სივრცე, ჯგუფისა და JCB-ს სტანდარტების სრული დაცვით აშენდა.
    - ✓ მნიშვნელოვანია, რომ ჩამოთვლილი ინფრასტრუქტურული პროექტები, მორგებულია ენერგოეფექტურობის საერთაშორისო სტანდარტებზე და ფლობს შესაბამის სერტიფიკატებს. ეს კი სრულად პასუხობს ჯგუფის მდგრადი განვითარების სტრატეგიას.

- 2023 მნიშვნელოვანი წელი იყო ჯგუფის საერთაშორისო ექსპანსიის ნაწილში:
    - ✓ გაიხსნა „ევროპქარის" წარმომადგენლობა უზბეკეთში;
    - ✓ „ვოლვოს" შოურუმი ყაზახეთში;
    - ✓ „მაზდას" წარმომადგენლობა სომხეთში;
    - ✓ ჯგუფი გახდა მსოფლიოს წამყვანი ნავთობკორპორაცია ExxonMobil-ის ოფიციალური დილერი უზბეკეთში.
    - ✓ ეს კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ჰოლდინგის მნიშვნელოვან როლს ავტოინდუსტრიის განვითარებაში როგორც საქართველოში, ასევე, კავკასიასა და შუა აზიაში.

- ჯგუფის მიერ რეგიონში განხორციელებული პროექტები ცდება ავტომოტივის ტრადიციული საქმიანობის ფარგლებს. 2023 წელს „თეგეტა აკადემიამ" 50-მდე საერთაშორისო ტრენინგი ჩაატარა, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო MAN-ის ავტობუსების ტრენინგი სომხეთში. გარდა ამისა, უფრო თანამედროვე გახდა სწავლების მეთოდი, მძიმე ტექნიკის ოპერატორების სწავლების პროცესს დაემატა სიმულატორი და სტუდენტებს სრულიად ახალი მიდგომებით შეუძლიათ პროფესიის შესწავლა.

- 2023 წელს, არაერთი წარმატებული პროექტი განხორციელდა პორტფოლიოს განვითარებისთვის. ჯგუფი გახდა ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური საავტომობილო ბრენდის, Geely Auto ოფიციალური დილერი საქართველოში.

- მსუბუქ ავტომობილებთან ერთად, მნიშვნელოვანი ცვლილებები იყო სპეციალური დანიშნულების ტექნიკის მიმართულებით, ჯგუფმა შექმნა ახალი მიმართულება, „თეგეტა აგრი" და გახდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემდეგი ბრენდების წარმომადგენელი:

- ✓ FENDT
- ✓ VALTRA
- ✓ GOLDONI
- ✓ ZETOR

- ► უპრეცედენტო იყო ჯგუფის აქტიურობა კაპიტალის ბაზარზე და ჰოლდინგმა ჯამში ექვსი წარმატებული ემისია განახორციელა:
  - ✓ 20 მილიონი აშშ დოლარი საცალო ინვესტორებისთვის;
  - ✓ 20 მილიონი ლარი საცალო ინვესტორებისთვის;
  - ✓ 5 მილიონი ევრო საცალო ინვესტორებისთვის;
  - ✓ 20 მილიონი ლარის მწვანე ობლიგაციების ემისია, რაც არა მარტო ჯგუფისთვის, არამედ ქართული კაპიტალის ბაზრისთვისაც უპრეცედენტოა. ეს იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიცია აზიის განვითარების ბანკისგან;
  - ✓ 4 მილიონი ევრო საცალო ინვესტორებისთვის;
  - ✓ 7 მილიონი ევრო საცალო ინვესტორებისთვის.

- ► გასულ წელს, ჯგუფმა კიდევ უფრო გაიმყარა ბაზრის ლიდერის სტატუსი მუნიციპალური ტრანსპორტის მიმართულებით:
  - ✓ 2023-ში ჯგუფმა კიდევ ერთხელ გაიმარჯვა თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში და დედაქალაქს MAN-ის 18-მეტრიანი უახლესი ავტობუსებით მოამარაგებს. ავტობუსების მიწოდება უკვე დაწყებულია და მუნიციპალური ავტოპარკი, ჯამში, 160 ერთეული თანამედროვე სატრანსპორტო საშუალებით 2024 წელს სწორედ ჯგუფის მიერ განახლდება;
  - ✓ გარდა ამისა, 2023-ის გაზაფხულზე დასრულდა EBRD-ის ტენდერის ფარგლებში სომხეთის დედაქალაქისთვის MAN-ის თანამედროვე ავტობუსების მიწოდება.

- ► ჯგუფის უმთავრესი მიზანი არის ზრუნვა. ამ მიზნით, ჯგუფი 2023 წელს გახდა ერთ-ერთი პირველი საქართველოში, რომელმაც საერთაშორისო სტანდარტებზე მორგებული კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგია შეიმუშავა. 2023 წელს სწორედ ამ სტრატეგიაზე დაფუძნებული საზოგადოებისთვის სასიკეთო არაერთი პროექტი განვახორციელეთ. აღსანიშნავია ისიც, რომ მდგრადი განვითარების მიმართულებით ჩვენმა პროექტებმა 3 მნიშვნელოვანი ჯილდო მოიპოვა.

- ► გარდა მდგრადი განვითარების პროექტების ჯილდოებისა, 2023 წელს შპს „თეგეტა მოტორსს“ გადაეცა Group Auto International-ის ჯილდო, ეს იყო კიდევ ერთი აღიარებაა, რომ ჯგუფი არამხოლოდ საქართველოს, არამედ საავტომობილო სფეროს მსოფლიო რუკაზეც ღირსეულ ადგილს იკავებს.

- ► 2023-ში ჯგუფი კიდევ უფრო გააქტიურდა პროფესიული განვითარების და ახალგაზრდების დასაქმების მიმართულებით:

  - ✓ ადამიანური კაპიტალის მართვის მიმართულებაში გაჩნდა ახალი მიდგომა - „თეგეტა სტუდენტებისთვის“, ეს არის ახალგაზრდებს სასწავლო გრაფიკზე მორგებული სამუშაო და სტაჟირების ახალი პროექტი.

  - ✓ „თეგეტა აკადემიამ“ დანერგა ინოვაციური ელექტრონული სასწავლო პლატფორმა Electude, რომლის ფარგლებშიც, ტრენინგები ავტოინდუსტრიაში დასაქმებულმა 1000-მდე მონაწილემ გაიარა.

სამომავლო გეგმები

2024-ში ჯგუფის მიზნები უცვლელი იქნება. ქვემოთ მოცემულია ჰოლდინგის ყველა სტრატეგიული პროექტი, ტერიტორიული ექსპანსია და ჯგუფის სტანდარტების შეტანა ახალ ბაზრებზე:

- 2024-ში ჯგუფს დაგეგმილი აქვს რამდენიმე ახალ ბაზარზე შესვლა. გარდა ამისა, გაიზრდება ჯგუფის პროდუქტების პორტფელი უკვე არსებულ ბაზრებზე. ამით, ჰოლდინგი კიდევ უფრო მიუახლოვდება მიზანს, რომ გახდეს ლიდერი ავტომოტივ კომპანია არამარტო საქართველოში, არამედ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში.

- პორტფოლიოს ზრდა და პროდუქტების დივერსიფიკაცია:

2024-დან ჯგუფი გახდება რამდენიმე პრემიუმ ავტო მწარმოებლის წარმომადგენელი საქართველოში. ჰოლდინგის პორტფოლიო ასევე დაფარავს ელექტრო ავტომობილებისა და ტექნიკის მწარმოებელ ახალ ბრენდებს.

- ინოვაციური, მაღალი ხარისხის ციფრული პროდუქტების შექმნა და განვითარება:

ჯგუფის მთავარი ამოცანაა მისი პროდუქტებისა და სერვისის ხელმისაწვდომობის გაზრდა და მომხმარებლებისთვის მეტი კომფორტის შექნმა. ამ მიზანს მოემსახურება ახალი აპლიკაცია და ონლაინ მაღაზია. ეს ორივე ციფრული პროდუქტი სრულიად შეცვლის ავტომობილის ფლობისა და მოვლის კულტურას საქართველოში.

- ჯგუფის ქსელის განვითარება:

ინფრასტრუქტურული პროექტები კვლავაც იქნება ჯგუფის განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილი. 2024-ის ერთ-ერთი გამორჩეული პროექტი იქნება სატვირთოების სერვისცენტრი გეზის ტერიტორიაზე, რომლის მშენებლობაც უკვე დაწყებულია. ეს იქნება რეგიონული ჰაბი და გააერთიანებს ტერმინალს, საბაჟო საწყობსა და ყველა სერვისს, რომელსაც ჯგუფი მომხმარებელს სთავაზობს.

გარდა მასშტაბური სერვისცენტრებისა, ჯგუფის გეგმაშია საქართველოს ტერიტორიაზე ფილიალების ქსელის გაფართოებას. ახალი სერვიცენტრების კონცეფციის მთავარი იდეა არის მოქნილობის მაქსიმალური გაზრდა.

2024 წელს ასევე იგეგმება საქართველოში პორშეს მეორე წარმომადგენლობის მშენებლობა ბათუმში.

- საერთაშორისო და ადგილობრივ ინვესტორებთან პარტნიორობის გამყარება და ჰოლდინგის ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესება;

ჯგუფი კვლავაც გააგრძელებს ბონდების ემისიის მსხვილი პროექტების განხორციელებას, გარდა ამისა, ჰოლდინგის საერთაშორისო ფინანსურ პარტნიორებთან ერთად, იგეგმება მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე თანამშრომლობა.

- სოციალური და მდგრადი განვითარების მიმართულებით მასშტაბური პროექტების განხორციელება:
    - ყველა იმ ინფრასტრუქტურულ პროექტში, რომლებზეც ჯგუფი მუშაობს აუცილებლად არის გათვალისწინებული ჰოლდინგის გარემოს დაცვის პოლიტიკის ყველა მოთხოვნა.
    - გარდა ამისა, 2024-შიც გაგრძელდება ელექტრო დამუხტვის სადგურების მოწყობის პროექტი.
    - ჯგუფი ასევე გააგრძელებს „ზრუნვის“ პროექტს, როგორც სოციალური მიმართულებით უმნიშვნელოვანეს პლატფორმას.
    - ჯგუფი კვლავაც განახორციელებს პროექტებს პროფესიული განათლების განვითარების, ქალთა გაძლიერების და მრავალი სხვა სოციალური მიმართულებით.

ჯგუფის სტრატეგიული განვითარება

შპს „თეგეტა მოტორსი“ საავტომობილო ინდუსტრიაში ოპერირებს 28 წლის განმავლობაში და დღევანდელი მდგომარეობით მომხმარებლებს სთავაზობს საავტომობილო ეკოსისტემის სრულ სპექტრს. აღნიშნული გულისხმობს ერთი ფანჯრის პრინციპით კლიენტების მომსახურებას და აერთიანებს შემდეგ მიმართულებებს:

- ✓ მსუბუქი ავტომობილების გაყიდვები, მომსახურება და საგარანტიო სერვისი;
- ✓ კომერციული და მგზავრთა გადასაყვანი ტრანსპორტი;
- ✓ სამშენებლო და ინდუსტრიული ტექნიკა;
- ✓ მულტიბრენდული, მულტი მიმართულების საავტომობილო სერვისი რაც მოიცავს:

  ა) ნებისმიერი ტიპის, ბრენდის სატრანსპორტო საშუალების სერვისს - რაც ნიშნავს, რომ კომპანია არ ზღუდავს მომხმარებელს სატრანსპორტო საშულების ასაკით, ბრენდით, ტიპით, დანიშნულებით და სხვა კრიტერიუმით;
  ბ) აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებებისთვის ნებისმიერი საჭირო მარაგი ნაწილების იმპორტს და რეალიზაციას - რაც მოიცავს საავტომობილო პორტფელის ყველა მიმართულებას: საბურავები, ზეთები, აკუმულატორები, სათადარიგო ნაწილები, ინდუსტრიული და სერვისის მანქანა დანადგარები;
- ✓ სატრანსპორტო საშულებების გაქირავება/იჯარით გაცემა;
- ✓ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ელექტრო ავტომობილების დამტენების ინფრასტრუქტურის შექმნა.

აღნიშნული ბიზნეს მოდელი უნიკალურია და მსოფლიოში არ ჰყავს ანალოგი. ამ მიზნით შესწავლილია მსოფლიო მასშტაბით საავტომობილო სფეროში ოპერირებადი ათეულობით კომპანია. რა თქმა უნდა არსებობს შპს „თეგეტა მოტორსზე“ მსხვილი კომპანიები მსოფლიოში, თუმცა, არ არსებობს ისეთი, რომელიც ერთი ფანჯრის პრინციპით მომხმარებელს სთავაზობს საავტომობილო სერვისის სრულ სპექტრს.

ჯგუფს აქვს არჩეული სტრატეგია რომელიც პოზიციონირებს მას შემდგომი რეგიონული გაფართოებისთვის აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში დომინანტური წარმომადგენლობის დამყარებით, რაც თავის მხრივ განაპირობებს ჰოლდინგის რეგიონალურ საავტომობილო ლიდერად ჩამოყალიბებას.

ამ ამბიციური ექსპანსიური მიზნების მისაღწევად კომპანიის უმთავრესი სტრატეგიული ნაბიჯია აქციები განათავსოს საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე (IPO).

ამ ნაბიჯის განსახორციელებლად ჯგუფი კონცენტრირებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა ზრდის პოტენციალის მაჩვენებელი, პოზიტიური ფინანსური ტენდენციის ისტორია და საბაზრო კაპიტალიზაცია.

ზემოთ ხსენებული მიზნების მისაღწევად გადადგმული იქნა რამდენიმე სტრატეგიული ნაბიჯი:

- ✓ კომპანიის „ეჯაილ“ ტრანსფორმაცია.
- ✓ კრედიტუნარიანობის გაუმჯობესება და სასესხო პორტფელის დივერსიფიკაცია, კაპიტალის ბაზრებზე აქტიური პოზიციონირება და წვდომის გაუმჯობესება.
- ✓ უცხოურ ფინანსურ ინსტიტუტებთან წარმატებული ურთიერთობა.
- ✓ კომპანიის ბიზნეს მიმართულებების დივერსიფიკაცია და განვითარება.
- ✓ გეოგრაფიული დივერსიფიკაცია.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაცია

შპს „თეგეტა მოტორსი“ მის შვილობილ კომპანიებთან ერთად წარმოადგენს ერთიან ბიზნეს-ჯგუფს. ჯგუფი სრულად აკონსოლიდირებს შვილობილების ფინანსურ შედეგებს და წარადგენს ერთიანი ბიზნეს-ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. „ჯგუფის“ ფინანსური ანგარიშგება შეიცავს შვილობილების ფინანსურ შედეგებს მათზე კონტროლის მოპოვების დღიდან კონტროლის დაკარგვის დღემდე. „ჯგუფის“ არსებული სტრუქტურა ვერტიკალური ინტეგრაციიდან გამომდინარეობს და მნიშვნელოვან სარგებელს ნახულობს შვილობილებს შორის ვაჭრობის გზით. ამ ურთიერთობებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული ნამეტი ელიმინირდება კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება წარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიხედვით. ამ დოკუმენტში წარმოდგენილი 2023 და 2022 ფისკალური წლების ფინანსური ანგარიშგებები აუდიტორულად შემოწმებულია დიდი ოთხეულის წევრი აუდიტორული კომპანიის მიერ.

ჯგუფის ფინანსური შედეგების მიმოხილვა

შემოსავლები, რეალიზებული საქონლის თვითღირებულება და საერთო მოგება

ჯგუფის ბრუნვა მოიცავს კლიენტებზე განხორციელებულ გაყიდვებს ჯგუფში შემავალი მშობელი კომპანიისა და შვილობილების მიერ. 2023 წელს ჯგუფის გაყიდვებმა 1,378,159 ლარი შეადგინა, რაც 45,0%-ით აღემატებოდა წინა წლის შედეგს, როდესაც გაყიდვები 950,221 ლარი იყო.

ჯგუფის შიგნით შემოსავლების ზრდა გამოწვეულია ჯგუფის ყველა მიმართულების ორგანული ზრდით.

(ათას ლარში)	2023	2022
შემოსავლები	1,378,159	950,221
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,081,579)	(752,856)
საერთო მოგება	**296,580**	**197,365**

საოპერაციო მოგება საქმიანობიდან

2023 წელს ჯგუფის საოპერაციო მოგებამ 138,901 ლარი შეადგინა. 2023 წლის მონაცემი 74,90%-ით მეტია წინა წელთან შედარებით, როდესაც საოპერაციო მოგება 79,440 ლარი იყო.

(ათას ლარში)	2023	2022
შემოსავლები	1,378,159	950,221
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(1,081,579)	(752,856)
საერთო მოგება	**296,580**	**197,365**
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(125,556)	(100,133)
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	(33,868)	(26,869)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	10,015	14,695
სხვა საოპერაციო ხარჯები	(8,270)	(5,618)
საოპერაციო მოგება	**138,901**	**79,440**

ჯგუფში ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2023 წელს 25,4%-ით გაიზარდა და 125,556 მილიონი ლარი შეადგინა. 2022 წელს ჯგუფის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 100,133 ლარი იყო. ხარჯების ზრდის მთავარი გამომწვევი ფაქტორი იყო 2024 წელს ჯგუფის მასშტაბის ზრდა, რამაც გამოიწვია სხვადასხვა ხარჯების გაზრდა, მათ შორის, თანამშრომელთა რაოდენობის ზრდაც და, შესაბამისად, პერსონალის ხარჯის გაზრდაც.

ჯგუფში შემცირებულია სხვა საოპერაციო შემოსავლები. 2023 წელს ამ მუხლმა შეადგინა 10,015 ლარი, ხოლო 2022 წლის განმავლობაში - 14,695 ლარი. შემცირება ძირითადად განპირობებულია 2022 წელს მოთხოვნების რეზერვის ამობრუნების ეფექტით, რაც გამოიწვია ჯგუფში 2022 წელს მომხდარმა ბიზნეს კომბინაციამ.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები (ათას ლარში)	2023	2022
პერსონალის ხარჯი	(73,710)	(55,254)
ცვეთა და ამორტიზაცია	(9,362)	(7,063)
პროფესიონალური მომსახურებები	(9,004)	(5,846)
გამოყენების უფლებით გადმოცემულ აქტივებზე	(5,836)	(5,247)
საოფისე ხარჯი	(5,408)	(5,065)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(5,131)	(7,601)
სამივლინებო ხარჯი	(3,339)	(1,952)
კომუნალური ხარჯი	(3,061)	(2,787)
შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	(1,588)	(839)
საბანკო ხარჯები	(1,441)	(854)
კომუნიკაციის ხარჯი	(1,306)	(1,125)
საწვავის ხარჯი	(1,203)	(1,466)
უსაფრთხოება	(1,043)	(848)
აუდიტის ხარჯი	(673)	(260)
მოკლევადიან და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	(344)	(1,351)
სხვა ხარჯები	(3,107)	(2,575)
სულ	**(125,556)**	**(100,133)**

EBITDA

2023 წელს ჯგუფის EBITDA 161,013 ლარი იყო, რაც 66,4%-ით მეტია წინა წელთან შედარებით, როდესაც EBITDA-მ 96,793 ლარი შეადგინა. ჯგუფის EBITDA-ს ზრდა ძირითადად გამოიწვია საერთო მოგებისა და სხვა საოპერაციო შემოსავლების ზრდამ.

(ათას ლარში)	2023	2022
შემოსავლები	**1,378,159**	**950,221**
საოპერაციო მოგება	138,901	79,440
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(22,112)	(17,353)
EBITDA	**161,013**	**96,793**

ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი) და წმინდა მოგება

ჯგუფის ფინანსური ხარჯი უმეტესწილად წარმოადგენს საპროცენტო ხარჯს ჯგუფის საბანკო ვალებსა და ინსტრუმენტებზე. 2023 წელს ჯგუფის საპროცენტო ხარჯმა 47,615 ლარი შეადგინა, რაც 28,5%-ით მეტია წინა წელთან შედარებით, როდესაც საპროცენტო ხარჯი 37,044 ლარი იყო. საპროცენტო ხარჯის ზრდა გამოწვეული იყო 2023 წლის განმავლობაში სასესხო ვალდებულებებისა და ობლიგაციების მოცულობის ზრდით.

2023 წელს ჯგუფში დაფიქსირდა ზარალი საკურსო სხვაობიდან 8,538 ლარი, ხოლო 2022 წელს მოგებამ საკურსო სხვაობიდან 210 ლარი შეადგინა.

(ათას ლარში)	2023	2022
შემოსავლები	**1,378,159**	**950,221**
საოპერაციო მოგება	**138,901**	**79,440**
საპროცენტო შემოსავალი	10,600	6,987
საპროცენტო ხარჯი	(47,615)	(37,044)
საპროცენტო ხარჯი ფინანსური იჯარის ვალდებულებაზე	(2,970)	(2,556)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული (ზარალი) / მოგება	(8,538)	210
საპროცენტო ხარჯი სხვა ფინანსური ვალდებულებაზე	(2,939)	(3,681)
საკომისიო ხარჯები	(6,380)	(2,408)
მეკავშირე კომპანიების შედეგების წილი	69	66
მოგება დაბეგვრამდე	**81,128**	**41,014**
მოგების გადასახადის ხარჯი	(104)	(32)
წმინდა მოგება	**81,024**	**40,982**

ჯგუფის პასუხისმგებელი პირების განცხადება

ჯგუფის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით, სრულად, სწორად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის აქტივებს, ვალდებულებებს, ფინანსურ მდგომარეობასა და მოგება-ზარალს.

ასევე, წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება სამართლიანად და ამომწურავად მიმოიხილავს ჯგუფის საქმიანობის განვითარებას, შედეგებსა და მდგომარეობას, ასევე არსებული ძირითადი რისკების აღწერას.

პასუხისმგებელი პირების განცხადება

ჩვენ, სამეთვალყურეო საბჭოს თავმდჯომარე თემურ კოხოძე, აღმასრულებელი დირექტორი ვახტანგ კაჭარავა და მთავარი ბუღალტერი მაკა გურული, ვადასტურებთ, რომ:

- მმართველობითი ანგარიშგება და ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი რეგულაციებისა და კანონმდგებლობის შესაბამისად;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ზუსტად, სრულად და სამართლიანად ასახავს ფინანსურ მდგომარეობას, მოგებასა და ზარალს, შემოსავალსა და ხარჯებს, კომპანიის აქტივებს, ვალდებულებებს და ფულად ნაკადებს;
- მმართველობითი ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის განვითარების, ბიზნეს საქმიანობის შედეგების, ძირითადი რისკების სამართლიან მიმოხილვას;
- მმართველობითი ანგარიშგება და ფინანსური ანგარიშგება არის სამართლიანი, გასაგები და უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირთათვის ინფორმაციის მიწოდებას ბიზნეს საქმიანობის შედეგების, კომპანიის არსებული მდგომარეობის და სამომავლო სტრატეგიების შესაფასებლად.

ხელმომწერი:

სახელი: თემურ კოხოძე

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა:

თარიღი:

ხელმომწერი:

სახელი: ვახტანგ კაჭარავა

თანამდებობა: აღმასრულებელი დირექტორი

ხელმოწერა:

თარიღი:

ხელმომწერი:

სახელი: მაკა გურული

თანამდებობა: მთავარი ბუღალტერი

ხელმოწერა:

თარიღი:

პასუხისმგებელი პირების განცხადება

ჩვენ, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯომარე თემურ კოხოძე, აღმასრულებელი დირექტორი ვახტანგ კაჭარავა და მთავარი ბუღალტერი, მაკა გურული, ვადასტურებთ, რომ:

- მმართველობითი ანგარიშგება და ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი რეგულაციებისა და კანონმდგებლობის შესაბამისად;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ზუსტად, სრულად და სამართლიანად ასახავს ფინანსურ მდგომარეობას, მოგებასა და ზარალს, შემოსავალსა და ხარჯებს, კომპანიის აქტივებს, ვალდებულებებს და ფულად ნაკადებს;
- მმართველობითი ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის განვითარების, ბიზნეს საქმიანობის შედეგების, ძირითადი რისკების სამართლიან მიმოხილვას;
- მმართველობითი ანგარიშგება და ფინანსური ანგარიშგება არის სამართლიანი, გასაგები და უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირთათვის ინფორმაციის მიწოდებას ბიზნეს საქმიანობის შედეგების, კომპანიის არსებული მდგომარეობის და სამომავლო სტრატეგიების შესაფასებლად.

ხელმომწერი:

სახელი: თემურ კოხოძე

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა:

თარიღი:

ხელმომწერი:

სახელი: ვახტანგ კაჭარავა

თანამდებობა: აღმასრულებელი დირექტორი

ხელმოწერა:

თარიღი:

ხელმომწერი:

სახელი: მაკა გურული

თანამდებობა: მთავარი ბუღალტერი

ხელმოწერა:

თარიღი:

თეგეტა მოტორს ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისთვის დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნასთან ერთად

თეგეტა მოტორს ჯგუფი

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 1

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2-6

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 7
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 9
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება 10

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

1. თეგეტა მოტორს ჯგუფი 11
2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ 12
3. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკებში და განმარტებით შენიშვნებში 30
4. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა 30
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 31
6. საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი 32
7. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ 37
8. ძირითადი საშუალებები 39
9. არამატერიალური აქტივები 40
10. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები 41
11. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში 43
12. სასაქონლო-მატერიალური მარაგები 43
13. გაცემული სესხები 44
14. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები 45
15. ფული და ბანკში არსებული ნაშთები 46
16. ნასესხები სახსრები 46
17. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება 48
18. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან 49
19. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება 49
20. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 50
21. სარეალიზაციო და სადისტრიბუციო ხარჯები 50
22. სხვა საოპერაციო შემოსავალი 50
23. სხვა საოპერაციო ხარჯები 51
24. ფინანსური ხარჯები 51
25. მოგების გადასახადის ხარჯი 51
26. კაპიტალი 52
27. პირობითი ვალდებულებები 52
28. ფინანსური რისკის მართვა 54
29. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება 57
30. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან 58
31. არაფულადი ოპერაციები 60
32. შემდგომი მოვლენები 60

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

თეგეტა მოტორს ჯგუფი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს თეგეტა მოტორსისა და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ოპერაციების შედეგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (“ფასს”).

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სწორად არჩევასა და მის შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარ და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- იმის შეფასებაზე, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ;
- მმართველობით ანგრიშგებაში ისეთი ინფორმაციის გამჟღავნებაზე, რომელიც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით;
- მმართელობითი ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც შესაბამისობაში ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ბუღალტრული ჩანაწერების ისეთ წარმოებაზე, რომელიც სრულყოფილად წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის ტრანზაქციებს და ნებისმიერ დროს გონივრული სიზუსტით წარმოაჩენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას და საშუალებას აძლევს მენეჯმენტს, რომ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება იყოს ფასს-თან შესაბამისობაში;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც შეესაბამება ქართულ კანონმდებლობასა და ფასს-ს;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 15 მაისს.

ხელმძღვანელობის სახელით:

ვახტანგ კაჭარავა	მაკა გურული
აღმასრულებელი დირექტორი	მთავარი ბუღალტერი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „თეგეტა მოტორსის“ აქციონერებს და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „თეგეტა მოტორსის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარ კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს, არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ შედეგებსა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებელი, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და ვმოქმედებდით პბეკ კოდექსით განსაზღვრული ეთიკური პასუხისმგებლობების დაცვით. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები არის ის საკითხები, რომლებიც, ჩვენი პროფესიული განსჯის საფუძველზე, ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებისას. ეს საკითხები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის და ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბებისას იქნა გათვალისწინებული და ჩვენ ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვხატავთ.

რატომ განისაზღვრა საკითხი აუდიტის ძირითად საკითხად	როგორ მივუდექით ამ საკითხს აუდიტის ფარგლებში
შემოსავლის აღიარება როგორც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-18 შენიშვნაშია ასახული, მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1,378,159 ათასი ლარი, საიდანაც საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალია 1,320,383 ათასი ლარი, ხოლო გაწეული მომსახურებიდან - 57,776 ათასი ლარი. ჩვენ განვსაზღვრეთ შემოსავლის აღიარება, როგორც აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხი, დაბალი ღირებულების მქონე ოპერაციების დიდი მოცულობის გამო, რომელიც მოიცავს გაყიდვებს 430,000-ზე მეტ მომხმარებელთან, ასევე, გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებების ანარიცხის გაანგარიშებისას შეფასების პროცესის განსჯითი ხასიათის გამო. გარდა ამისა, შემოსავალი არის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი, რომლის საფუძველზეც ფასდება ხელმძღვანელობის საქმიანობა. ეს კი ზრდის აუდიტის რისკს, ვინაიდან გაყიდვები და შემოსავლები შესაძლოა სწორ სააღრიცხვო პერიოდში არ ყოფილიყო აღრიცხული. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-2 და მე-18 შენიშვნებში გამჟღავნებულია ინფორმაცია შემოსავლის აღიარებასთან დაკავშირებით.	ჩვენ შევისწავლეთ შემოსავლის აღიარების პროცესი შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროებისათვის. ამასთანავე, შევაფასეთ შემოსავლების აღიარებაზე დაწესებული კონტროლების სტრუქტურა და მათი დანერგვის სისწორე. შერჩევის საფუძველზე, ჩვენ შევამოწმეთ გაყიდვების ხელშეკრულებები, ინვოისები და სხვა შესაბამისი დოკუმენტები და შევადარეთ ისინი სააღრიცხვო სისტემებში აღიარებულ თანხებს. შერჩევის საფუძველზე, ჩვენ გავაანალიზეთ ხელშეკრულების პირობები, შემოსავლების აღიარების ფასს 15-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად. ჩვენ შევისწავლეთ საქონლის უკან დაბრუნების ანარიცხის გაანგარიშებისას გამოყენებული მეთოდოლოგია და გაანგარიშებული ანარიცხი შევადარეთ საქონლის უკან დაბრუნებების რეალურ დონეს, რომელიც აღირიცხა პერიოდის დასრულების შემდეგ. სააღრიცხვო სისტემიდან ამოღებული მონაცემების გამოყენებით, ჩვენ გავაანალიზეთ უჩვეულო ჟურნალური გატარებები, როგორიცაა ჟურნალური გატარებები ჩაწერილი უჩვეულო დროს ან არასათანადო პირების მიერ, ან შემოსავალზე გავლენის მქონე დიდი ან უჩვეულო თანხები, ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას განხორციელებული სხვა კორექტირებები. ჩვენ შევამოწმეთ, რომ ფინანსური წლის ბოლოს და ახალი ფინანსური წლის დასაწყისში აღიარებული შემოსავალთან დაკავშირებული ტრანზაქციები აღირიცხა სათანადო სააღრიცხვო პერიოდში. შერჩეული ტრანზაქციებისთვის სათანადო დოკუმენტების საფუძველზე ჩვენ შევადარეთ კონტროლის გადაცემის თარიღი სააღრიცხვო ჩანაწერებში შემოსავლის აღიარების თარიღს. ჩვენ გავაანალიზეთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლების აღიარებასთან დაკავშირებით გამჟღავნებული ინფორმაცია.
გუდვილის გაუფასურება	
გუდვილის გაუფასურება აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხად ჩავთვალეთ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ამ ნაშთების სიდიდისა და ანაზღაურებადი ღირებულების დადგენაში გამოყენებული განსჯის, შეფასებისა და დაშვებების გამო. ჯგუფი ვალდებულია, სულ მცირე წელიწადში ერთხელ, შეაფასოს გუდვილის გაუფასურება.	ჩვენ შევისწავლეთ გუდვილის გაუფასურებასთან და ანაზღაურებადი ღირებულების დადგენასთან დაკავშირებული პროცესი. მომავალი დისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე გამოყენების ღირებულების გამოთვლის ჯგუფისეული მეთოდოლოგია შევადარეთ შეფასების იმ მეთოდებს, რომლებიც წინა პერიოდებში გამოიყენებოდა საწარმოთა გაერთიანებისა და გუდვილის აღიარებაში.

გამოყენების ღირებულების გამოთვლისას ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობა და მათი შემოდინების დრო ისეთი დაშვებების საფუძველზე, რომლებიც მომავალ საბაზრო და ეკონომიკურ პირობებს ექვემდებარება. განსჯის საგანია, აგრეთვე, იმ დისკონტირების განაკვეთის დადგენა, რომელიც ამ ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების დადგენისას გამოიყენება.

მეტი ინფორმაცია იხილეთ მე-6 შენიშვნაში.

ჩვენ შევაფასეთ ძირითადი დაშვებების მართებულობა, განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ საპროგნოზო შემოსავალს, მოგების მარჟებსა და ზრდის გრძელვადიან განაკვეთს; გავითვალისწინეთ ის მიმდინარე და მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური პირობები, რომლებიც შესაბამის ფულად ნაკადებზე მოქმედებს. ამ ძირითადი დაშვებების შეფასებისას, ისინი განვიხილეთ მენეჯმენტთან, რათა გაგვეგო და შეგვეფასებინა დაშვებების შეფასების მენეჯმენტისეული მიდგომა; აგრეთვე შევადარეთ დაშვებები სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ გარე ინფორმაციას და ეკონომიკური ზრდის პროგნოზს. მენეჯმენტისეული პროგნოზების ხარისხის დასადგენად, რეალური ისტორიული შედეგები შევუდარეთ დაგეგმილს.

ჩვენ მოვიპოვეთ და შევაფასეთ მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ძირითადი დაშვებების მგრძნობელობის ანალიზი. ამის მიზანი იყო იმაში დარწმუნება, რომ ძირითადი დაშვებების შერჩეული არასახარბიელო ცვლილებები, ცალცალკე ან აგრეგატულად, არ გამოიწვევს იმას, რომ გუდვილის საბალანსო ღირებულებამ გადააჭარბოს ანაზღაურებად ღირებულებას.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის მმართველობით ანგარიგებაში შესულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემულ ჩვენს აუდიტის დასკვნას. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ჯგუფის მმართველობითი ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი, სავარაუდოდ, გახდება წინამდებარე აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ ფარავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არ გავცემთ მასთან დაკავშირებით არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გაცემულ ჩვენს დასკვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს ზემოთ ხსენებული სხვა ინფორმაციის გაცნობას, როდესაც ის ხელმისაწვდომი გახდება, და ამ პროცესში, იმის დადგენას, ხომ არ არის არსებითი შეუსაბამობა სხვა ინფორმაციასა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის დროს მოპოვებულ ინფორმაციას შორის, ან სხვაგვარად ხომ არ შეიცავს ის არსებით უზუსტობებს. თუ, ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, დავასკვნით, რომ ამ სხვა ინფორმაციაში მოცემულია არსებითად მცდარი ინფორმაცია, ჩვენ ვალდებულნი ვართ, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა ვალდებულებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით

ხელმძღვანელობა ვალდებულია მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს ჯგუფის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა,

როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს ჯგუფის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის შესახებ, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი მოსაზრების გამომხატველი იქნება. გონივრული რწმუნება მაღალი ხარისხის რწმუნებას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად ან ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების იდენტიფიცირებასა და შეფასებას; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ სააღრიცხვო პოლიტიკების და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო დაშვებებისა და შესაბამისი განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით აღრიცხვის წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ აღნიშნულ საკითხზე შესაბამის განმარტებით შენიშვნებში, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისთვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება ჯგუფი აიძულოს, შეწყვიტოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარსს , მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, თუ რამდენად სამართლიანადაა ასახული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამისი ტრანზაქციები და მოვლენები.
- ვიღებთ საკმარის და შესაბამის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის შიგნით არსებული საწარმოებისა და ბიზნეს საქმიანობების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჯგუფის აუდიტის ხელმძღვანელობასა, მეთვალყურეობასა და წარმართვაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე, მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის, ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

ამასთანავე, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს წარვუდგენთ ანგარიშს ჩვენ მიერ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით და ვუზიარებთ მათ ინფორმაციას ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც შესაძლოა, გონივრულ ეჭვს იწვევდეს ჩვენი დამოუკიდებლობის შესახებ, და, შესაბამის შემთხვევაში, დამოუკიდებლობის შენარჩუნებასთან დაკავშირებულ ზომებს.

სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენილ საკითხებს შორის განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიმდინარეობისას და, შესაბამისად, სწორედ ისინი წარმოადგენენ აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. ჩვენ აღნიშნულ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტის დასკვნაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კანონით ან ნორმატიული აქტით არის აკრძალული საკითხის საჯაროობა, ან როცა, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, გადავწყვეტთ, რომ საკითხი არ უნდა აისახოს ჩვენს დასკვნაში, რადგან მოსალოდნელია, რომ ამით გამოწვეული უარყოფითი შედეგები გადაწონის ამ ინფორმაციის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილების სარგებელს.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის გარიგების პარტნიორიც არის შოთა ნანიტაშვილი.

შოთა ნანიტაშვილი (რეგ# SARAS–A–957146)
შპს „დელოიტი და ტუშის“ სახელით (რეგ# SARAS–F–107265)

2024 წლის 15 მაისი
თბილისი, საქართველო

თეგეტა მოტორს ჯგუფი
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	243,511	173,258
არამატერიალური აქტივები	9	8,637	8,609
აქტივის გამოყენების უფლება	10	42,947	25,809
ძირითადი საშუალებებისათვის გადახდილი ავანსები		11,264	8,065
გარანტიებთან დაკავშირებული აქტივები		4,644	1,344
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	11	673	533
გუდვილი	6	82,593	82,593
სულ გრძელვადიანი აქტივები		**394,269**	**300,211**
მოკლევადიანი აქტივები			
გარანტიებთან დაკავშირებული აქტივი		2,310	2,134
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	12	364,432	276,331
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	14	65,103	73,297
გადახდილი ავანსები მომწოდებლებისთვის		29,851	27,475
საგადასახადო აქტივები		12,391	466
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		5,891	3,162
გაცემული სესხები	13	14,153	40,033
ფული და ბანკში არსებული ნაშთები	15	70,445	78,904
სულ მოკლევადიანი აქტივები		**564,576**	**501,802**
სულ აქტივები		**958,845**	**802,013**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		44,733	44,733
გაუნაწილებელი მოგება	26	185,428	151,748
სხვა რეზერვები		–	(28,351)
კაპიტალის სხვა კომპონენტები		(5,613)	(451)
კომპანიის მფლობელებისადმი მიკუთვნებული კაპიტალი		**224,548**	**167,679**
არამაკონტროლებელი წილი		329	2,179
სულ კაპიტალი		**224,877**	**169,858**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	16	301,608	202,764
საიჯარო ვალდებულებები	10	37,002	20,174
საგარანტიო ანარიცხი		4,950	1,488
სხვა ფინანსური ვალდებულებები	27	–	28,571
სახელშეკრულებო ვალდებულებები	18	3,422	5,308
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**346,982**	**258,305**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	16	118,144	82,438
საიჯარო ვალდებულებები	10	6,182	4,492
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	17	184,496	186,339
საგარანტიო ანარიცხი		2,808	2,445
სხვა ფინანსური ვალდებულებები	27	–	1,409
საგადასახადო ვალდებულებები, მოგების გადასახადის გარდა		8,979	8,205
სახელშეკრულებო ვალდებულებები	18	66,377	88,522
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**386,986**	**373,850**
სულ ვალდებულებები		**733,968**	**632,155**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**958,845**	**802,013**

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2024 წლის 15 მაისს

ვახტანგ კაჭარავა
აღმასრულებელი დირექტორი

მაკა გურული
მთავარი ბუღალტერი

11-60 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

თეგეტა მოტორს ჯგუფი
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან	18	1,378,159	950,221
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	19	(1,081,579)	(752,856)
საერთო მოგება		**296,580**	**197,365**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	20	(125,556)	(100,133)
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	21	(33,868)	(26,869)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	22	10,015	14,695
სხვა საოპერაციო ხარჯები	23	(8,270)	(5,618)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		**138,901**	**79,440**
ფინანსური შემოსავალი		10,600	7,837
ფინანსური ხარჯები	24	(68,442)	(46,329)
წილი მეკავშირე საწარმოების ფინანსური შედეგებში	11	69	66
მოგება დაბეგვრამდე		**81,128**	**41,014**
მოგების გადასახადის ხარჯი	25	(104)	(32)
წლის მოგება		**81,024**	**40,982**
უცხოური ქვედანაყოფების გადაფასებისას წარმოქმნილი საკურსო სხვაობები		(94)	(451)
მთლიანი სრული შემოსავალი		**80,930**	**40,531**
წლის მოგება, რომელიც მიეკუთვნება:			
- ჯგუფის მფლობელებს		82,016	40,779
- არამაკონტროლებელ წილის მფლობელს		(992)	203
წლის მოგება		**81,024**	**40,982**
მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც მიეკუთვნება:			
- ჯგუფის მფლობელებს		81,922	40,328
- არამაკონტროლებელ წილის მფლობელს		(992)	203
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**80,930**	**40,531**

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2024 წლის 15 მაისს

ვახტანგ კაჭარავა
აღმასრულებელი დირექტორი

მაკა გურული
მთავარი ბუღალტერი

11-60 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

თეგეტა მოტორს ჯგუფი
საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	სხვა რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	კაპიტალის სხვა კომპონენტები	ჯგუფის მფლობელებისთვის მიკუთვნებული	არამაკონტროლებელი წილის მფლობელებისთვის მიკუთვნებული	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	**44,733**	**(69,362)**	**125,969**	**–**	**101,340**		**101,340**
წლის მოგება	–	–	40,779	–	40,779	**203**	**40,982**
საკურსო სხვაობები	–	–	–	(451)	(451)	–	**(451)**
* საწარმოთა გაერთიანების პუნქტი მოიცავს ორ ელემენტს: პირველი, შვილობილი კომპანიების სესხების კონსოლიდაციას შეძენის თარიღისთვის 10,536 ლარის ოდენობით, რომლებიც ინტეგრირებული იყო ჯგუფში, როგორც საწარმოთა გაერთიანების ნაწილი, და მეორე, საწარმოთა გაერთიანების შედეგად ჯგუფთაშორისი სესხების ელიმინაცია შეძენის თარიღისთვის 13,185 ლარის ოდენობით.

14. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	68,241	78,411
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(8,165)	(7,462)
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	**60,076**	**70,949**
მისაღები დივიდენდები	14	–
სხვა დებიტორული დავალიანებები	5,013	2,348
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	**65,103**	**73,297**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებში შესული ფინანსური აქტივების ანალიზი საკრედიტო ხარისხის მიხედვით ჯგუფისთვის არის შემდეგი:

	მიმდინარე	<31 დღე	31–93 დღე	93-186 დღე	186-341 დღე	>341 დღე	სულ
დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება	17,047	20,672	13,271	5,247	7,794	9,237	**73,268**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	273	287	923	686	1,769	4,227	**8,165**
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი	1.6%	1.39%	6.96%	13.07%	22.70%	45.76%	**11.14%**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებში შესული ფინანსური აქტივების ანალიზი საკრედიტო ხარისხის მიხედვით ჯგუფისთვის არის შემდეგი:

	მიმდინარე	<31 დღე	31–93 დღე	93-186 დღე	186-341 დღე	>341 დღე	სულ
დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება	6,836	39,691	8,297	6,852	3,277	15,806	**80,759**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	68	33	236	564	814	5,747	**7,462**
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი	0.99%	0.08%	2.84%	8.23%	24.84%	36.36%	**9.24%**

მოძრაობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხებში შემდეგია:

	2023	2022
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი 1 იანვარს	**7,462**	**15,105**
(აღდგენა) / წლის დანარიცხი, წმინდა	703	(7,643)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი 31 დეკემბერს	**8,165**	**7,462**

15. ფული და ბანკში არსებული ნაშთები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	32,098	11,662
ფულადი სახსრები გზაში	63	244
ნაღდი ფული სალაროში	1,501	1,758
შეზღუდული გამოყენების უფლების მქონე ფულადი სახსრები	36,783	65,240
სულ ფული და ბანკში არსებული ნაშთები	**70,445**	**78,904**
შეზღუდული გამოყენების უფლების მქონე თანხები	(36,783)	(65,240)
სულ ფული და მისი ეკვივალენტები ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში	**33,662**	**13,664**

ჯგუფი ძირითად ფულად სახსრებს და ბანკში არსებულ ნაშთებს ფლობს საქართველოს კომერციულ ბანკში, რომელსაც „Standard and Poor's"-ის და „Fitch"-ის სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული აქვთ BB რეიტინგი.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეზღუდული ფულადი სახსრების ნაშთის მნიშვნელოვანი ოდენობა, ძირითადად, მოიცავს კლიენტებისგან მიღებულ წინასწარ გადახდებს. ეს ფულადი სახსრები დამატებით გამოყენებულია, როგორც საბანკო პროდუქტების უზრუნველყოფა, რომლებიც გაიცემა ზემოაღნიშნულ კლიენტებთან დაკავშირებით.

2023 წელს ფულად სახსრებზე დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა ჯგუფისთვის შეადგინა 1,456 ლარი, (2022წ.: 533 ლარი).

16. ნასესხები სახსრები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მიღებული სესხები - გრძელვადიანი ნაწილი	301,608	202,764
მიღებული სესხები - მიმდინარე ნაწილი	118,144	82,438
სულ ნასესხები სახსრები	**419,752**	**285,202**

2022 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოუშვა ობლიგაციები 150,000 ლარის ოდენობით, 2025 წელს დაფარვის ვადით, ცვლადი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც შედგება 3.5% + საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი TIBR 3M. ობლიგაციები გამოყენებული იქნა საქართველოს კომერციული ბანკებიდან არსებული სესხების რეფინანსირებისთვის.

2023 წლის აპრილში კომპანიამ წარმატებით განათავსა ობლიგაციები, საერთო ღირებულებით 20,000 აშშ დოლარი (ISIN: GE 2700604335) და 5,000 ევრო (ISIN: GE 2700604327), საპროცენტო განაკვეთებით 8.5% და 7%, შესაბამისად. ეს იყო კომპანიების პირველი გამოშვება უცხოურ ვალუტაში, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ინდივიდუალური ინვესტორებისთვის. აღნიშნული გამოშვებიდან შემოსული თანხა მთლიანად მოხმარდა ჯგუფის არსებული სასესხო ვალდებულებების რეფინანსირებას.

2023 წლის 29 ივნისს კომპანიამ წარმოადგინა 20,000 ლარის ღირებულების ობლიგაციები (ISIN: GE 2700604376), ცვლადი საპროცენტო განაკვეთით - 3.5% + საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი TIBR 6M. ეს წარმოადგენს ლარში დენომინირებულ პირველ მწვანე ობლიგაციებს და არის მწვანე ობლიგაციების ყველაზე დიდი ტრანზაქცია ადგილობრივ საფონდო ბირჟაზე. აზიის განვითარების ბანკმა სრულად შეიძინა ეს ობლიგაციები, რაც ჯგუფისთვის პირველი პირდაპირი უცხოური ინვესტიციაა. ამ ობლიგაციებით მოზიდული თანხები მთლიანად დაეთმობა მწვანე ინიციატივებს, რაც ხაზს უსვამს ჯგუფის მდგრადი განვითარების გრძელვადიან ვალდებულებას.

16. ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

2023 წლის განმავლობაში კომპანიამ, ასევე, წარმატებით განათავსა ობლიგაციები, საერთო ღირებულებით 20,000 ლარი (ISIN: GE 2700604590), 4,000 ევრო (ISIN: GE 2700604566) და 7,000 ევრო (ISIN: GE 2700604616), საპროცენტო განაკვეთებით 14.5%,7% და 6.75%, შესაბამისად. აღნიშნული გამოშვებიდან შემოსული თანხა მთლიანად მოხმარდა ჯგუფის არსებული სასესხო ვალდებულებების რეფინანსირებას.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია მიღებული დაუფარავი სესხები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ორიგინალი ვალუტა	ხელშეკრულების თარიღი	დაფარვის თარიღი	გამსესხებელი	თანხა
GEL	2022	2025	ობლიგაციები	149,749
GEL	2022	2024	ქართული კომერციული ბანკი	38,481
GEL	2023	2024	ქართული კომერციული ბანკი	39,240
USD	2023	2025	ობლიგაციები	54,285
EUR	2023	2025	ობლიგაციები	46,763
GEL	2023	2025	ობლიგაციები	39,531
JPZ	2023	2024	ქართული კომერციული ბანკი	11,720
USD	2023	2024	აზერბაიჯანული კომერციული ბანკი	11,327
GEL	2019	2025	ქართული კომერციული ბანკი	7,366
GEL	2021	2026	ქართული კომერციული ბანკი	5,599
RUB	2021	2024	ქართული კომერციული ბანკი	5,428
GEL	2023	2033	ქართული კომერციული ბანკი	2,713
EUR	2023	2024	ქართული კომერციული ბანკი	2,265
EUR	2023	2028	ქართული კომერციული ბანკი	2,043
EUR	2023	2024	იურიდიული პირი	1,045
GEL	2020	2025	ქართული კომერციული ბანკი	940
USD	2023	2024	ქართული კომერციული ბანკი	716
GEL	2022	2025	ქართული კომერციული ბანკი	153
GEL	2022	2024	იურიდიული პირი	151
GEL	2022	2024	ფიზიკური პირი	90
GEL	2019	2024	ქართული კომერციული ბანკი	71
GEL	2022	2026	ქართული კომერციული ბანკი	53
GBP	2023	2024	ქართული კომერციული ბანკი	21
USD	2023	2024	იურიდიული პირი	2
				419,752

2023 ფინანსურ წელს, ადგილობრივ ვალუტაში დენომინირებული სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი იყო 12.2%, ხოლო 2022 ფინანსურ წელს აღნიშნული განაკვეთი 13%-დან 14%-მდე მერყეობდა. ამ სესხების დაფარვის საშუალო ვადა 2023 ფინანსურ წელს შეადგენდა 362 დღეს, ხოლო 2022 ფინანსურ წელს დაფარვის საშუალო ვადა იყო 831 დღე.

ანალოგიურად, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 2023 ფინანსური წლის განმავლობაში იყო 7.74%, ხოლო 2022 ფინანსურ წელს აღნიშნული განაკვეთი მერყეობდა 8%-დან 9%-მდე. 2022 ფინანსურ წელს უცხოურ ვალუტაში სესხების დაფარვის საშუალო ვადა იყო 375 დღე, ხოლო 2022 ფინანსურ წელს დაფარვის საშუალო ვადა იყო 338 დღე.

16. ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია მიღებული დაუფარავი სესხები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ორიგინალი ვალუტა	ხელშეკრულების თარიღი	დაფარვის თარიღი	გამსესხებელი	თანხა
GEL	2022	2025	ობლიგაციები	149,479
GEL	2018	2032	ქართული კომერციული ბანკი	103,145
EUR	2022	2025	ქართული კომერციული ბანკი	10,971
USD	2022	2023	ქართული კომერციული ბანკი	24
RUB	2021	2022	ქართული კომერციული ბანკი	6,654
JPY	2022	2023	ქართული კომერციული ბანკი	7,694
GEL	2022	2023	იურიდიული პირი	1,438
EUR	2021	2023	იურიდიული პირი	209
USD	2022	2023	იურიდიული პირი	4,990
GEL	2022	2023	ფიზიკური პირი	598
				285,202

ინფორმაცია საბანკო სესხებისთვის უზრუნველყოფის საგნის სახით დაგირავებული აქტივების შესახებ და განხილვები ვალდებულებებთან შესაბამისობის თაობაზე მოცემულია 27-ე შენიშვნაში.

ნასესხები სახსრების მოძრაობა ასე გამოიყურებოდა:

	2023	2022
1 იანვარს	**285,202**	**170,208**
სესხის აღება	539,239	458,490
შვილობილი საწარმოების შეძენა*	–	28,335
საწარმოთა გაერთიანებით გამოწვეული ელიმინაცია*	–	(13,185)
საპროცენტო ხარჯი (24-ე შენიშვნა	47,615	37,044
კაპიტალიზებული პროცენტი	2,225	1,378
გადახდილი პროცენტი	(48,504)	(37,633)
ძირი თანხის დაფარვა	(408,394)	(353,861)
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსავალი	2,439	(5,107)
გაქვითვა დებიტორული დავალიანებით	(70)	(467)
31 დეკემბერს	**419,752**	**285,202**

* პუნქტი „შვილობილი საწარმოების შეძენა“ წარმოადგენს შეძენილი შვილობილი საწარმოების სესხების კონსოლიდაციას შეძენის თარიღისთვის 28,335 ლარის ოდენობით, რომლებიც შედიოდა ჯგუფში, როგორც საწარმოთა გაერთიანების ნაწილი. ამის საპირისპიროდ, პუნქტი „საწარმოთა გაერთიანებით გამოწვეული ელიმინაცია“ ასახავს ჯგუფთაშორისი სესხების ელიმინაციას 13,185 ლარის ოდენობით, შეძენის თარიღისთვის, რაც განაპირობა საწარმოთა გაერთიანებამ.

17. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	157,053	140,729
გრძელვადიანი აქტივებისათვის გადასახდელი თანხები	9,586	2,552
გადასახდელი დივიდენდები	747	2,752
ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების მიმართ	12	26
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში შესული ფინანსური ვალდებულებები	**167,398**	**146,059**
დარიცხული თანამშრომლების სარგებლის ხარჯები	15,415	12,290
ვალდებულებები შვილობილი კომპანიების შეძენასთან დაკავშირებით*	98	26,562
სხვა	1,585	1,428
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	**184,496**	**186,339**

17. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (გაგრძელება)

* 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს აქვს 98 ლარისა და 26,562 ლარის ღირებულების ვალდებულებები, რომლებიც უკავშირდება ყოფილი მფლობელებისგან შვილობილი კომპანიების შეძენას. ეს ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღისთვის და დისკონტირდება მოქმედი საბაზრო განაკვეთის გამოყენებით.

18. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან

	2023	2022
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	1,320,383	904,169
შემოსავალი გაწეული მომსახურებებიდან	57,776	46,052
სულ შემოსავალი	**1,378,159**	**950,221**

2023 და 2022 წლების განმავლობაში საქონლის გადაცემა მოხდა დროის გარკვეულ მომენტში, ხოლო მომსახურების გაწევა - დროის განმავლობაში.

ჯგუფმა აღიარა შემოსავალთან დაკავშირებული შემდეგი სავაჭრო დებიტორული დავალიანებები და სახელშეკრულებო ვალდებულებები:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები (მე-14 შენიშვნა)	60,076	70,949
სახელშეკრულებო ვალდებულებები - გრძელვადიანი ნაწილი	3,422	5,308
სახელშეკრულებო ვალდებულებები - მიმდინარე ნაწილი	66,377	88,522

სავაჭრო მოთხოვნების აღიარება ხორციელდება მაშინ, როდესაც ანაზღაურებაზე უფლება უპირობო ხდება. სახელშეკრულებო ვალდებულებები არის კლიენტებისგან მიღებული ანაზღაურება და წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებას, გადასცეს საქონელი ან მომსახურება გაუწიოს ამ კლიენტებს.

66,377 ლარის ოდენობით ჯგუფის სახელშეკრულებო ვალდებულებების შემოსავლად აღიარება მოსალოდნელია 2024 წელს. ეს ვალდებულებები უკავშირდება შესასრულებელ ვალდებულებებს, რომლებიც საანგარიშგებო თარიღში ჯერ არ იყო დაკმაყოფილებული. 2023 წელს ჯგუფმა შემოსავლის სახით თითქმის სრულად აღიარა სახელშეკრულებო ვალდებულებები, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში აღრიცხული იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილში.

სახელშეკრულებო ვალდებულებების გრძელვადიანი ნაწილი მთლიანად უკავშირდება ჯგუფის მიერ გაყიდული ავტობუსების მომსახურების ტიპის გარანტიებს.

19. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2023	2022
დროის კონკრეტულ მონაკვეთში გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(1,011,976)	(710,928)
დროის განმავლობაში გაწეული მომსახურების თვითღირებულება:		
პერსონალთან დაკავშირებული ხარჯები	(31,085)	(24,978)
შესყიდული მომსახურებები	(20,745)	(7,032)
ცვეთა და ამორტიზაცია	(6,677)	(4,375)
გამოყენებული სახარჯი მასალები	(1,902)	(1,656)
მოკლევადიან და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	(1,243)	(3)
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	(237)	(540)
სხვა ხარჯები	(7,714)	(3,344)
სულ გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	**(1,081,579)**	**(752,856)**

20. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
პერსონალთან დაკავშირებული ხარჯები	(73,710)	(55,254)
ცვეთა და ამორტიზაცია	(9,362)	(7,063)
პროფესიული მომსახურება	(9,004)	(5,846)
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	(5,836)	(5,247)
ოფისის ხარჯი	(5,408)	(5,065)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(5,131)	(7,601)
მივლინების ხარჯი	(3,339)	(1,952)
კომუნალური ხარჯები	(3,061)	(2,787)
შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	(1,588)	(839)
საბანკო ხარჯები	(1,441)	(854)
კომუნიკაციის ხარჯები	(1,306)	(1,125)
საწვავის ხარჯი	(1,203)	(1,466)
დაცვის ხარჯები	(1,043)	(848)
აუდიტის ხარჯი	(673)	(260)
მოკლევადიან და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	(344)	(1,351)
სხვა ხარჯები	(3,107)	(2,575)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**(125,556)**	**(100,133)**

21. სარეალიზაციო და სადისტრიბუციო ხარჯები

	2023	2022
პერსონალთან დაკავშირებული ხარჯები	(12,983)	(10,933)
რეკლამაზე გაწეული ხარჯი	(11,740)	(9,770)
დისტრიბუციის ხარჯები	(5,096)	(3,018)
ტრანსპორტირებს ხარჯი	(1,004)	(450)
საწვავის ხარჯი	(982)	(1,077)
მოკლევადიან და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	(276)	(57)
შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯი	(150)	(69)
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	–	(128)
სხვა ხარჯები	(1,637)	(1,367)
სულ სარეალიზაციო და სადისტრიბუციო ხარჯები	**(33,868)**	**(26,869)**

22. სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2023	2022
პროფესიული მომსახურება	1,786	890
სადაზღვევო ზარალის ანაზღაურება	1,416	352
შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან (ა)	1,068	443
გაცემული სესხების გაუფასურების აღდგენა	705	–
საწყობის მომსახურებები	343	315
საკრედიტო დავალიენების პატიება	243	134
დებიტორული დავალიანების გაუფასურების აღდგენა	–	7,369
შემოსავალი ჯარიმებიდან	–	286
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა	–	186
სხვა	4,454	4,720
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	**10,015**	**14,695**

(ა) ჯგუფმა გააფორმა საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებები, რომლებიც მოიცავდა კონკრეტულ შენობა-ნაგებობებსა და საოფისე აღჭურვილობას. ამ იჯარების ვადები ერთიდან ცხრა წლამდეა.

23. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2023	2022
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ჩამოწერა წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე (მე-12 შენიშვნა)	(3,515)	(2,197)
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დარიცხვა და უიმედო სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების ჩამოწერა (მე-14 შენიშვნა)	(921)	–
საურავები, ჯარიმები და გადასახადებთან დაკავშირებული ხარჯები	(307)	(548)
ქველმოქმედებაზე გაწული ხარჯი	(36)	(83)
გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი (მე-13 შენიშვნა)	–	(523)
სხვა	(3,491)	(2,267)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	**(8,270)**	**(5,618)**

24. ფინანსური ხარჯები

	2023	2022
სესხების საპროცენტო ხარჯი (მე-16 შენიშვნა)	(47,615)	(37,044)
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	(8,538)	–
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე (მე-10 შენიშვნა)	(2,970)	(2,556)
სხვა ფინანსური ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი (27-ე შენიშვნა)	(2,939)	(3,681)
სხვა	(6,380)	(3,048)
სულ ფინანსური ხარჯები	**(68,442)**	**(46,329)**

25. მოგების გადასახადის ხარჯი

მიმდინარე მოგების გადასახადი წარმოადგენს გადასახადს კომპანიის პარტნიორებისთვის გამოცხადებულ დივიდენდებზე.

	2023	2022
სულ გამოცხადებული დივიდენდები	**(48,336)**	**(15,000)**
საიდანაც:		
დაუბეგრავი დივიდენდები	(47,747)	(14,817)
დასაბეგრი დივიდენდები	(589)	(183)
გამოყენებული საგადასახადო განაკვეთი (%)	15/85	15/85
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით	**(104)**	**(32)**
დაუქვითავი ხარჯები და სხვა მუდმივი განსხვავებები	–	–
მოგების გადასახადის ხარჯი	**(104)**	**(32)**

შპს „თი ჯი ემ ჯგუფზე“ 47,747 ლარის ოდენობით განაწილებულ დივიდენდებზე გადასახადი არ ირიცხება, რადგან დივიდენდის განაწილება ქართულ იურიდიულ პირებს შორის განხორციელდა (2022: 14,817 ლარი).

26. კაპიტალი

26.1 გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები

2023 წელს კომპანიამ გამოაცხადა დივიდენდები მის არსებულ პარტნიორებზე 48,336 ლარის (2022: 15,000 ლარი) ოდენობით.

26.2 ფინანსური გარანტიები აქციონერებზე

ფინანსური გარანტიები აქციონერებზე უკავშირდება ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვას ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისად. 2023 წლის დეკემბერში ფინანსური გარანტია ჩაიხურა და კაპიტალში მისი შეწყვეტის ეფექტმა შეადგინა 28,351 ლარი.

27. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვა საგადასახადო უწყების მიერ განსხვავებულად შეიძლება იქნეს გაგებული. გადასახადები ექვემდებარება გადახედვას და მოკვლევას მთელი რიგი სახელმწიფო უწყებების მიერ, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმებისა და საურავების დაკისრების უფლება.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად აღრიცხა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისგან და თუ ისინი შეძლებენ საკუთარი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამას, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2024 წლის იანვარში შემოსავლების სამსახურმა ჩაატარა მოკვლევა წილის შესყიდვის ოპერაციებთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავდა დაკავშირებულ მხარეს და დაადგინა, რომ ოპერაციებს შესაძლოა არ ჰქონოდათ ეკონომიკური შინაარსი, შესაბამისად კომპანიას პოტენციურად შესაძლოა შექმნოდა დამატებითი საგადასახადო ვალდებულება. შედეგად, შემოსავლების სამსახურმა განსაზღვრა ჯამური საგადასახადო ვალდებულება 39,390 ლარის ოდენობით, რომელიც მოიცავს საშემოსავლო გადასახადს, ჯარიმებსა და საურავებს.

კომპანია არ ეთანხმება აღნიშნულ შეფასებას და მიიჩნევს, რომ ოპერაციები განხორციელებული იყო ლეგიტიმური ბიზნეს საქმიანობის მიზნებიდან და მიმდინარე საბაზრო პირობებიდან გამომდინარე. გადახდილი ანაზღაურება შესაბამისობაშია სამართლიან ღირებულებასთან, რაც დამოუკიდებელმა და სანდო შემფასებელმა განსაზღვრა.

თეგეტა მოტორსმა გაასაჩივრა აღნიშნული საკითხი შესაბამის სტრუქტურებში, მათ შორის საჩივარი შეეხო შემოსავლების სამსახურის შეფასებების პროცედურულ საკითხებს. კომპანიას ჩართული ყავს საქართველოს წამყვანი საკონსულტაციო ფირმა აღნიშნულ საკითხზე საკუთარი ინტერესების დასაცავად. ხელმძღვანელობა თავდაჯერებულია კომპანიის პოზიციების სიმყარეში და საკითხის დადებით გადაწყვეტას მოელის.

დაგირავებული აქტივები

ქვემოთ მოცემული აქტივები დაგირავებული იყო ბანკებისგან ნასესხები სახსრების უზრუნველყოფის საგნის სახით (მე-16 შენიშვნა):

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მიწა და შენობა-ნაგებობები (მე-8 და მე-16 შენიშვნები)	121,513	111,231
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა (მე-8 და მე-16 შენიშვნები)	15,249	12,492
სასაქონლო-მატერიალური მარაგები (მე-12 და მე-16 შენიშვნა)	364,432	276,331

27. პირობითი ვალდებულებები(გაგრძელება)

ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები და სხვა ფინანსური ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ გააფორმა ორი საგარანტიო ხელშეკრულება საქართველოს კომერციულ ბანკთან. 1-ლი გარანტიის ფარგლებში კომპანია საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიების (მათ შორის მშობელი საწარმოს) მიერ ბანკის წინაშე არსებული სასესხო ვალდებულებების შესრულების გარანტიას იძლევა. 2023 წლის დეკემბერში აღნიშნული გარანტია შეწყდა და კომპანიის ფინანსური ვალდებულებები გამოთავისუფლდა წლის ბოლოს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გარანტიები იყო შემდეგი:

ინსტრუმენტი	ემიტენტი	ბენეფიციარი	ვალუტა	მაქსიმა-ლური რისკი	სხვა ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო ღირებულება
გარანტია 1	შპს „თეგეტა მოტორსი“	შპს „თი ჯი ემ ჯგუფი“	ლარი	120,000	29,980
					29,980

ფინანსური გარანტიების მოძრაობა ასე გამოიყურებოდა:

	2023	2022
ფინანსური გარანტიები 1 იანვარს	**29,980**	**70,603**
საპროცენტო ხარჯები	2,939	3,681
ხელახალი შეფასებით მიღებული შემოსულობა	(4,484)	(1,671)
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა, წმინდა	(84)	(1,623)
წლის განმავლობაში ჩახურული გარანტიები	(28,351)	(41,010)
ფინანსური გარანტიები 31 დეკემბერს	–	**29,980**

სახელშეკრულებო პირობების შესრულება

ჯგუფს აკისრია კონკრეტული სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც უმეტესად მის საბანკო სესხებსა და ობლიგაციებს უკავშირდება (მე-16 შენიშვნა). ამგვარ ვალდებულებებთან შეუსაბამობამ, შესაძლოა, გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები ჯგუფისთვის. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი ასრულებდა ყველა სახელშეკრულებო პირობას.

სახელშეკრულებო ვალდებულებები - ჯგუფი, როგორც მეიჯარე

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არაგაუქმებად საოპერაციო იჯარებზე ჯგუფის მიერ მისაღები მინიმალური სამომავლო საიჯარო ქირა შეადგენდა შემდეგს:

	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
საიჯარო შემოსავალი	124	249	1,008	2,157	–	**3,538**
სულ მომავალი გადახდები	**124**	**249**	**1,008**	**2,157**	–	**3,538**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არაგაუქმებად საოპერაციო იჯარებზე ჯგუფის მიერ მისაღები მინიმალური სამომავლო საიჯარო ქირა შეადგენდა შემდეგს:

	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
საიჯარო შემოსავალი	48	91	342	1,309	216	**2,006**
სულ მომავალი გადახდები	**48**	**91**	**342**	**1,309**	**216**	**2,006**

28. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს ნასესხებ სახსრებს, საიჯარო ვალდებულებებს, ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს, სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებსა და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია დაფინანსების მოზიდვა ჯგუფის საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობისთვის. ჯგუფს აქვს უშუალოდ თავისი საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები, ფინანსური დაწესებულებების მიმართ მოთხოვნები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და გაცემული სესხები. ჯგუფს წარმოეშობა საკრედიტო, სავალუტო, ლიკვიდურობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიადგება. ჯგუფს წარმოეშობა საკრედიტო რისკი საოპერაციო საქმიანობიდან (ძირითადად, სავაჭრო დებიტორული დავალიანებები) და ფინანსური საქმიანობიდან, ბანკებში განთავსებული ანაბრების ჩათვლით.

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების კლასების მიხედვით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები (მე-14 შენიშვნა)	65,103	73,297
გაცემული სესხები (მე-13 შენიშვნა)	14,153	40,033
ფულადი სახსრები და ბანკში არსებული ნაშთები (მე-15 შენიშვნა)	70,445	78,904
სულ საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა	**149,701**	**192,234**

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

გაუფასურების ანალიზი ტარდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის მატრიცის გამოყენებით, ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის. დარეზერვების დონე ეფუძნება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობას ზარალის მსგავსი მახასიათებლების მქონე სხვადასხვა სამომხმარებლო სეგმენტების დაჯგუფების საფუძველზე. დაანგარიშება ასახავს ვარაუდზე დაფუძნებულ შედეგებს, ფულის დროით ღირებულებას და გონივრულ და ღირებული ინფორმაციას წარსული მოვლენებისა და არსებული პირობების შესახებ. ზოგადად, სავაჭრო დებიტორული დავალიანება ჩამოიწერება, თუ ის ერთ წელზე მეტი პერიოდით არის ვადაგადაცილებული და დავალიანების ამოღების აქტივობები არ მიმდინარეობს. ჯგუფი არ ფლობს უზრუნველყოფის საგნებს ან აკრედიტივებს.

ჯგუფის ხელმძღვანელობა აანალიზებს დაუფარავი სავაჭრო დებიტორული დავალიანებების ვადიანობას და ვადაგადაცილებულ ნაშთებს. აქედან გამომდინარე, ხელმძღვანელობა შესაბამისად მიიჩნევს ვადიანობის შესახებ და საკრედიტო რისკთან დაკავშირებული სხვა განმარტებითი ინფორმაციის მე-14 შენიშვნაში წარმოდგენას.

ჯგუფს არ აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია, რადგან მომხმარებელთა პორტფელი დივერსიფიცირებულია დიდი რაოდენობით კერძო და იურიდიულ მომხმარებლებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანების ამოღებაზე მოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ არსებობს ზარალის მნიშვნელოვანი რისკი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში უკვე აღრიცხული ანარიცხების გარდა. ასევე ყოველდღიურად კონტროლდება ძირითადი კლიენტებისა და შესაბამისი დებიტორული დავალიანებების სტატუსიც.

მიმდინარე ანგარიშზე და მოკლევადიან ანაბრებზე განთავსებული ფულადი სახსრები

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილის საქართველოს წამყვან ბანკებში განთავსებით. ჯგუფის ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, რომლებშიც ანაბრები აქვს განთავსებული.

28.ფინანსური რისკის მართვა(გაგრძელება)

გაცემული სესხები

სესხები გაცემულია საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებსა და საბოლოო მაკონტროლებელ მხარეზე, რაც საერთო კონტროლს დაქვემდებარებული უფრო ფართო ჯგუფის ფინანსური მართვის ნაწილია. გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება აღწერილია მე-5 შენიშვნაში. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ არსებობს ზარალის მნიშვნელოვანი რისკი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში უკვე აღრიცხული ანარიცხების გარდა.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკები წარმოიშობა (ა) უცხოური ვალუტის და (ბ) პროცენტიანი ვალდებულებებისგან, რომლებიც ბაზარზე ზოგად და სპეციფიკურ მერყეობას განიცდიან. ხელმძღვანელობა აწესებს ლიმიტებს რისკის დასაშვებ მოცულობაზე, რისი მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ასეთი მიდგომა ვერ უზრუნველყოფს დანაკარგების აღმოფხვრას დაწესებული ლიმიტის ზევით ბაზარზე მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

მგრძნობელობა საბაზრო რისკების მიმართ, რომლებიც ქვემოთ არის განსაზღვრული, ეფუძნება კოეფიციენტის ცვლილებას, ყველა სხვა კოეფიციენტის მუდმივ დონეზე შენარჩუნებით. პრაქტიკაში ეს სავარაუდო არ არის და რამდენიმე კოეფიციენტის ცვლილება, შესაძლოა, უკავშირდებოდეს ერთმანეთს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ან უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებები.

სავალუტო რისკი

ჯგუფი საკრედიტო რისკს განიცდის იქიდან გამომდინარე, რომ არსებობს სხვაობა ყიდვა-გაყიდვის და ნასესხები სახსრების ვალუტებს და ჯგუფის კომპანიების ფუნქციონალურ ვალუტებს შორის. ჯგუფის კომპანიების ფუნქციონალური ვალუტა უპირატესად ქართული ლარია („ლარი“). ვალუტა, რომელშიც ეს ოპერაციები უპირატესად არის გამოხატული არის აშშ დოლარი, ევრო, ფუნტი სტერლინგი და იაპონური იენი. აქედან ყველაზე მეტია გარიგებები აშშ დოლარსა და ევროში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკს დაქვემდებარებული ნაშთები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	31 დეკემბერი 2023			31 დეკემბერი 2022		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო პოზიცია
აშშ დოლარი	55,716	(159,394)	**(103,678)**	48,149	(69,475)	**(21,326)**
ევრო	23,357	(139,909)	**(116,552)**	64,230	(102,160)	**(37,930)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის მოგება-ზარალისა და საკუთარი კაპიტალის მგრძნობელობა სავალუტო კურსის გონივრულ ფარგლებში შესაძლო ცვლილებების მიმართ ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებაში, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა სხვა ცვლადი მუდმივი იქნება:

	2023	2022
	გავლენა მოგება-ზარალზე	გავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 10%-იანი გამყარება	(10,368)	(2,133)
აშშ დოლარის 10%-იანი გაუფასურება	10,368	2,133
ევროს 10%-იანი გამყარება	(11,655)	(3,793)
ევროს 10%-იანი გაუფასურება	11,655	3,793

28. ფინანსური რისკის მართვა(გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ბაზარზე ძირითადი საპროცენტო განაკვეთების დონეების მერყეობა. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახული ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკი. ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აგრეგირებული თანხები საბალანსო ღირებულებით, რომლებიც დაყოფილია კატეგორიებად ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტის გადახდის, ფასის კორექტირების და ვადის გასვლის თარიღებს შორის უახლესის მიხედვით.

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნასესხები სახსრები	263,322	206,123

საანგარიშგებო თარიღისთვის საპროცენტო განაკვეთებში შესაძლო გონივრული 100 საბაზისო პუნქტით ცვლილება საანგარიშგებო თარიღში იმოქმედებდა ჯგუფის მოგება-ზარალზე 2,633 ლარით (2022: 2,061 ლარი). ამ ანალიზში გაკეთებულია დაშვება, რომ სხვა ცვლადები, კერძოდ კი უცხოური ვალუტის კურსები, მუდმივ მაჩვენებელზე რჩება.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ სუბიექტს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა ფინანსური აქტივით. ლიკვიდობის მართვის მიმართ ჯგუფის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და ჯგუფის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

ჯგუფი უზრუნველყოფს, რომ მოთხოვნისთანავე მუდმივად იქონიონ საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების მომსახურებისთვის საჭირო ფულადი სახსრები სამი თვის განმავლობაში. ეს გამორიცხავს ექსტრემალური ვითარებების პოტენციურ გავლენას, რომლის წინასწარ განსაზღვრაც შეუძლებელია; ამგვარი ვითარებები მოიცავს ბუნებრივ კატასტროფებს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ვალდებულებები მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით. როდესაც კრედიტორული ვალდებულების თანხა არ არის ფიქსირებული, ქვემოთ ასახული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული პირობების გათვალისწინებით. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით.

ქვემოთ მოცემულია დაუფარავი ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადები 2023 წლის 31 დეკემბრისთვის. თანხები მოცემულია მთლიანად, არ არის დისკონტირებული და მოიცავს პროცენტის სავარაუდო გადახდებს. ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებები მოიცავს გარანტირებული ვალდებულებების მთლიან თანხას ანგარიშგების თარიღისთვის. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ გარანტიის ხელშეკრულებების დაფარვა მოხდება ჯგუფის მიერ.

	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ	სულ საბალანსო ღირებულება
ნასესხები სახსრები	10,095	13,172	134,468	337,502	–	**495,237**	**419,752**
საიჯარო ვალდებულებები	748	1,593	7,556	29,347	23,128	**62,372**	**43,184**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	184,496	–	–	–	–	**184,496**	**184,496**
სულ მომავალი გადახდები	**195,339**	**14,765**	**142,024**	**366,849**	**23,128**	**742,105**	**647,432**

28. ფინანსური რისკის მართვა(გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული დაუფარავი ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადები 2022 წლის 31 დეკემბრისთვის. თანხები მოცემულია მთლიანად, არ არის დისკონტირებული, მოიცავს პროცენტის სავარაუდო გადახდებს და გამორიცხავს ხელშეკრულებების ურთიერთჩათვლის გავლენას.

	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ	სულ საბალანსო ღირებულება
ნასესხები სახსრები	3,960	9,930	100,407	253,975	9,617	**377,889**	**285,202**
საიჯარო ვალდებულებები	536	1,062	4,586	17,668	3,906	**27,758**	**24,666**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	967	1,934	10,098	60,675	34,330	**108,004**	**29,980**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	166,684	–	–	25,146	–	**191,830**	**186,339**
სულ მომავალი გადახდები	**172,147**	**12,926**	**115,091**	**357,464**	**47,853**	**705,481**	**526,187**

ჯგუფს არ აქვს დასახული ფორმალური მიზანი კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით.

29. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

მიიჩნევა, რომ ლიკვიდური ან მოკლევადიანი (თორმეტ თვეზე ნაკლები) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებები ასევე, ცვლადგანაკვეთიანი ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ფიქსირებულგანაკვეთიანი ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკისა და ვადის მქონე სესხის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც გამჟღავნებულია, სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მე-3 დონით ფასდება, გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა, რომლებიც 1-ლი დონით არის შეფასებული და გარდა ობლიგაციებისა, რომლებიც მე-2 დონით არის შეფასებული.

30. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, ზოგადად, ითვლება დაკავშირებულად, თუ მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე, ან მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ან სხვა მხარესთან ერთად გაკონტროლოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებები. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები უმეტესად მოიცავს ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და საავტომობილო პროდუქტების ყიდვა-გაყიდვას.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

	მესაკუთრეები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	მეკავშირე საწარმოები	სხვა დაკავში-რებული მხარეები	სულ
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	134	661	–	4,055	**4,850**
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(68)	(35)	–	(1,974)	**(2,077)**
გადახდილი ავანსები	12	6	–	9,079	**9,097**
გაცემული სესხები	7,364	–	–	6,635	**13,999**
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	*(36)*	–	–	(136)	**(172)**
ნასესხები სახსრები	–	(44)	–	(1,197)	**(1,241)**
საიჯარო ვალდებულებები	(9,982)	–	(89)	–	**(10,071)**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	(2)	(11)	(29)	(18,416)	**(18,458)**
მიღებული ავანსები	–	(1)	–	(17)	**(18)**
მისაღები დივიდენდები	–	–	*14*	–	**14**
გადასახდელი დივიდენდები	(735)	–	–	(12)	**(747)**
თანამშრომელთა დარიცხული სარგებელი	–	(5,881)	–	–	**(5,881)**

2022 წლის 31 დეკემბერს, დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

	მესაკუთრეები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	მეკავშირე საწარმოები	სხვა დაკავში-რებული მხარეები	სულ
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	178	653	–	5,456	**6,287**
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(99)	(359)	–	(1,246)	**(1,704)**
გადახდილი ავანსები	–	–	–	8,067	**8,067**
გაცემული სესხები	21,500	–	–	18,895	**40,395**
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(89)	–	–	(523)	**(612)**
ნასესხები სახსრები	–	(595)	-	(4,314)	**(4,909)**
საიჯარო ვალდებულებები	(7,720)	–	(335)	–	**(8,055)**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(29,980)	–	–	–	**(29,980)**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	(458)	–	(26)	(8,737)	**(9,221)**
გადასახდელი დივიდენდები	(187)	–	–	(2,565)	**(2,752)**
თანამშრომელთა დარიცხული სარგებელი	–	(4,688)	–	–	**(4,688)**

სხვა დაკავშირებული მხარეები ძირითადად მოიცავს კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელ მხარესთან დაკავშირებულ იურიდიულ და/ან ფიზიკურ პირებს.

30. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი გარიგებები დაფიქსირდა:

	მესაკუთრეები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	მეკავშირე საწარმოები	სხვა დაკავში-რებული მხარეები	სულ
საქონლის რეალიზაცია	27	869	–	16,591	**17,487**
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	3	103	–	1,476	**1,582**
საიჯარო შემოსავალი	–	–	–	973	**973**
საქონლის გადასაყიდად შეძენა	–	(262)	–	(33,217)	**(33,479)**
ძირითადი საშუალებების და მომსახურებების შეძენა	–	(67)	–	(36,561)	**(36,628)**
საიჯარო ხარჯი	–	(21)	–	–	**(21)**
პროფესიული მომსახურების ხარჯები	–	(3)	–	(4,505)	**(4,508)**
პერსონლაზე გაწეული ხარჯები	–	(13,132)	–	(43)	**(13,175)**
საპროცენტო შემოსავალი	2,877	–	–	1,637	**4,514**
საპროცენტო ხარჯი	–	(24)	–	(348)	**(372)**
საპროცენტო ხარჯი საოჯარო ვალდებულებებზე	(729)	-	(21)	-	**(750)**
ფინანსური შედეგების წილი	–	–	69	–	**69**
შემოსავალი დივიდენდებიდან	–	–	93	–	**93**
გადახდილი დივიდენდები	(28,261)	(128)	–	(2,437)	**(30,826)**
სხვა საპროცენტო ხარჯები	(2,297)	–	–	(5,479)	**(7,776)**
ფინანსური გარანტიების ხელახალი შეფასებიდან მიღებული შემოსულობა	4,484	–	–	–	**4,484**
სხვა	(80)	(470)	(23)	(1,252)	**(1,825)**

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი გარიგებები დაფიქსირდა:

	მესაკუთრეები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	მეკავშირე საწარმოები	სხვა დაკავში-რებული მხარეები	სულ
საქონლის რეალიზაცია	69	422	–	14,766	**15,257**
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	49	88	–	827	**964**
საიჯარო შემოსავალი	–	–	–	344	**344**
საქონლის გადასაყიდად შეძენა	–	(75)	–	(6,661)	**(6,736)**
ძირითადი საშუალებების და მომსახურებების შეძენა	–	–	–	(673)	**(673)**
საიჯარო ხარჯი	(1,422)	(3)	(270)	-	**(1,695)**
პროფესიული მომსახურების ხარჯები	–	–	–	(3,689)	**(3,689)**
პერსონლაზე გაწეული ხარჯები	–	(5,935)	–	(21)	**(5,956)**
საპროცენტო შემოსავალი	2,904	3	–	1,492	**4,399**
საპროცენტო ხარჯი	(122)	–	–	(231)	**(353)**
საპროცენტო ხარჯი საოჯარო ვალდებულებებზე	(543)	–	(45)	-	**(588)**
ფინანსური შედეგების წილი	–	–	66	–	**66**
შემოსავალი დივიდენდებიდან	–	–	70	–	**70**
გადახდილი დივიდენდები	(14,817)	–	–	–	**(14,817)**
სხვა	1	(306)	–	(980)	**(1,285)**

31. არაფულადი ოპერაციები

2023 წელს ჯგუფმა გააერთიანა საგადასახადო აქტივები და წინასწარ გადახდილი მიმდინარე მოგების გადასახადი 1,195 ლარის (2022: 205 ლარი) ოდენობით.

2023 წლის განმავლობაში ჯგუფმა გაქვითა გადასახდელი დივიდენდები და გაცემული სესხები 19,486 ლარის ოდენობით.

აქციონერებზე გაცემული ფინანსური გარანტიები 28,351 ლარის ოდენობით ((2022: 41,011 ლარი) შემცირდა წლის განმავლობაში ფინანსური გარანტიების ვალდებულებების შეწყვეტასთან ერთად და წარმოადგენს არაფულად გარიგებებს ჯგუფისთვის (27-ე შენიშვნა).

2023 წელს ჯგუფს ასევე ჰქონდა აქტივის გამოყენების უფლების და საიჯარო ვალდებულებების არაფულადი დამატებები 22,933 ლარის ოდენობით.

32. შემდგომი მოვლენები

2024 წელს გამოაცხადა დივიდენდები მისი არსებული პარტნიორებისთვის 7,036 ლარის ოდენობით.

2024 წლის 2 მაისს, კომპანიამ წარმატებით გამოუშვა ბონდები 7,000 ევროს ოდენობით (ISIN: GE 270060437), რომლის საპროცენტო განაკვეთიც შეადგენს 6.75%-ს. შემოსული თანხა მთლიანად მოხმარდა ჯგუფის არსებული სასესხო ვალდებულებების რეფინანსირებას.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს 2024 წლის 15 მაისს გამოშვებული ინგლისურენოვანი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის თარგმანს.

წინამდებარე თარგმანსა და ინგლისურენოვან ორიგინალს შორის შეუსაბამობების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ტექსტს.

თეგეტა მოტორს ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისთვის დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნასთან ერთად

თეგეტა მოტორს ჯგუფი

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 1

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2-6

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 7
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 9
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება 10

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

1. თეგეტა მოტორს ჯგუფი 11
2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ 12
3. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკებში და განმარტებით შენიშვნებში 30
4. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა 30
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 31
6. საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი 32
7. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ 37
8. ძირითადი საშუალებები 39
9. არამატერიალური აქტივები 40
10. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები 41
11. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში 43
12. სასაქონლო-მატერიალური მარაგები 43
13. გაცემული სესხები 44
14. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები 45
15. ფული და ბანკში არსებული ნაშთები 46
16. ნასესხები სახსრები 46
17. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება 48
18. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან 49
19. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება 49
20. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 50
21. სარეალიზაციო და სადისტრიბუციო ხარჯები 50
22. სხვა საოპერაციო შემოსავალი 50
23. სხვა საოპერაციო ხარჯები 51
24. ფინანსური ხარჯები 51
25. მოგების გადასახადის ხარჯი 51
26. კაპიტალი 52
27. პირობითი ვალდებულებები 52
28. ფინანსური რისკის მართვა 54
29. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება 57
30. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან 58
31. არაფულადი ოპერაციები 60
32. შემდგომი მოვლენები 60

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

თეგეტა მოტორს ჯგუფი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს თეგეტა მოტორსისა და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი") ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ოპერაციების შედეგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ("ფასს").

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სწორად არჩევასა და მის შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარ და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- იმის შეფასებაზე, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ;
- მმართველობით ანგრიშგებაში ისეთი ინფორმაციის გამჟღავნებაზე, რომელიც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით;
- მმართელობითი ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც შესაბამისობაში ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ბუღალტრული ჩანაწერების ისეთ წარმოებაზე, რომელიც სრულყოფილად წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის ტრანზაქციებს და ნებისმიერ დროს გონივრული სიზუსტით წარმოაჩენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას და საშუალებას აძლევს მენეჯმენტს, რომ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება იყოს ფასს-თან შესაბამისობაში;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც შეესაბამება ქართულ კანონმდებლობასა და ფასს-ს;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 15 მაისს.

ხელმძღვანელობის სახელით:

ვახტანგ კაჭარავა	მაკა გურული
აღმასრულებელი დირექტორი	მთავარი ბუღალტერი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „თეგეტა მოტორსის“ აქციონერებს და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „თეგეტა მოტორსის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარ კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს, არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ შედეგებსა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებელი, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და ვმოქმედებდით პბეკ კოდექსით განსაზღვრული ეთიკური პასუხისმგებლობების დაცვით. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები არის ის საკითხები, რომლებიც, ჩვენი პროფესიული განსჯის საფუძველზე, ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებისას. ეს საკითხები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის და ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბებისას იქნა გათვალისწინებული და ჩვენ ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვხატავთ.

რატომ განისაზღვრა საკითხი აუდიტის ძირითად საკითხად	როგორ მივუდექით ამ საკითხს აუდიტის ფარგლებში
შემოსავლის აღიარება როგორც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-18 შენიშვნაშია ასახული, მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1,378,159 ათასი ლარი, საიდანაც საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალია 1,320,383 ათასი ლარი, ხოლო გაწეული მომსახურებიდან - 57,776 ათასი ლარი. ჩვენ განვსაზღვრეთ შემოსავლის აღიარება, როგორც აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხი, დაბალი ღირებულების მქონე ოპერაციების დიდი მოცულობის გამო, რომელიც მოიცავს გაყიდვებს 430,000-ზე მეტ მომხმარებელთან, ასევე, გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებების ანარიცხის გაანგარიშებისას შეფასების პროცესის განსჯითი ხასიათის გამო. გარდა ამისა, შემოსავალი არის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი, რომლის საფუძველზეც ფასდება ხელმძღვანელობის საქმიანობა. ეს კი ზრდის აუდიტის რისკს, ვინაიდან გაყიდვები და შემოსავლები შესაძლოა სწორ სააღრიცხვო პერიოდში არ ყოფილიყო აღრიცხული. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-2 და მე-18 შენიშვნებში გამჟღავნებულია ინფორმაცია შემოსავლის აღიარებასთან დაკავშირებით.	ჩვენ შევისწავლეთ შემოსავლის აღიარების პროცესი შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროებისათვის. ამასთანავე, შევაფასეთ შემოსავლების აღიარებაზე დაწესებული კონტროლების სტრუქტურა და მათი დანერგვის სისწორე. შერჩევის საფუძველზე, ჩვენ შევამოწმეთ გაყიდვების ხელშეკრულებები, ინვოისები და სხვა შესაბამისი დოკუმენტები და შევადარეთ ისინი სააღრიცხვო სისტემებში აღიარებულ თანხებს. შერჩევის საფუძველზე, ჩვენ გავაანალიზეთ ხელშეკრულების პირობები, შემოსავლების აღიარების ფასს 15-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად. ჩვენ შევისწავლეთ საქონლის უკან დაბრუნების ანარიცხის გაანგარიშებისას გამოყენებული მეთოდოლოგია და გაანგარიშებული ანარიცხი შევადარეთ საქონლის უკან დაბრუნებების რეალურ დონეს, რომელიც აღირიცხა პერიოდის დასრულების შემდეგ. სააღრიცხვო სისტემიდან ამოღებული მონაცემების გამოყენებით, ჩვენ გავაანალიზეთ უჩვეულო ჟურნალური გატარებები, როგორიცაა ჟურნალური გატარებები ჩაწერილი უჩვეულო დროს ან არასათანადო პირების მიერ, ან შემოსავალზე გავლენის მქონე დიდი ან უჩვეულო თანხები, ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას განხორციელებული სხვა კორექტირებები. ჩვენ შევამოწმეთ, რომ ფინანსური წლის ბოლოს და ახალი ფინანსური წლის დასაწყისში აღიარებული შემოსავალთან დაკავშირებული ტრანზაქციები აღირიცხა სათანადო სააღრიცხვო პერიოდში. შერჩეული ტრანზაქციებისთვის სათანადო დოკუმენტების საფუძველზე ჩვენ შევადარეთ კონტროლის გადაცემის თარიღი სააღრიცხვო ჩანაწერებში შემოსავლის აღიარების თარიღს. ჩვენ გავაანალიზეთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლების აღიარებასთან დაკავშირებით გამჟღავნებული ინფორმაცია.
გუდვილის გაუფასურება	
გუდვილის გაუფასურება აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხად ჩავთვალეთ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ამ ნაშთების სიდიდისა და ანაზღაურებადი ღირებულების დადგენაში გამოყენებული განსჯის, შეფასებისა და დაშვებების გამო. ჯგუფი ვალდებულია, სულ მცირე წელიწადში ერთხელ, შეაფასოს გუდვილის გაუფასურება.	ჩვენ შევისწავლეთ გუდვილის გაუფასურებასთან და ანაზღაურებადი ღირებულების დადგენასთან დაკავშირებული პროცესი. მომავალი დისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე გამოყენების ღირებულების გამოთვლის ჯგუფისეული მეთოდოლოგია შევადარეთ შეფასების იმ მეთოდებს, რომლებიც წინა პერიოდებში გამოიყენებოდა საწარმოთა გაერთიანებისა და გუდვილის აღიარებაში.

გამოყენების ღირებულების გამოთვლისას ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობა და მათი შემოდინების დრო ისეთი დაშვებების საფუძველზე, რომლებიც მომავალ საბაზრო და ეკონომიკურ პირობებს ექვემდებარება. განსჯის საგანია, აგრეთვე, იმ დისკონტირების განაკვეთის დადგენა, რომელიც ამ ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების დადგენისას გამოიყენება.

მეტი ინფორმაცია იხილეთ მე-6 შენიშვნაში.

ჩვენ შევაფასეთ ძირითადი დაშვებების მართებულობა, განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ საპროგნოზო შემოსავალს, მოგების მარჟებსა და ზრდის გრძელვადიან განაკვეთს; გავითვალისწინეთ ის მიმდინარე და მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური პირობები, რომლებიც შესაბამის ფულად ნაკადებზე მოქმედებს. ამ ძირითადი დაშვებების შეფასებისას, ისინი განვიხილეთ მენეჯმენტთან, რათა გაგვეგო და შეგვეფასებინა დაშვებების შეფასების მენეჯმენტისეული მიდგომა; აგრეთვე შევადარეთ დაშვებები სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ გარე ინფორმაციას და ეკონომიკური ზრდის პროგნოზს. მენეჯმენტისეული პროგნოზების ხარისხის დასადგენად, რეალური ისტორიული შედეგები შევუდარეთ დაგეგმილს.

ჩვენ მოვიპოვეთ და შევაფასეთ მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ძირითადი დაშვებების მგრძნობელობის ანალიზი. ამის მიზანი იყო იმაში დარწმუნება, რომ ძირითადი დაშვებების შერჩეული არასახარბიელო ცვლილებები, ცალცალკე ან აგრეგატულად, არ გამოიწვევს იმას, რომ გუდვილის საბალანსო ღირებულებამ გადააჭარბოს ანაზღაურებად ღირებულებას.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის მმართველობით ანგარიგებაში შესულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემულ ჩვენს აუდიტის დასკვნას. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ჯგუფის მმართველობითი ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი, სავარაუდოდ, გახდება წინამდებარე აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ ფარავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არ გავცემთ მასთან დაკავშირებით არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გაცემულ ჩვენს დასკვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს ზემოთ ხსენებული სხვა ინფორმაციის გაცნობას, როდესაც ის ხელმისაწვდომი გახდება, და ამ პროცესში, იმის დადგენას, ხომ არ არის არსებითი შეუსაბამობა სხვა ინფორმაციასა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის დროს მოპოვებულ ინფორმაციას შორის, ან სხვაგვარად ხომ არ შეიცავს ის არსებით უზუსტობებს. თუ, ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, დავასკვნით, რომ ამ სხვა ინფორმაციაში მოცემულია არსებითად მცდარი ინფორმაცია, ჩვენ ვალდებულნი ვართ, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა ვალდებულებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით

ხელმძღვანელობა ვალდებულია მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს ჯგუფის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა,

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს ჯგუფის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის შესახებ, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი მოსაზრების გამომხატველი იქნება. გონივრული რწმუნება მაღალი ხარისხის რწმუნებას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად ან ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების იდენტიფიცირებასა და შეფასებას; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ სააღრიცხვო პოლიტიკების და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო დაშვებებისა და შესაბამისი განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით აღრიცხვის წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ აღნიშნულ საკითხზე შესაბამის განმარტებით შენიშვნებში, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისთვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება ჯგუფი აიძულოს, შეწყვიტოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარსს , მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, თუ რამდენად სამართლიანადაა ასახული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამისი ტრანზაქციები და მოვლენები.
- ვიღებთ საკმარის და შესაბამის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის შიგნით არსებული საწარმოებისა და ბიზნეს საქმიანობების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჯგუფის აუდიტის ხელმძღვანელობასა, მეთვალყურეობასა და წარმართვაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე, მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის, ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

ამასთანავე, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს წარვუდგენთ ანგარიშს ჩვენ მიერ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით და ვუზიარებთ მათ ინფორმაციას ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც შესაძლოა, გონივრულ ეჭვს იწვევდეს ჩვენი დამოუკიდებლობის შესახებ, და, შესაბამის შემთხვევაში, დამოუკიდებლობის შენარჩუნებასთან დაკავშირებულ ზომებს.

სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენილ საკითხებს შორის განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიმდინარეობისას და, შესაბამისად, სწორედ ისინი წარმოადგენენ აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. ჩვენ აღნიშნულ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტის დასკვნაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კანონით ან ნორმატიული აქტით არის აკრძალული საკითხის საჯაროობა, ან როცა, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, გადავწყვეტთ, რომ საკითხი არ უნდა აისახოს ჩვენს დასკვნაში, რადგან მოსალოდნელია, რომ ამით გამოწვეული უარყოფითი შედეგები გადაწონის ამ ინფორმაციის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილების სარგებელს.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის გარიგების პარტნიორიც არის შოთა ნანიტაშვილი.

შოთა ნანიტაშვილი (რეგ# SARAS–A–957146)
შპს „დელოიტი და ტუშის“ სახელით (რეგ# SARAS–F–107265)

2024 წლის 15 მაისი
თბილისი, საქართველო

თეგეტა მოტორს ჯგუფი
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	243,511	173,258
არამატერიალური აქტივები	9	8,637	8,609
აქტივის გამოყენების უფლება	10	42,947	25,809
ძირითადი საშუალებებისათვის გადახდილი ავანსები		11,264	8,065
გარანტიებთან დაკავშირებული აქტივები		4,644	1,344
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	11	673	533
გუდვილი	6	82,593	82,593
სულ გრძელვადიანი აქტივები		**394,269**	**300,211**
მოკლევადიანი აქტივები			
გარანტიებთან დაკავშირებული აქტივი		2,310	2,134
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	12	364,432	276,331
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	14	65,103	73,297
გადახდილი ავანსები მომწოდებლებისთვის		29,851	27,475
საგადასახადო აქტივები		12,391	466
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		5,891	3,162
გაცემული სესხები	13	14,153	40,033
ფული და ბანკში არსებული ნაშთები	15	70,445	78,904
სულ მოკლევადიანი აქტივები		**564,576**	**501,802**
სულ აქტივები		**958,845**	**802,013**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		44,733	44,733
გაუნაწილებელი მოგება	26	185,428	151,748
სხვა რეზერვები		–	(28,351)
კაპიტალის სხვა კომპონენტები		(5,613)	(451)
კომპანიის მფლობელებისადმი მიკუთვნებული კაპიტალი		**224,548**	**167,679**
არამაკონტროლებელი წილი		329	2,179
სულ კაპიტალი		**224,877**	**169,858**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	16	301,608	202,764
საიჯარო ვალდებულებები	10	37,002	20,174
საგარანტიო ანარიცხი		4,950	1,488
სხვა ფინანსური ვალდებულებები	27	–	28,571
სახელშეკრულებო ვალდებულებები	18	3,422	5,308
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**346,982**	**258,305**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	16	118,144	82,438
საიჯარო ვალდებულებები	10	6,182	4,492
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	17	184,496	186,339
საგარანტიო ანარიცხი		2,808	2,445
სხვა ფინანსური ვალდებულებები	27	–	1,409
საგადასახადო ვალდებულებები, მოგების გადასახადის გარდა		8,979	8,205
სახელშეკრულებო ვალდებულებები	18	66,377	88,522
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**386,986**	**373,850**
სულ ვალდებულებები		**733,968**	**632,155**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**958,845**	**802,013**

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2024 წლის 15 მაისს

ვახტანგ კაჭარავა
აღმასრულებელი დირექტორი

მაკა გურული
მთავარი ბუღალტერი

11-60 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

თეგეტა მოტორს ჯგუფი
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან	18	1,378,159	950,221
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	19	(1,081,579)	(752,856)
საერთო მოგება		**296,580**	**197,365**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	20	(125,556)	(100,133)
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	21	(33,868)	(26,869)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	22	10,015	14,695
სხვა საოპერაციო ხარჯები	23	(8,270)	(5,618)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		**138,901**	**79,440**
ფინანსური შემოსავალი		10,600	7,837
ფინანსური ხარჯები	24	(68,442)	(46,329)
წილი მეკავშირე საწარმოების ფინანსური შედეგებში	11	69	66
მოგება დაბეგვრამდე		**81,128**	**41,014**
მოგების გადასახადის ხარჯი	25	(104)	(32)
წლის მოგება		**81,024**	**40,982**
უცხოური ქვედანაყოფების გადაფასებისას წარმოქმნილი საკურსო სხვაობები		(94)	(451)
მთლიანი სრული შემოსავალი		**80,930**	**40,531**
წლის მოგება, რომელიც მიეკუთვნება:			
- ჯგუფის მფლობელებს		82,016	40,779
- არამაკონტროლებელ წილის მფლობელს		(992)	203
წლის მოგება		**81,024**	**40,982**
მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც მიეკუთვნება:			
- ჯგუფის მფლობელებს		81,922	40,328
- არამაკონტროლებელ წილის მფლობელს		(992)	203
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**80,930**	**40,531**

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2024 წლის 15 მაისს

ვახტანგ კაჭარავა
აღმასრულებელი დირექტორი

მაკა გურული
მთავარი ბუღალტერი

11-60 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

თეგეტა მოტორს ჯგუფი
საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	სხვა რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	კაპიტალის სხვა კომპონენტები	ჯგუფის მფლობელებისთვის მიკუთვნებული	არამაკონტროლებელი წილის მფლობელებისთვის მიკუთვნებული	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	**44,733**	**(69,362)**	**125,969**	**–**	**101,340**		**101,340**
წლის მოგება	–	–	40,779	–	40,779	203	40,982
საკურსო სხვაობები	–	–	–	(451)	(451)	–	(451)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	–	**40,779**	**(451)**	**40,328**	**203**	**40,531**
საწესდებო კაპიტალის ზრდა	–	–	–	–	–	1,114	1,114
დამატებითი არამაკონტროლებელი წილები წარმოქმნილი შვილობილი კომპანიის შეძენისას (მე-6 შენიშვნა)	–	–	–	–		862	862
გამოცხადებული დივიდენდები (26-ე შენიშვნა)	–	–	(15,000)	–	(15,000)	–	(15,000)
ფინანსური გარანტიები აქციონერებზე (26-ე შენიშვნა)	–	41,011	–	–	41,011	–	41,011
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**44,733**	**(28,351)**	**151,748**	**(451)**	**167,679**	**2,179**	**169,858**
წლის მოგება	–	–	82,016	–	**82,016**	(992)	**81,024**
საკურსო სხვაობები	–	–	–	(94)	(94)	–	(94)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	–	**82,016**	**(94)**	**81,922**	**(992)**	**80,930**
არამაკონტროლებელი წილების შესყიდვა (მე-6 შენიშვნა)	–	–	–	–	–	(858)	(858)
დამატებითი წილების შესყიდვა (მე-6 შენიშვნა)	–	–	–	(5,068)	(5,068)	–	(5,068)
გამოცხადებული დივიდენდები (26-ე შენიშვნა)	–	–	(48,336)	–	(48,336)	–	(48,336)
ფინანსური გარანტიები აქციონერებზე (26-ე შენიშვნა)	–	28,351	–	–	28,351	–	28,351
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**44,733**	**–**	**185,428**	**(5,613)**	**224,548**	**329**	**224,877**

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2024 წლის 15 მაისს

ვახტანგ კაჭარავა
აღმასრულებელი დირექტორი

მაკა გურული
მთავარი ბუღალტერი

11-60 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

თეგეტა მოტორს ჯგუფი
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ქართულ ლარში

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		81,128	41,014
კორექტირებები:			
ძირითადი საშუალებების და აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	8, 10	20,724	16,240
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	9	1,388	1,113
შემოსულობა ფინანსური გარანტიების ხელახალი შეფასებიდან	27	(4,484)	(1,671)
გარანტიების ანარიცხები / (შემცირება)		349	(66)
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხები/(შემცირება)	22	921	(7,369)
გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხები	13	(705)	523
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობა	22	39	(186)
საიჯარო ქირის შემცირებით მიღებული შემოსავალი და შემოსავალი იჯარის შეწყვეტიდან	10	42	958
საპროცენტო შემოსავალი	13, 15	(6,114)	(5,316)
საპროცენტო ხარჯი		53,536	45,739
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი / (შემოსულობა)		8,538	(210)
ნაპატიები სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები		(243)	(134)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ჩამოწერა წმინდა გასაყიდ ღირებულებამდე	12, 23	3,515	2,197
წილი მეკავშირე საწარმოების ფინანსურ შედეგებში	11	(69)	(66)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		**158,565**	**92,766**
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში		6,421	23,041
ცვლილებები გადახდილ ავანსებში		(2,376)	(12,720)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(91,616)	(133,090)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში		25,499	89,901
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში		(13,120)	204
სახელშეკრულებო ვალდებულებების ცვლილება		(24,031)	67,768
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში		774	1,464
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		**(98,449)**	**36,568**
გადახდილი მოგების გადასახადი		(1,602)	(999)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**58,514**	**128,335**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(93,638)	(58,515)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსულობები		13,729	6,818
არამატერიალური აქტივების შეძენა	9	(1,416)	(3,234)
ფულადი შენატანი შვილობილი კომპანიებისა და მეკავშირე საწარმოების კაპიტალში	11	(164)	(42)
შვილობილი კომპანიების შეძენა		(32,764)	(65,973)
დამატებითი წილების შეძენა შვილობილ კომპანიებში		(5,926)	–
გაცემული სესხები	13	(22,764)	(62,422)
გაცემული სესხების დაფარვა	13	29,401	27,953
მიღებული პროცენტი		4,914	2,309
საწარმოთა გაერთიანებიდან მიღებული ფულადი სახსრები		–	2,085
მიღებული დივიდენდები		32	22
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(108,596)**	**(150,999)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულებების ძირის დაფარვა	10	(4,991)	(5,251)
საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტის დაფარვა	10	(2,970)	(2,556)
სესხის აღება	16	539,239	458,490
ნასესხები სახსრების დაფარვა	16	(408,394)	(353,861)
გადახდილი პროცენტი	16	(48,504)	(37,633)
გადახდილი დივიდენდები	30	(30,855)	(10,463)
ფულადი სახსრების მიღება შეზღუდული ანგარიშგებიდან	15	34,749	35,636
ფულად სახსრების განთავსება შეზღუდულ ანგარიშებზე	15	(6,292)	(65,240)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		**71,982**	**19,122**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებზე		(1,902)	(7,812)
ფულისა და მისი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		**19,998**	**(11,354)**
ფული და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	15	13,664	25,018
ფული და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**15**	**33,662**	**13,664**

არაფულადი ოპერაციები განხილულია 31-ე შენიშვნაში.
გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2024 წლის 15 მაისს

ვასტანგ კაჭარავა
აღმასრულებელი დირექტორი

მაკა გურული
მთავარი ბუღალტერი

11-60 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. თეგეტა მოტორს ჯგუფი

შპს „თეგეტა მოტორსი" („კომპანია"), საიდენტიფიკაციო ნომერი 202177205, დარეგისტრირდა 2001 წლის 26 აპრილს და ის საქართველოში ფუნქციონირებს. კომპანია შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0131, დავით აღმაშენებლის ხეივანი, #129.

კომპანიის პარტნიორთა სტრუქტურაა:

აქციონერები	2023	2022
შპს „თი ჯი ემ ჯგუფი"	98.78%	98.78%
თემურ კოხოძე (საქართველოს მოქალაქე)	1.22%	1.22%

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მოქალაქე ბატონი თემურ კოხოძე (შემდგომში „საბოლოო მაკონტროლებელი მხარე").

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა იმპორტირებული ავტომობილებით, სპეციალური ავტოსატრანსპორტო საშუალებებით, საბურავებით, საპოხი მასალებით, აკუმულატორებითა და სხვა სათადარიგო ნაწილებით ვაჭრობა. ასევე, ავტომობილების ტექნიკური და სარემონტო მომსახურების გაწევა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებსა და მეზობელ ქვეყნებში განთავსებულ მომსახურების ობიექტებში.

კომპანია შემდეგი საწარმოების მმობელი საწარმოა (შემდგომში ერთად მოხსენიებული, როგორც „ჯგუფი"), რომლებიც შესულია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში:

		წილი/ხმის უფლება (%)	
შვილობილი კომპანია	საქმიანობა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას"	სატრანსპორტო სატვირთო მანქანების, ავტობუსებისა და ტრაილერების საცალო ვაჭრობა და მომსახურება	100%	100%
შპს „თეგეტა ქონსთრაქშენ ექვიფმენთ"	მძიმე სატვირთო-სამშენებლო ავტომობილების საცალო ვაჭრობა და მომსახურება	100%	100%
შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელს"	პორშესა და მაზდას ბრენდის ავტომობილების საცალო ვაჭრობა და მომსახურება	100%	100%
შპს „ტოიოტა ცენტრი თეგეტა"	ტოიოტას ბრენდის ავტომობილების საცალო ვაჭრობა და მომსახურება	100%	100%
შპს „სკანდინავიან ავტო თეგეტა"	ვოლვოს ბრენდის ავტომობილების საცალო ვაჭრობა და მომსახურება	100%	100%
შპს „თეგეტა ავტომოტივ იმპორტი"	საბურავების, საპოხი მასალების, მსუბუქი ავტომობილების სათადარიგო ნაწილების, აკუმულატორების, ავტოფარეხის აღჭურვილობის და სხვ. იმპორტიორი	100%	100%
შპს „თეგეტა პრაიმ პროდაქტს"	საბურავების და საპოხი მასალების იმპორტიორი	100%	100%
შპს „თეგეტა დისტრიბუცია"	იმპორტირებული ბრენდების და პროდუქტების საბითუმო ვაჭრობა	100%	100%
შპს „თეგეტა ინდასტრი"	სამშენებლო დანადგარების და სათადარიგო ნაწილების საცალო ვაჭრობა	100%	100%
შპს „თი-ბი-ეი თეგეტა"	ტოიოტას ბრენდის ავტომობილების საცალო ვაჭრობა და მომსახურება	100%	100%
შპს „თეგეტა რითეილი"	იმპორტირებული პროდუქტების საცალო ვაჭრობა	100%	100%
შპს „თეგეტა ლიზინგი"	მძიმე სამშენებლო ავტომობილების იჯარა	100%	100%
შპს „თეგეტა აკადემია"	ავტომობილების მიმართულების ტრენინგ ცენტრი	100%	100%
შპს „ქონსთრაქშენ მეშინერი ჯორჯია"	მძიმე სატვირთო-სამშენებლო ავტომობილების საცალო ვაჭრობა და მომსახურება	100%	100%
შპს „თეგეტა ქომერშელ ვიიქლს"	მძიმე სატვირთო-სამშენებლო ავტომობილების საცალო ვაჭრობა და მომსახურება	100%	100%

1. თეგეტა მოტორს ჯგუფი (გაგრძელება)

შპს „თეგეტა თაიარ იმპორტს"	საბურავების იმპორტიორი	100%	100%
შპს „ავტო გალერი"	მსუბუქი ავტომობილებით საცალო ვაჭრობა და გაქირავება	100%	90%
შპს „თეგეტა ქარ რენთ" (შპს „ავტო გალერის" შვილობილი კომპანია)	ავტომობილების გაქირავება	100%	100%
შპს „IAA თეგეტა" (შპს „ავტო გალერის" შვილობილი კომპანია)	არააქტიური	51%	51%
შპს „სეგრექს ავტო გალერი" (შპს „ავტო გალერის" შვილობილი კომპანია)	არააქტიური	50%	50%
შპს „თეგეტა ინთერნეიშენალი"	მძიმე სატვირთო-სამშენებლო ავტომობილების საცალო ვაჭრობა და მომსახურება	100%	100%
შპს „თეგეტა რენტალს" ((შპს„თეგეტა ინთერნეიშენალის" შვილობილი კომპანია)	სამშენებლო ტექნიკის გაქირავება	100%	100%
შპს „კავკასუს ავტომოტივი"	ვოლვოს ბრენდის ავტომობილების საცალო ვაჭრობა და მომსახურება	100%	100%
შპს „თეგეტა ეფრუვდ"	მეორადი ავტომობილებით საცალო ვაჭრობა	65%	65%
შპს „აზტეხ თეგეტა მოტორსი" („თეგეტა მოტორს ბაქოს" შვილობილი კომპანია)	სათადარიგო ნაწილებით საცალო ვაჭრობა	100%	75%
შპს „კავკასუს მეშინერი"	მძიმე სატვირთო-სამშენებლო ავტომობილების საცალო ვაჭრობა და მომსახურება	100%	-
შპს „თეგეტა ენერჯი"	არააქტიური	100%	-
შპს „თეგეტა მოტორს დუშანბე"	არააქტიური	100%	-
შპს „თეგეტა მოტორს ბიშკეკი"	არააქტიური	100%	-
შპს „თეგეტა მოტორს იუ ეს ეი"	არააქტიური	100%	-
შპს „თეგეტა რეალ ისთეით"	არააქტიური	100%	100%
შპს „თეგეტა კაპიტალი"	არააქტიური	100%	100%
შპს „თეგეტა ლოჯისტიკი"	არააქტიური	100%	100%
შპს „ჯეოპროტექტორი"	არააქტიური	60%	60%
შპს „თეგეტა მოტორსი ცენტრალური აზია"	არააქტიური	100%	100%
შპს „თეგეტა მოტორს ბაქო"	არააქტიური	100%	100%
შპს „თეგეტა მოტორს უკრაინა"	არააქტიური	100%	100%
შპს „თეგეტა მოტორს ყაზახეთი"	არააქტიური	100%	100%
შპს „აგროსერვისი" (თეგეტა თრაქ ენდ ბასის" შვილობილი კომპანია)	არააქტიური	100%	100%

ყველა შვილობილი კომპანია რეგისტრირებულია და მდებარეობს საქართველოში, შპს „თეგეტა მოტორს ბაქოს", შპს „აზტეხ თეგეტა მოტორსის", შპს „თეგეტა მოტორს ცენტრალური აზიის", შპს „თეგეტა მოტორს ყაზახეთის", შპს „თეგეტა მოტორს უკრაინის", შპს „თეგეტა მოტორს დუშანბეს", შპს „თეგეტა მოტორს ბიშკეკისა" და შპს „თეგეტა მოტორს იუ ეს ეი-ს" გარდა, რომლებიც აზერბაიჯანის, უზბეკეთის, ყაზახეთის, უკრაინის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის და აშშ-ს (შესაბამისად) იურისდიქციის ქვეშ ფუნქციონირებენ.

შვილობილი კომპანიები ერთიანდებიან ორ საოპერაციო სეგმენტში: ავტოსატრანსპორტო საშუალებები და მასთან დაკავშირებული მომსახურებები და საავტომობილო პროდუქტები და შესაბამისი მომსახურებები. კომპანიამ ახალი შვილობილი კომპანიები დააფუძნა და ჯგუფის ძირითადი საქმიანობები მის შვილობილ კომპანიებზე გადაანაწილა. ჯგუფის მეკავშირე კომპანიების სია მოცემულია მე-11 განმარტებით შენიშვნაში.

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ

(ა) მომზადების საფუძველი

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, გარდა ახალი და შეცვლილი სტანდარტების გამოყენებისა, რომლებიც მე-4 შენიშვნაშია განხილული.

2. ინფორმაცია ზუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას. ფინანსურ ანგარიშგებებში ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

მენეჯმენტმა განიხილა ჯგუფის მიერ ფუნქციონირებად საწარმოდ მუშაობის გაგრძელების უნარი. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს გამოყენებისას მენეჯმენტმა მხედველობაში მიიღო ჯგუფის საქმიანობა, სტრატეგია, მიზნების მიღწევის პროცესში არსებული უმთავრესი რისკები და განუსაზღვრელობები და ჯგუფის მაჩვენებლები. მენეჯმენტმა ჩაატარა ჯგუფის ფინანსური პროგნოზების შეფასება და დააკვირდა ძირითად ასპექტებს, როგორებიცაა ფინანსური გეგმისა და სტრატეგიის განხორციელება, მომგებიანობა, კაპიტალი და გადახდისუნარიანობა, აგრეთვე ლიკვიდობა. აღნიშნულის საფუძველზე, მენეჯმენტი ადასტურებს, რომ მათი გონივრული მოლოდინით, ჯგუფს აქვს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დმატკიცების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში საოპერაციო არსებობის გაგრძელებისათვის საკმარისი რესურსები. მენეჯმენტისთვის უცნობია რაიმე არსებითი სახის განუსაზღვრელობების შესახებ, რომლებიც ისეთ მოვლენებსა თუ გარემოებებს უკავშირდება, რაც სერიოზულ ეჭვს აჩენს ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოდ მუშაობის გაგრძელებასთან დაკავშირებით. ამდენად, მენეჯმენტმა გადაწყვიტა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კვლავაც იხელმძღვანელო აღრიცხვის ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლით

(ბ) კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო. კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- მას აქვს ინვესტიციის ობიექტზე ზეგავლენა (ანუ ძალაში შესული უფლებები მას საშუალებას აძლევს, ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა მართოს);
- ის იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება;
- შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

გავრცელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობის ფლობა კონტროლის უფლებას იძლევა. ამ მოსაზრების გასამყარებლად, თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში ფლობს ხმის ან სხვა მსგავსი უფლების უმრავლეს ნაწილზე ნაკლებს, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე აქვს თუ არა გავლენა, ჯგუფი ყველა რელევანტურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- სახელშეკრულებო შეთანხმება (შეთანხმებები) ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე სხვა პირებთან;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან მიღებული უფლებები;
- ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები.

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიებზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი კომპანიის წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შვილობილ კომპანიაზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი კომპანიისა და არამაკონტროლებელი წილების აქციონერებს მაშინაც კი, თუ ეს არამაკონტროლებელი წილების ბალანსის დეფიციტს იწვევს. საჭიროების შეთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

შვილობილი კომპანიის კაპიტალში წილის ცვლილება კონტროლის დაკარგვის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება. თუ ჯგუფი დაკარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, იგი წყვეტს შესაბამისი აქტივების (გუდვილის ჩათვლით), ვალდებულებების, არამაკონტროლებელი წილებისა და კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას, ხოლო შედეგად მიღებულ შემოსულობას ან ზარალს აღიარებს მოგება-ზარალში. ნებისმიერი შენარჩუნებული ინვესტიციის აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით.

(i) საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება შეძენის მეთოდის გამოყენებით. შეძენის ღირებულება ფასდება, როგორც გადაცემული ანაზღაურების ერთობლიობა, რომელიც აღრიცხება შეძენის თარიღისას არსებული სამართლიანი ღირებულებით, და ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის ოდენობით შენაძენში. თითოეული საწარმოთა გაერთიანებისთვის ჯგუფი ირჩევს არამაკონტროლებელი წილები სამართლიანი ღირებულებით შეაფასოს თუ შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციული წილით. შესყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება ხარჯად და შედის ადმინისტრაციულ ხარჯებში.

როდესაც ჯგუფი იძენს ბიზნესს, იგი აფასებს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომლებიც აღებულ იქნა, შეძენის თარიღისთვის სახელშეკრულებო პირობების, ეკონომიკური გარემოებების და რელევანტური პირობების გათვალისწინებით შესაბამისი კლასიფიკაციისა და კატეგორიის განსაზღვრისათვის. ეს მოიცავს შეძენილი საწარმოს მიერ ძირითად კონტრაქტებში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტების გამოყოფას.

ნებისმიერი პირობითი ანაზღაურება, რომელიც გადაცემული უნდა იქნას შემძენის მიერ, აღიარებული იქნება სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღისთვის. კაპიტალად კლასიფიცირებული პირობითი ანაზღაურება არ შეფასდება ხელახლა და მისი შემდგომი ანგარიშსწორება აღირიცხება კაპიტალში. პირობითი ანაზღაურება, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც აქტივი ან ვალდებულება, რომელიც წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს და მასზე შედის *ფასს 9-ის ფინანსური ინსტრუმენტები* ფარგლებში, ფასდება სამართლიანი ღირებულებით სამართლიანი ღირებულების ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით, *ფასს 9-ის* შესაბამისად. სხვა პირობითი ანაზღაურება, რომელიც *ფასს 9-ის* ფარგლებში არ შედის, ფასდება სამართლიანი ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის სამართლიანი ღირებულების ცვლილებების მოგება-ზარალში აღიარებით.

გუდვილი თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით (ეს არის ნამეტი, ერთი მხრივ, გადაცემულ ანაზღაურებას, არამაკონტროლებელი წილების ღირებულებასა და შესყიდულ კომპანიაში შესყიდვამდე ფლობილ სააქციო წილსა, და, მეორე მხრივ, შეფასებული შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების წმინდა ღირებულებას შორის შეძენის თარიღისათვის).

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, გუდვილი ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. გაუფასურების ტესტის მიზნით, საწარმოთა გაერთიანებაში შეძენილი გუდვილი, შეძენის დღიდან, ნაწილდება ჯგუფის ფულადი სახსრების წარმომქმნელ თითოეულ ერთეულზე, რომლებიც მოსალოდნელია, რომ ამ გაერთიანებიდან მიიღებენ სარგებელს, მიუხედავად იმისა, შეძენილი კომპანიის სხვა აქტივები ან ვალდებულებები უკავშირდება თუ არა იმ ერთეულებს.

2. ინფორმაცია ზუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

(გ) შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან და გაწეული მომსახურებებიდან

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან აღიარდება იმ მომენტში, როდესაც საქონელზე კონტროლი გადადის მომხმარებელზე, ე.ი. როდესაც საქონელი გადაეცემა მომხმარებელს. ნორმალური საკრედიტო ვადაა საქონლის გადაცემის მომენტიდან 30-დან 90 დღემდე. შემოსავლის აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის სანაცვლოდ. ჯგუფი განსაზღვრავს ამგვარ ოპერაციებში ის პრინციპალის (მარწმუნებელი) სახით გამოდის თუ აგენტის (რწმუნებული), კლიენტისთვის მისი დაპირების ხასიათიდან გამომდინარე. ჯგუფი არის პრინციპალი და შემოსავალს ბრუტო სახით აღრიცხავს, თუ ის აკონტროლებს დაპირებულ საქონელს სანამ მათ მომხმარებელს გადასცემს. ჯგუფმა ზოგადად დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ შეთანხმებებში იგი პრინციპალად გამოდის.

შემოსავალი გაწეული მომსახურებებიდან აღიარდება დროის განმავლობაში რესურსების მეთოდის გამოყენებით, რათა შეფასდეს პროგრესი მომსახურების სრულად გაწევისადმი, რადგან მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს ჯგუფის მიერ მისთვის მიწოდებულ სარგებელს.

ჯგუფი განიხილავს, არის თუ არა ხელშეკრულებაში ისეთი დაპირებები, რაც წარმოადგენს ცალკე შესასრულებელ ვალდებულებას, რომელზეც უნდა გადანაწილდეს გარიგების ფასის ნაწილი (მაგ. გარანტიები, მომხმარებელთა ერთგულების ქულები და ა.შ.). საქონლის გაყიდვის და მომსახურების გაწევის ოპერაციის ფასის განსაზღვრისას, ჯგუფი განიხილავს ცვლადი საზღაურების ეფექტებს.

(ii) დაბრუნების უფლება

კონკრეტული ხელშეკრულებები კლიენტებს ანიჭებს მითითებულ პერიოდში საქონლის დაბრუნების უფლებას. თანხის დაბრუნების ვალდებულება აღიარდება იმ საქონელთან მიმართებაში, რომელთა დაბრუნება მოსალოდნელია (ე.ი. თანხა, რომელიც არ არის შესული ოპერაციის ფასში). აქტივის დაბრუნების უფლება (და შესაბამისი კორექტირება გაყიდული პროდუქციის თვითღირებულებაში) ასევე აღიარდება მომხმარებლებისგან საქონლის დაბრუნების უფლებისათვის, რომელიც შესულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სასაქონლო-მატერიალური მარაგებში.

(iii) საგარანტიო ვალდებულებები

ზოგადად, ჯგუფი იძლევა გარანტიას დეფექტების რემონტზე და გაყიდვის მომენტში არსებული დაზიანებული ერთეულ(ებ)ის გამოცვლაზე, იმის რწმუნების უზრუნველსაყოფად, რომ გაყიდული პროდუქტები შეესაბამებოდეს შეთანხმებულ ხარისხს. ეს მარწმუნებელი ტიპის გარანტიები აღირიცხება საგარანტიო ანარიცხების სახით. სააღრიცხვო პოლიტიკა საგარანტიო ანარიცხების შესახებ იხილეთ ნაწილში „ჟ" („ანარიცხები").

ჯგუფი ასევე გასცემს გარანტიებს, რომლებიც უშუალოდ გაყიდვის დროს არსებული დეფექტების აღმოფხვრას არ უკავშირდება. ეს სერვისის ტიპის საგარანტიო მომსახურება ან ცალკე იყიდება, ან გაყიდულ საქონელთან ერთად. ხელშეკრულებები პროდუქტებისა და ამ სერვისის ტიპის საგარანტიო მომსახურების ერთად გაყიდვის შესახებ შედგება ორი შესასრულებელი ვალდებულებისგან, რადგან საქონელი და საგარანტიო მომსახურება განცალკევებით იყიდება და ისინი გარკვევით არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. ფარდობითი ინდივიდუალური სარეალიზაციო ფასის მეთოდის გამოყენებით, გარიგების ფასის ნაწილი განაწილდება საგარანტიო მომსახურებაზე და მისი აღიარება ხდება სახელშეკრულებო ვალდებულებად. შემოსავალი საგარანტიო მომსახურებიდან აღირიცხება იმ პერიოდში, რომლის განმავლობაშიც გაიწია მომსახურება გასული დროის საფუძველზე.

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

(iv) სათადარიგო ნაწილების და ნაწილების გამოცვლის მომსახურების პაკეტებად გაყიდვა

ჯგუფი გასწევს საკუთარ მაღაზიებში შეძენილი სათადარიგო ნაწილების გამოცვლის და სარემონტო მომსახურებებს. ეს მომსახურებები ზოგჯერ ცალკე იყიდება მომხმარებლებზე ან პაკეტებად სათადარიგო ნაწილების გაყიდვასთან ერთად.

გაწეული მომსახურებების პაკეტებად გაყიდვების ხელშეკრულებები ორ შესასრულებელ ვალდებულებას მოიცავს, რადგან გაყიდული საქონლის გადაცემის და მომსახურების გაწევის დაპირება შესაძლოა იყოს განსხვავებული და ინდივიდუალურად იდენტიფიცირებადი. შესაბამისად, ჯგუფი გარიგების ფასის განაწილებას ახდენს საქონლის და გაწეული მომსახურებების შესაბამისი ფარდობითი განცალკევებული სარეალიზაციო ფასების საფუძველზე. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს კონკრეტულ მომენტში გაწეული მომსახურებებიდან და საქონლის გაყიდვიდან, შესაბამისი განცალკევებული ფასის შესაბამისად.

სახელშეკრულებო ნაშთები

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

დებიტორული დავალიანების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ კლიენტისგან უპირობოდაა მისაღები საზღაურის თანხა (ე.ი. მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო საზღაურის გადახდის თარიღის დადგომამდე).

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ კლიენტისგან მიღებულია თანხა ან თანხის გადახდის ვადა დადგა (რომელიც უფრო ადრე მოხდება) ჯგუფის მიერ შესაბამისი საქონლის ან მომსახურების გადაცემამდე. სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება ხდება შემოსავლად მაშინ, როდესაც ჯგუფი შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას.

(დ) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ჯგუფის ფინანსური შემოსავლები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი;
- საკურსო ცვლილებით წარმოშობილი შემოსულობა ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე;
- შემოსავალი ფინანსური გარანტიების ამობრუნებიდან;
- სხვა ფინანსური შემოსავალი

ჯგუფის ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო ხარჯი აღებულ სესხებზე;
- საპროცენტო ხარჯები საიჯარო ვალდებულებებზე;
- საპროცენტო ხარჯი სხვა ფინანსურ ვალდებულებებზე.
- საკურსო ცვლილებით წარმოშობილი ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე;
- სხვა ფინანსური ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საკურსო სხვაობით წარმოშობილი შემოსულობები და ზარალი წმინდა საფუძველზე აღირიცხება იმის მიხედვით, უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა შემოსულობის პოზიციაშია, თუ წმინდა ზარალის.

ნასესხები სახსრები, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება განსაკუთრებული აქტივის შეძენას, მშენებლობასა და წარმოებას, აღიარდება მოგება-ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

(ე) გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში და დაანგარიშდება, როგორც განაწილებული წმინდა თანხის 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც ხდება დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის პარტნიორებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადის ვალდებულება კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან არადაკავშირებული ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშების საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ")

შემოსავალი, ხარჯები და აქტივები აღირიცხება ბრუნვის გადასახადის გამოკლებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- როდესაც შეუძლებელია ბრუნვის გადასახადის, რომლის ვალდებულებაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვისას წარმოიშობა, დაბრუნება საგადასახადო ორგანოებიდან. ამ შემთხვევაში ხდება ბრუნვის გადასახადის აღიარება აქტივის შესყიდვის ღირებულების ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების აღრიცხული ოდენობა შეიცავს ბრუნვის გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი ბრუნვის გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია როგორც საგადასახადო ვალდებულება, მოგების გადასახადის გარდა ან ავანსად გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, რომლებიც წმინდა სახით აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის წმინდა დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. ამიტომ ჯგუფი თითოეული საწარმოს ყველა საგადასახადო კრედიტორულ ან დებიტორულ ვალდებულებებთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

(ვ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს და არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ის დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას ჯგუფი გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

(ზ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო სარეალიზაციო ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელსაც აკლდება გაყიდვის სავარაუდო ხარჯები. სათადარიგო ნაწილების და სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენაზე გაწეულ ხარჯებსა და ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მათ მისაყვანად გაწეულ ხარჯებს. ავტომობილების თვითღირებულება განისაზღვრება სპეციფიკური იდენტიფიცირების საფუძველზე.

(თ) უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ამავდროულად მშობელი საწარმოს ფუნქციონალური ვალუტაა. ჯგუფი თითოეული საწარმოსათვის განსაზღვრავს ფუნქციონალურ ვალუტას და თითოეული მათგანის ფინანსურ ანგარიშგებაში შესული მუხლები ფასდება ამ ფუნქციონალური ვალუტის გამოყენებით. ჯგუფი იყენებს კონსოლიდაციის პირდაპირ მეთოდს და უცხოურ ქვედანაყოფის გაყიდვისას წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც მოგება-ზარალშია რეკლასიფიცირებული, ასახავს იმ თანხას, რომელიც წარმოიქმნება პირდაპირი მეთოდის გამოყენებიდან.

ოპერაციები და ნაშთები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავიდან ჯგუფის საწარმოების მიერ აღირიცხება მათ შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით.

2. ინფორმაცია ზუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

ფულადი მუხლების დაფარვით ან კონვერტაციით გამოწვეული სხვაობები აისახება მოგება-ზარალში, გარდა იმ ფულადი მუხლებისა, რომლებიც ჯგუფის უცხოური ქვედანაყოფის წმინდა ინვესტიციების ჰეჯირებისთვის არის განკუთვნილი. ისინი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში წმინდა ინვესტიციების ჩამოწერამდე, რა დროსაც ხდება მთლიანი თანხის რეკლასიფიკაცია მოგება-ზარალში. სხვა სრულ შემოსავალში ასევე აისახება ამ ფულადი მუხლების საკურსო სხვაობებზე მიკუთვნებული დარიცხული გადასახადი და კრედიტები.

არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლების კონვერტაციის შედეგად მიღებული შემოსულობა თუ ზარალი აღირიცხება ამ მუხლის სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებით განპირობებული შემოსულობის და ზარალის აღიარების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი მუხლები, რომლებიც პირვანდელი ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით.

შესაბამისი აქტივების, ხარჯების ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველ აღიარებაზე სპოტ სავალუტო კურსის განსასაზღვრად, ისეთი არაფულადი აქტივების ან არაფულადი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისას, რომლებიც წინასწარ გადახდებს უკავშირდება, გარიგების თარიღი არის ის თარიღი, როდესაც ჯგუფი თავდაპირველად აღიარებს საავანსო გადახდიდან წარმოშობილ არაფულად აქტივებს ან არაფულად ვალდებულებებს. თანხის არაერთი წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, ჯგუფი თანხის თითოეული წინასწარი გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

ჯგუფის კომპანიები

კონსოლიდაციისას უცხოური ქვედანაყოფების აქტივები და ვალდებულებები ლარში გადაიყვანება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი სავალუტო კურსით, ხოლო მოგება-ზარალის ანგარიშგება გადაიყვანება იმ სავალუტო კურსებით, რომლებიც მოქმედებდა შესაბამისი ოპერაციების დღეს. კონსოლიდაციისთვის აუცილებელი კონვერტაციის შედეგად მიღებული საკურსო სხვაობების აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში. უცხოური ქვედანაყოფის ჩამოწერის შემთხვევაში, სხვა სრული შემოსავლის ამ კონკრეტულ უცხოურ ქვედანაყოფთან დაკავშირებული კომპონენტის აღიარება ხდება მოგება-ზარალში. როდესაც შიდაჯგუფურ ბალანსზე საკურსო სხვაობა წარმოიშვება, რომელიც, არსებითად, შეადგენს საწარმოს წმინდა ინვესტიციის ნაწილს უცხოურ ქვედანაყოფში, მაშინ საკურსო სხვაობის აღიარება არ ხდება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგების მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. მისი აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება კაპიტალის ცალკე კომპონენტზე, ამ უცხოური ოპერაციის ჩამოწერამდე.

(ი) ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. კომპანიის მიერ აგებული აქტივების თვითღირებულება მოიცავს მასალისა და შრომის პირდაპირ ხარჯებს და ყველა სხვა ხარჯს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის შესაბამის მდგომარეობაში მოსაყვანად განკუთვნილ ხარჯებს, დემონტაჟის და მოხსნის ხარჯებს, ასევე იმ ტერიტორიის რეაბილიტაციის ხარჯებს, რომლებზეც ეს აქტივები მდებარეობს და ასევე ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ კაპიტალიზებად ხარჯებს. შესყიდული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია შესაბამისი აღჭურვილობის ფუნქციონირებისთვის, კაპიტალიზდება, როგორც ამ აღჭურვილობის განუყოფელი ნაწილი. დაუმთავრებელი მშენებლობა აღრიცხულია თვითღირებულებით, აკუმულირებული გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით.

თუ ძირითადი საშუალებების ერთეულებს სხვადასხვა სასარგებლო გამოყენების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად) და მათზე ცვეთა ცალკე ირიცხება, შესაბამისი სასარგებლო გამოყენების ვადის გათვალისწინებით. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართომასშტაბიანი ინსპექცია, მისი ხარჯის აღიარება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ხდება, როგორც ჩანაცვლების ღირებულებისა, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯის აღიარება ხდება მათი დადგომისთანავე მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს (ე.ი. მაშინ, როდესაც მიმღებზე გადადის კონტროლი) ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალებების გასხვისებით მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალთან შედარებით და მოგება-ზარალში აღიარდება სხვა შემოსავლის/სხვა ხარჯის ნაწილში.

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების დამონტაჟების და მათი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივის ღირებულებასა და შეფასებული ნარჩენი ღირებულების სხვაობის მიხედვით.

ზოგადად, ცვეთის აღიარება ხდება მოგება-ზარალში ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. იჯარით აღებულ აქტივებს ცვეთა ერიცხებათ საიჯარო პერიოდსა და სასიცოცხლო ვადას შორის უმოკლესი პერიოდით, გარდა შემთხვევებისა, როდესაც გონივრულად მოსალოდნელია, რომ ჯგუფი იჯარის ვადის ბოლოსთვის აქტივზე მფლობელობას მოიპოვებს. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო გამოყენების ვადები მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის იყო შემდეგი:

► შენობა-ნაგებობები	37-დან 50 წლამდე;
► მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	1-დან 10 წლამდე;
► საოფისე აღჭურვილობა, ავტომობილები და სხვ.	1-დან 10 წლამდე.

ცვეთის დარიცხვის მეთოდები, სასარგებლო გამოყენების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაისინჯება ყოველი საანგარიშგებო თარიღით და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

ცვეთის დარიცხვა

პროცესში უშუალოდ მონაწილე ძირითად საშუალებებზე დარიცხული ცვეთა წარმოადგენს ზედნადებ ხარჯს და აღირიცხება როგორც გაყიდული საქონლის თვითღირებულება (თუ სასაქონლო-მატერიალური მარაგები გაიყიდა) ან როგორც სასაქონლო-მატერიალური მარაგები (თუ წარმოებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები ჯერ არ გაყიდულა).

ნასესხებ თანხებთან დაკავშირებული დანახარჯები

ისეთი აქტივის შეძენისთვის, აგებისა თუ წარმოებისთვის უშუალოდ მიკუთვნებადი ნასესხებ თანხებთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლის გამიზნულად მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მომზადებასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც აქტივის ღირებულების ნაწილი. ნასესხებ თანხებთან დაკავშირებული დანახარჯების ყველა სხვა დანარჩენი ხარჯი დადგომისთანავე აღიარდება პერიოდის ხარჯად. სესხის მიღების ხარჯი შედგება პროცენტისგან და სხვა ხარჯებისგან, რომლებსაც კომპანია გაიღებს სესხის მიღებასთან დაკავშირებით.

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

(კ) არამატერიალური აქტივები

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას თვითღირებულებით აღირიცხება. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივების ღირებულება წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისთვის. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივების კაპიტალიზაცია, გარდა საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ხარჯებისა, არ ხდება და ხარჯი აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს ხარჯი გაიწია.

ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს.

შეზღუდული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება ეკონომიკური მომსახურების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად ფასდება მაშინ, როდესაც იარსებებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება შესაბამისად ცვლის ამორტიზაციის პერიოდს ან მეთოდს და აღირიცხება როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება.

შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ცვეთის ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში. ჯგუფის არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა 6 წლიდან 15 წლამდეა.
არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს (ე.ი. იმ თარიღში, როდესაც ხდება კონტროლის მიღება აქტივის მიმღების მიერ) ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტისას მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგება-ზარალში.

(ლ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(v) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (OCI) და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით. ჯგუფი თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და ჯგუფის ბიზნესმოდელზე, რომლითაც მათ მართავს. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფი პრაქტიკულ ხერხს იყენებს, ჯგუფი ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების ხარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგება-ზარალში ასახვით. სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, რომლებიც არ მოიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც ჯგუფმა პრაქტიკულ ხერხი გამოიყენა, ფასდება *ფასს 15-ით „შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“* განსაზღვრული გარიგების ფასით.

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს" (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

ჯგუფის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ამორტიზებული ღირებულებით კლასიფიცირებული და შეფასებული ფინანსური აქტივების ფლობა ხდება ბიზნეს მოდელში ფინანსური აქტივების ფლობის მიზნით, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, ხოლო სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში კლასიფიცირებული და შეფასებული ფინანსური აქტივების ფლობა ბიზნეს მოდელში ხდება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობის და გაყიდვის მიზნით.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფმა აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები);
- სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღრიცხული ფინანსური აქტივები, კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე (წილობრივი ინსტრუმენტები);
- მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები)

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდგომში ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.
ჯგუფის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას და გაცემულ სესხებს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები - მე-5 შენიშვნა;
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება - მე-14 შენიშვნა;
- გაცემული სესხები - მე-13 შენიშვნა;

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და ჯგუფის მოსალოდნელ ყველა ფულად ნაკადს შორის, დისკონტირებულს თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნის

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპად. ისეთი საკრედიტო რისკის პოზიციებისათვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). საკრედიტო რისკის პოზიციისათვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, საჭიროა ზარალის ანარიცხი იმ საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია რისკის პოზიციის დარჩენილი საციცოცხლო ვადის განმავლობაში, დეფოლტის დროის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისთვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფმა შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი სამომავლო ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო დეპოზიტები), ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც წარმოიქმნება ფინანსურ ინსტრუმენტზე დეფოლტის შემთხვაში და რომელიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს. ჯგუფის შეფასებით საკრედიტო დაწესებულებებში ფლობილი თანხების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უმნიშვნელოა.

გაცემული სესხებისა და ფინანსური გარანტიებისთვის მოსალოდნელია, რომ საკრედიტო დავალიანება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ან დეფოლტს გამოიწვევს კრედიტის ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესების შემდეგ, რაც განისაზღვრება, როგორც კონტრაგენტების საკრედიტო რეიტინგის გაუარესება თავდაპირველი აღიარებიდან ორი პოზიციით, ან საკრედიტო რეიტინგის დადგენა Ca ან ნაკლებ დონეზე. ჯგუფს ყველა სესხი და გარანტია გაცემული აქვს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებზე, შესაბამისად, მათი დაფარვა ყოველთვის არ შეესაბამება შეთანხმებულ გრაფიკს და, შესაძლოა, გამოიწვიოს ხელშეკრულების რამდენიმეჯერ გახანგრძლივება და რესტრუქტურიზაცია. შესაბამისად, ჯგუფი ვადაგადაცილებულ დღეებს არ მიიჩნევს საკრედიტო რისკის ან გაუფასურების მნიშვნელოვნად გაზრდის მანიშნებელ ფაქტორად. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ჯგუფმა შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ ჯგუფი სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, ჯგუფის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს მოგება-ზარალში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაფერისია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან ამოღება) ძირითადად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება აღარ არსებობს, ან
- ჯგუფმა სხვას გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული ფულადი ნაკადების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა სხვას გადასცა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა სხვას არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ სხვას გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ ჯგუფმა სხვას გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, ჯგუფი აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში, ჯგუფი მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ჯგუფის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

(vi) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგება-ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და ნასესხები სახსრები, სავაჭრო ვალდებულებები, ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები, სხვა ფინანსური ვალდებულებები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს, როგორც შესაბამისია.

სხვა ფინანსური ვალდებულებების გარდა, ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, ნასესხები სახსრების და კრედიტორული დავალიანებების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების ხარჯები.

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს, სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს, ნასესხებ სახსრებსა და საიჯარო ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფმა გააფორმა კონკრეტული ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები ქართულ კომერციულ ბანკში საბოლოო მაკონტროლებელი მხარის და შპს „თი-ემ-ჯი ჯგუფის" (ჯგუფის მშობელი საწარმო) სესხების უზრუნველყოფის მიზნით. რადგან საბოლოო მაკონტროლებელი მხარის და შპს „თი-ემ-ჯი ჯგუფის" ძირითადი შემოსავლის წყაროს კომპანიის მიერ გამოცხადებული დივიდენდები წარმოადგენს, ამ გარანტიის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდა კაპიტალის შესაბამის ანგარიშებში, ამ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საუკეთესო შეფასების გზით, რომელიც კორექტირდება ფულის დროითი ღირებულებით. შემდგომში, ხსენებული ვალდებულების ხელახლა შეფასება აღიარდება მოგება-ზარალში, თუ ის არ უკავშირდება საბაზისო გარანტირებული ვალდებულების დაფარვით გამოწვეულ შემცირებას უპირატესი მოვალეების მიერ, რა შემთხვევაშიც, ამგვარი შემცირება პირდაპირ აღიარდება კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც ეს განხილულია ქვემოთ:

სესხები და ნასესხები სახსრები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2. ინფორმაცია ზუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ამორტიზაცია აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსური ხარჯების სახით. ეს კატეგორია ზოგადად ეხება ნასესხებ სახსრებს.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე გამსესხებლის წინაშე, რომელსაც მეტწილად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები მეტწილად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

(vii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის განზრახვა.

(მ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, ჯგუფი აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, გამოიყენება შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

ჯგუფი გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება ჯგუფის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ოთხწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის მეხუთე წლის შემდეგ.

განგრძობითი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების, მათ შორის სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების აღიარება ხდება მოგება-ზარალში, გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამის ხარჯის კატეგორიებში.

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

აქტივებისთვის, გუდვილის გარდა, შეფასება ხდება ყოველი ანგარიშგების თარიღზე იმის დასადგენად, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღმოფხვრილი ან შემცირებულია. მსგავსი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს აქტივის ან ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის ამობრუნება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. ამობრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ასეთი აღდგენის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გუდვილის გაუფასურება

გუდვილი თავდაპირველად აღიარდება და შეფასდება როგორც აღწერილია ზემოთ.

გუდვილი არ ამორტიზდება, თუმცა განიხილება გაუფასურებაზე ყოველწლიურად. გაუფასურების მიზნებისთვის, გუდვილი ნაწილდება თითოეული ფულადი ნაკადების წარმომქმელ ერთეულზე (ან ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ერთეულების ჯგუფზე), რომელიც მოსალოდნელია რომ მიიღებს სარგებელს გაერთიანების სინერგიიდან. ის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულები, რომლებზეც მიკუთნებულია გუდვილი, მოწმდება გაუფასურებაზე ყოველწლიურად, ან უფრო ხშირად თუ არსებობს რაიმე ინდიკატორი, რომელიც მის გაუფასურებაზე მიუთითებს. როდესაც ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენითი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, გაუფასურების ზარალით პირველ რიგში მცირდება გუდვილის საბალანსო ღირებულება, რომელიც გადანაწილებეულია ამ ერთეულზე და შემდგომ კი ერთეულის სხვა აქტივები პროპორციულად. გუდვილთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალის ამობრუნება არ არის შესაძლებელი მომავალ პერიოდებში.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შეწყვეტისას, აღნიშნულ ოპერაციებთან დაკავშირებული გუდვილი გაითვალისწინება მის შეწყვეტასთან დაკავშირებული მოგება-ზარალის განსაზღვრისას.

(ნ) სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტებს აფასებს გაყიდვის ხარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ ადგილი აქვს აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგებას:

- აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე;
- ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

ჯგუფი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძევება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ან ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება ნაწილდება ქვემოთ წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით, რაც ეყრდნობა იმ ყველაზე დაბალი დონის ამოსავალ მონაცემს, რომელიც მნიშვნელოვანია მთლიანად სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად:

2. ინფორმაცია ზუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- დონე 2 – ღირებულების განსაზღვრის მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- დონე 3 – ღირებულების განსაზღვრის მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ჯგუფი განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებებში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.
სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნის მიზნებისთვის, ჯგუფმა აქტივების და ვალდებულებების კლასი განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის, თვისებებისა და რისკების ან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით.

(ო) საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის რაოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. კომპანიის მიერ საწესდებო კაპიტალი აღიარდება იმის გათვალისწინებით, რომ ის კომპანიაში მფლობელებმა შეიტანეს.

(პ) ფულადი სახსრები და ბანკში არსებული ნაშთები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და ბანკში არსებული ნაშთები მოიცავს ფულად სახსრებს ბანკში და სალაროში და მოკლევადიან დეპოზიტებს, რომელთა ვადაც სამი თვე ან უფრო ნაკლებია, რაც ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ნაშთები ბანკში, რომელთა გამოყენება ჯგუფის მიერ ექვემდებარება მესამე მხარის სახელშეკრულებო შეზღუდვებს, შედის ფულად სახსრებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეზღუდვები არ გამოიწვევს, რომ ნაშთები ბანკში აღარ აკმაყოფილებდეს ფულადი სახსრების განმარტებას. სახელშეკრულებო შეზღუდვები, რომლებიც გავლენას ახდენს ბანკში არსებული ნაშთების გამოყენებაზე, წარმოდგენილია შენიშვნა 15-ში. თუ ფულადი სახსრების გამოყენების სახელშეკრულებო შეზღუდვები ვრცელდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, შესაბამისი თანხები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისთვის, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან და მოკლევადიანი ანაბრებისგან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, რასაც აკლდება საბანკო ოვერდრაფტები, რადგან ისინი ითვლება ჯგუფის ფულადი სახსრების მართვის განუყოფელ ნაწილად.

(ე) ანარიცხები

ზოგადი ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა. თუ ჯგუფი მოელის ანარიცხების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების დათქმის ან მომწოდებლის გარანტიების საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურების მიღება პრაქტიკულად გადაწყვეტილია. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები მოგება-ზარალში აისახება ყოველგვარი ანაზღაურების გამოკლებით.

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მნიშვნელოვანია, ანარიცხების დისკონტირება ხდება მიმდინარე დაბეგვრამდელი განაკვეთით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ასახავს ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გამოყენების შემთხვევაში, ანარიცხების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია ფინანსური ხარჯების ნაწილში.

საგარანტიო ანარიცხები და დაკავშირებული აქტივი

ჯგუფი გასცემს გარანტიებს რემონტის და დეფექტური ერთეულ(ებ)ის გამოცვლაზე, ასევე მწარმოებლის მიერ განსაზღვრულ მახასიათებლებთან შეუსაბამო პროდუქტების გამოცვლაზე. ამ რწმუნებულების მსგავს გარანტიებთან დაკავშირებული ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც გაიყიდება პროდუქტი ან მომხმარებელს გაეწევა მომსახურება. თავდაპირველი აღიარება ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ხდება. გარანტიასთან დაკავშირებული ხარჯების პირვანდელი შეფასების გადასინჯვა ხდება ყოველწლიურად.

ჯგუფი განცალკევებით აღიარებს გარანტიასთან დაკავშირებული აქტივს, მწარმოებლისგან საგარანტიო ანაზღაურების მიღების უფლების აღრიცხვის მიზნით, როდესაც ანაზღაურება პრაქტიკულად გადაწყვეტილია.

(რ) იჯარა

განსაზღვრება იმისა, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას

ხელშეკრულების გაფორმებისას ჯგუფი აფასებს ხელშეკრულება წარმოადგენს ან მოიცავს თუ არა იჯარას. ეს იმას ნიშნავს, გადასცემს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივების სარგებლობის კონტროლის უფლებას დროის კონკრეტულ მომენტში, ანაზღაურების სანაცვლოდ.

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ჯგუფი იყენებს ერთ აღიარების და შეფასების მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. ჯგუფი აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს საიჯარო გადახდების გადახდისათვის და აქტივის გამოყენების უფლებას, რომელიც საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებას წარმოადგენს.

ჯგუფი სხვადასხვა ოფისს, საწყობს, მიწის ნაკვეთს, საცალო მომსახურების მაღაზიას და ავტოსატრანსპორტო საშუალებებს იღებს იჯარით. საიჯარო ხელშეკრულებები ჩვეულებრივ ფიქსირებული პერიოდით - 6 თვიდან 20 წლამდე ფორმდება.

(i) აქტივის გამოყენების უფლება

ჯგუფი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის დაწყების თარიღში. აქტივის გამოყენების უფლება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება, შემდგომში კი - თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურების ზარალით და ასევე, კორექტირდება საიჯარო ვალდებულებების ხელახალი შეფასების თანხებით. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, თავდაპირველად გაწეული პირდაპირი ხარჯების და დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადასახდელების თანხებს, ნებისმიერი მიღებული საიჯარო შეღავათების თანხების გამოკლებით. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით, საიჯარო ვადასა და აქტივის შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესის განმავლობაში, შემდეგი სახით:

- შენობა-ნაგებობები 1-დან 20 წლამდე;
- ავტოსატრანსპორტო საშუალებები 3-დან 5 წლამდე.

თუ საიჯარო აქტივის საკუთრების უფლება გადადის ჯგუფზე საიჯარო პერიოდის ბოლოს ან თვითღირებულება ასახავს შესყიდვის უფლებით სარგებლობას, ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლება გაუფასურებას ექვემდებარება. იხილეთ სააღრიცხვო პოლიტიკები თავში *(მ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება.*

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

(ii) საიჯარო ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღში, ჯგუფი აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით ფასდება. საიჯარო გადასახდელები მოიცავს ფიქსირებულ თანხებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), რასაც აკლდება ნებისმიერი საიჯარო შეღავათების დებიტორული დავალიანება, ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც განაკვეთზე ან კოეფიციენტზეა დამოკიდებული და თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების საფუძველზე. საიჯარო გადასახდელები ასევე მოიცავს შესყიდვის უფლებით სარგებლობის ღირებულებას, როდესაც გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ჯგუფის ამ უფლებას გამოიყენებს, და ჯარიმების გადახდებს იჯარის შეწყვეტისთვის, თუ იჯარის ვადა ასახავს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას.

ზოგიერთი ქონების იჯარა მოიცავს ცვლად გადახდის პირობებს, რომლებიც, თავის მხრივ, მაღაზიიდან გენერირებულ გაყიდვებს უკავშირდება. ცვლადი საიჯარო გადასახდელები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე, აღიარდება ხარჯის სახით (თუ მათი გაწევა არ ხდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების საწარმოებლად) იმ პერიოდში, რომელშიც წარმოიშვება ისეთი ვითარება ან სიტუაცია, რომელიც გადახდას იწვევს.

საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების დაანგარიშებისას, ჯგუფი იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღში, რადგან იჯარაში ნაგულისხმევი პროცენტი მარტივად ვერ განისაზღვრება. დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებები იზრდება, რომ აისახოს პროცენტის დარიცხვის თანხა და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადასახდელების თანხებით. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა გადაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება მოდიფიკაციას, საიჯარო ვადის, საიჯარო გადასახდელების ცვლილებას (მაგ. ცვლილება მომავალ გადახდებში, რომელიც წარმოიშვება ამგვარი საიჯარო გადახდების განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილებიდან) ან საიჯარო აქტივის შეძენის ოფციის შეფასების ცვლილებას.

აქტივის გამოყენების უფლებაც და საიჯარო ვალდებულებებიც განცალკევებული ერთეულების სახით არიან წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

(iii) მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები

ჯგუფი იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისგან განთავისუფლებას შენობების, საოფისე ტექნიკის და ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოკლევადიან იჯარებზე (ე.ი. იჯარებზე, რომლებსაც აქვთ დაწყების თარიღიდან 12- ან ნაკლებთვიანი საიჯარო ვადა და არ მოიცავენ შესყიდვის უფლებას). ის ასევე იყენებს დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის აღიარებისგან გათავისუფლებას საოფისე აღჭურვილობის იჯარებზე, რომლებიც დაბალფასიანად მოიაზრებიან. საიჯარო გადასახდელები მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე აღიარდება ხარჯის სახით საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

ჯგუფი, როგორც მეიჯარე

იჯარა, რომლის დროსაც ჯგუფი არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. მიღებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება შემოსავლის ნაწილში. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავალი. პირობითი საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

(ს) საოპერაციო სეგმენტები

საოპერაციო სეგმენტი არის ჯგუფის კომპონენტი, რომელიც ახორციელებს ისეთ ბიზნეს აქტივობებს, რომელთა შედეგადაც შესაძლებელია, რომ მიიღოს შემოსავალი და წარმოექმნას ხარჯები (იმ შემოსავლის და ხარჯების ჩათვლით, რომელიც დაკავშირებულია იმავე საწარმოს სხვა კომპონენტებთან); რომლის საოპერაციო შედეგებს რეგულარულად იხილავს კომპანიაში საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი, ამ სეგმენტზე რესურსების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად და მისი საქმიანობის შედეგების შესაფასებლად; და რომლის შესახებაც არსებობს განცალკევებული ფინანსური ინფორმაცია.

(ტ) გარიგებები საბოლოო მაკონტროლებელ მხარესთან და საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებთან

გარიგებები საბოლოო მაკონტროლებელ მხარესთან და საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოსთან აღირიცხება გარიგების ნომინალური ღირებულებით, გარდა ფინანსური ინსტრუმენტების შემცველი გარიგებებისა. ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება აღიარების პოლიტიკების შესაბამისად, რომლებიც განსაზღვრულია ნაწილში *(ლ) ფინანსური ინსტრუმენტები* - გარიგების ნომინალურ ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობა აღირიცხება კაპიტალის შემადგენელ ნაწილად. ნებისმიერი შემდგომი მოძრაობა ამ ფინანსურ ინსტრუმენტებში აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკებში და განმარტებით შენიშვნებში

(ა) ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

ჯგუფს ვადაზე ადრე არ მიუღია სხვა რომელიმე სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

შემდეგი ახალი ან შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები ძალაში 2023 წლის 1 იანვარს შევიდა, მაგრამ მათ მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონიათ ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 17- სადაზღვევო კონტრაქტები
- ბასს 8 -ს ცვლილება - სააღრიცხვო დაშვებების განმარტება
- ბასს 1 -ცვლილება - სააღრიცხვო პოლიტიკების განმარტება
- ბასს 12-ს ცვლილება - გადავადებული გადასახადი, რომელიც უკავშირდება ერთი ოპერაციიდან წარმოქმნილ აქტივებსა და ვალდებულებებს, საერთაშორისო გადასახადების რეფორმა - პილარ 2 მოდელის მიხედვით

4. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ჯგუფი ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე, თუკი ისინი ჯგუფს მიესადაგება. მოსალოდნელი არ არის, რომ ამ ცვლილებებს მნიშვნელოვანი გავლენა ექნებათ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ფასს 16-ის ცვლილება - საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას;
- ცვლილებები ბასს 1-ში: *ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად; გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით*
- მომწოდებლის ფინანსური შეთანხმებები - ცვლილებები ბასს 7-ში და ფასს 7-ში.
- ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები: აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე, მათ გაცხადებაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშგებო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. ჯგუფმა თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რაც არ ექვემდებარება ჯგუფის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

გუდვილის გაუფასურება

ჯგუფი სულ მცირე ყოველწლიურად ამოწმებს გუდვილის გაუფასურებას. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ანაზღაურებადი თანხები განისაზღვრა გამოყენებული ღირებულების გამოთვლების საფუძველზე. ეს გამოთვლები მოითხოვს შეფასებების გამოყენებას, როგორც შემდგომ დეტალურად არის აღწერილი მე-6 შენიშვნაში.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასების შემდეგ, გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულებაც შესაბამისად უნდა გადანაწილდეს. შეფასებებისას ხდება ბიუჯეტების გამოყენებაც, რომელიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების პროგნოზებს, რაც დამოკიდებულია მიმდინარე და მოსალოდნელ საბაზრო პირობებზე.

რადგანაც პროგნოზები მათი ბუნებიდან გამომდინარე თავისთავად მოიცავს გარკვეულ განუსაზღვრელობებს, ჯგუფი სისტემატიურად განიხილავს შეფასებებისა და დაშვებების ადეკვატურობას, რაც დამოკიდებულია წარსულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალ მოვლენებზეც, რაც შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით მოსალოდნელად მიიჩნევა.

ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები

სავაჭრო დებიტორული დავალიანებასა და სახელშეკრულებო აქტივებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებისთვის ჯგუფი ორ მეთოდს იყენებს - ინდივიდუალურ შეფასებას და კოლექტიური შეფასების მეთოდს. ინდივიდუალური მეთოდი გამოიყენება მხოლოდ მნიშვნელოვან კონტრაგენტებთან, დაკავშირებულ მხარეებთან და სახელმწიფო ორგანიზაციებთან.

კოლექტიურ მეთოდში ჯგუფი იყენებს ანარიცხის მატრიცას სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისა და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დასაანგარიშებლად. დარეზერვების დონე ეფუძნება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობას ზარალის მსგავსი მახასიათებლების მქონე სხვადასხვა სამომხმარებლო სეგმენტების დაჯგუფების საფუძველზე.

ანარიცხის მატრიცა თავდაპირველად ეფუძნება ჯგუფის ისტორიულად დაგრვილ დეფოლტის განაკვეთების შესახებ ინფორმაციას. ჯგუფი მოახდენს მატრიცის დაკალიბრებას საკრედიტო ზარალის ისტორიული გამოცდილების საპროგნოზო ინფორმაციაზე მორგების მიზნით. თითოეულ ანგარიშგების თარიღში, ახლდება წარსულში დაფიქსირებული დეფოლტის განაკვეთები და ანალიზდება ცვლილებები მომავალზე ორიენტირებულ შეფასებებში. ჯგუფის საკრედიტო ზარალის ისტორიული გამოცდილება და საპროგნოზო ეკონომიკური პირობები შესაძლოა არ იყოს მომავალში კლიენტის ფაქტიური დეფოლტის განმსაზღვრელი. ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ ჯგუფის სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებთან და სახელშეკრულებო აქტივებთან დაკავშირებით მოცემულია მე-14 შენიშვნაში.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები მიმოხილვა (გაგრძელება)

საიჯარო ვადის განსაზღვრა იმ ხელშეკრულებებისათის, რომლებიც განახლებისა და შეწყვეტის ოფციებს შეიცავენ - ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ჯგუფი განსაზღვრავს საიჯარო ვადას, როგორც იჯარის შეუქცევადი ვადა, ნებისმიერ სხვა პერიოდთან ერთად, რომელზეც ვრცელდება იჯარის გახანგრძლივების ოფცია, თუ მოიჯარეს ექნება გონივრული რწმენა იმისა, რომ ამგვარი ოფციით ისარგებლებს, ან ნებისმიერი პერიოდთან ერთად, რომელზეც ვრცელდება იჯარის შეწყვეტის ოფცია, თუ მისი გამოყენების გონივრული რწმენა არ არსებობს.

რამდენიმე იჯარის ფარგლებში, ჯგუფს შეუძლია იჯარით აიღოს აქტივები დამატებითი პერიოდით - ერთიდან ოთხ წლამდე ვადით. იმის შეფასებაში, არსებობს თუ არა გონივრული რწმენა იმისა, რომ ჯგუფი ისარგებლებს იჯარის განახლების შესაძლებლობით, ჯგუფი მსჯელობას ეყრდნობა. ე.ი. იჯარის განახლებისთვის ის განიხილავს ყველა შესაძლო ფაქტორს, რომელიც მისთვის ეკონომიკურ სარგებელს წარმოქმნის. ხელშეკრულების დაწყების თარიღის შემდეგ, ჯგუფმა განმეორებით შეაფასა იჯარის ვადა იმის გადასამოწმებლად, ხომ არ არსებობს მნიშვნელოვანი მოვლენა ან ცვლილება ვითარებებში, რომლებიც მისი კონტროლის ფარგლებშია და მოქმედებს მის მიერ იჯარის განახლების ოფციის გამოყენების (ან არ გამოყენების) უნარზე. ჯგუფმა გაითვალისწინა განახლების პერიოდი იჯარის პერიოდის განსაზღვირსას მიწის ნაკვეთების და შენობა-ნაგებობების, მანქანა-დანადგარებისა და აღჭურვილობის იჯარებისთვის.

ჯგუფს ასევე რამდენიმე საიჯარო ხელშეკრულება აქვს, რომლებიც შეწყვეტის შესაძლებლობას იძლევა. იმის შეფასებაში, არსებობს თუ არა გონივრული რწმენა იმისა, რომ ორგანიზაცია ისარგებლებს იჯარის შეწყვეტის შესაძლებლობით, ჯგუფი ეყრდნობა განსჯას. ჯგუფს არ აქვს განზრახული გამოიყენოს შეწყვეტის შესაძლებლობა მისი საიჯარო ხელშეკრულებებისთვის.

საიჯარო ვალდებულების დასაანგარიშებლად გამოყენებული ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის შეფასება

ჯგუფს არ შეუძლია იჯარის ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა, შესაბამისად, საიჯარო ვალდებულებების შესაფასებლად ის ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იყენებს. ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთს, რომლის გადახდაც ჯგუფს მოუწევდა აქტივის გამოყენების უფლების მსგავსი ღირებულების მქონე აქტივის შესაძენად საჭირო მსგავსი ვადისა და მსგავსი უზრუნველყოფის მქონე სესხის დასაფარად მსგავს ეკონომიკურ გარემოში. ჯგუფი ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს აფასებს ემპირიული ამოსავალი მონაცემების (როგორიც არის საბაზრო საპროცენტო განაკვეთი) გამოყენებით, როდესაც ისინი ხელმისაწვდომია და საჭიროა საწარმოსთვის დამახასიათებელი კონკრეტული შეფასებების გაკეთება.

დავა საგადასახადო ორგანოებთან

ჯგუფმა გამოიყენა მსჯელობა საგადასახადო შემოწმების შედეგების (იხ. შენიშვნა 27) და მათი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ზეგავლენის შეფასებისას და დაასკვნა, რომ კონსოლიდირებული ანგარიშგების გამოცემის დროს არ არის საჭირო ანარიცხების გაკეთება და შესაბამისი პირობითი ვალდებულება სათანადოდ არის გამჟღავნებული ბასს 37 - ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივების შესაბამისად.

6. საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი

შპს ავტო გალერის დამატებითი წილის შეძენა

2023 წლის 13 იანვარს კომპანიამ შეიძინა დამატებითი 10%-იანი წილი შპს ავტო გალერიში. არამაკონტოლებელი წილის მფლობელ აქციონერზე გადაცემულმა კომპენსაციამ შეადგინა 3,400 ლარი. ქვემოთ ცხრილში მოცემულია დამატებით წილის შეძენა:

არამაკონტროლებელი აქციონერისთვის გადაცემული კომპენსაცია	3,400
დამატებითი წილის საბალანსო ღირებულება	(386)
კაპიტალის სხვა კომპონენტებში აღიარებული სხვაობა	**3,014**

6. საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი (გაგრძელება)

შპს აზტეხ და თეგეტა მოტორსის დამატებითი წილის შესყიდვა

2023 წლის 5 აგვისტოს ჯგუფმა შეიძინა დამატებითი 25%-იანი წილი შპს აზტეხ და თეგეტა მოტორსში. არამაკონტოლებელი წილის მფლობელ აქციონერზე გადაცემულმა კომპენსაციამ შეადგინა 2,526 ლარი. ქვემოთ ცხრილში მოცემულია დამატებით წილის შეძენა:

არამაკონტროლებელი აქციონერისთვის გადაცემული კომპენსაცია	2,526
დამატებითი წილის საბალანსო ღირებულება	(472)
კაპიტალის სხვა კომპონენტებში აღიარებული სხვაობა	**2,054**

შპს ავტო გალერის შეძენა

2022 წლის 7 ივნისს კომპანიამ შეიძინა საქართველოში დაფუძნებული, ბირჟაზე არარეგისტრირებული კომპანიის, შპს ავტო გალერის ხმის უფლების მქონე აქციების 80%. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სხვადასხვა ბრენდის მეორადი და ახალი ავტომობილებით საცალო ვაჭრობა. ჯგუფმა აირჩია შენაძენში არაკონტროლირებადი წილების სამართლიანი ღირებულებით შეფასება. ავტო გალერის ჰყავს შემდეგი შვილობილი კომპანიები: შპს ქარ რენთ (100%), შპს IAA თეგეტა (51%), შპს სეგრექს ავტოგალერი (50%).

2022 წლის 22 ივლისს კომპანიამ, ასევე, შეიძინა შპს ავტო გალერის აქციების 10%.

შეძენილი აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები

შპს ავტო გალერის იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეძენის თარიღისთვის იყო:

	შეძენისას აღიარებული სამართლიანი ღირებულება
აქტივები	
ძირითადი საშუალებები (მე-8 შენიშვნა)	15,622
არამატერიალური აქტივები	182
აქტივის გამოყენების უფლება	316
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	17
ფულადი სახსრები და ნაშთები ბანკში	112
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5,460
საგადასახადო აქტივები	118
გაცემული სესხები	1,030
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	1,670
წინასწარ გადახდილი თანხები	981
	25,508
ვალდებულებები	
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	7,170
საიჯარო ვალდებულებები	1,464
სახელშეკრულებო ვალდებულებები	739
ნასესხები თანხები	13,831
	23,204
სულ იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივები სამართლიანი ღირებულებით	**2,304**
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არაკონტროლირებადი წილი	(230)
შეძენისას წარმოქმნილი გუდვილი	28,526
გადაცემული კომპენსაცია	**30,600**

6. საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი (გაგრძელება)

საწარმოთა გაერთიანების უპირველესი მიზეზი იყო ავტომობილებსა და მასთან დაკავშირებული სერვისების ჯგუფის საოპერაციო სეგმენტის შემდგომი გაფართოება და მოსალოდნელი სინერგიით სარგებლობა შეძენილი საწარმოსა და ჯგუფის ოპერაციების გაერთიანებიდან.

შპს თეგეტა ინთერნეიშენალის შეძენა

2022 წლის 10 ივნისს კომპანიამ შეიძინა საქართველოში დაფუძნებული, ბირჟაზე არარეგისტრირებული კომპანიის, შპს თეგეტა ინთერნეიშენალის ხმის უფლების მქონე აქციების 90%. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მძიმე ტექნიკის გაქირავება. ჯგუფმა აირჩია შენაძენში არამაკონტროლებელი წილების სამართლიანი ღირებულებით შეფასება. შპს თეგეტა ინთერნეიშენალს ჰყავს შვილობილი კომპანია შპს „თეგეტა რენტალსი" (100%).
2022 წლის 22 ივლისს კომპანიამ ასევე შეიძინა შპს თეგეტა ინთერნეიშენალის აქციების 10%.

შეძენილი აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები

შპს თეგეტა ინთერნეიშენალის იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეძენის თარიღისთვის იყო:

	შეძენისას აღიარებული სამართლიანი ღირებულება
აქტივები	
ძირითადი საშუალებები (მე-8 შენიშვნა)	5,883
არამატერიალური აქტივები	11
აქტივის გამოყენების უფლება	3,322
ფულადი სახსრები და ნაშთები ბანკში	424
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	29
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	1,589
გადახდილი ავანსები	40
	11,298
ვალდებულებები	
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	5,554
საიჯარო ვალდებულებები	4,400
სახელშეკრულებო ვალდებულებები	213
ნასესხები თანხები	228
	10,395
სულ იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივები სამართლიანი ღირებულებით	**903**
შეძენისას წარმოქმნილი გუდვილი	11,104
გადაცემული კომპენსაცია	**12,007**

საწარმოთა გაერთიანების უპირველესი მიზეზი იყო ჯგუფის ავტომობილებისა და მასთან დაკავშირებული სერვისების საოპერაციო სეგმენტის შემდგომი გაფართოება და მოსალოდნელი სინერგიით სარგებლობა შეძენილი საწარმოსა და ჯგუფის ოპერაციების გაერთიანებიდან.

6. საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი (გაგრძელება)

შპს კავკასუს ავტომოტივის შეძენა

2022 წლის 1 ივლისს კომპანიამ შეიძინა საქართველოში დაფუძნებული ბირჟაზე არარეგისტრირებული კომპანიის, შპს „კავკასუს ავტომოტივის" ხმის უფლების მქონე აქციების 90%. კომპანის ძირითადი საქმიანობაა ვოლვოს ბრენდის ავტომობილებით საცალო ვაჭრობა და მათი მომსახურება. ჯგუფმა აირჩია შენაძენში არამაკონტროლებელი წილების სამართლიანი ღირებულებით შეფასება.

2022 წლის 22 ივლისს კომპანიამ ასევე შეიძინა შპს „კავკასუს ავტომოტივის" აქციების 10%.

შეძენილი აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები

შპს „კავკასუს ავტომოტივის" იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეძენის თარიღისთვის იყო:

	შეძენისას აღიარებული სამართლიანი ღირებულება
აქტივები	
ძირითადი საშუალებები (მე-8 შენიშვნა)	31
ფულადი სახსრები და ნაშთები ბანკში	1,038
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8,813
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	3,243
გაცემული სესხები	9,499
წინასწარ გადახდილი თანხები	7
საგადასახადო აქტივები	168
	22,799
ვალდებულებები	
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	12,476
სახელშეკრულებო ვალდებულებები	1,445
ნასესხები თანხები	5,613
	19,534
სულ იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივები სამართლიანი ღირებულებით	**3,265**
შეძენისას წარმოქმნილი გუდვილი	38,803
გადაცემული კომპენსაცია	**42,068**

საწარმოთა გაერთიანების უპირველესი მიზეზი იყო ჯგუფის ავტომობილებისა და მასთან დაკავშირებული სერვისების საოპერაციო სეგმენტის შემდგომი გაფართოება და მოსალოდნელი სინერგიით სარგებლობა შეძენილი საწარმოსა და ჯგუფის ოპერაციების გაერთიანებიდან.

შპს აზტეხ თეგეტა მოტორსში დამატებითი ინტერესის შეძენა

2022 წლის 7 ივნისს კომპანიამ შეიძინა აზერბაიჯანში დაფუძნებული ბირჟაზე არარეგისტრირებული კომპანიის, შპს აზტეხ თეგეტა მოტორსის ხმის უფლების მქონე აქციების 25%. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სათადარიგო ნაწილებით საცალო ვაჭრობა. ჯგუფმა აირჩია შენაძენში არამაკონტროლებელი წილების სამართლიანი ღირებულებით შეფასება.

2022 წლის 22 ივლისს კომპანიამ ასევე შეიძინა შპს აზტეხ თეგეტა მოტორსის აქციების 25%.

6. საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი (გაგრძელება)

შპს აზტეხ თეგეტა მოტორსის იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეძენის თარიღისთვის იყო:

	შეძენისას აღიარებული სამართლიანი ღირებულება
აქტივები	
ძირითადი საშუალებები (მე-8 შენიშვნა)	501
არამატერიალური აქტივები	20
ფულადი სახსრები და ნაშთები ბანკში	510
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3,425
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	12,145
წინასწარ გადახდილი თანხები	141
	16,742
ვალდებულებები	
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	4,038
სახელშეკრულებო ვალდებულებები	45
გადასახდელი გადასახადები	1,490
ნასესხები თანხები	8,651
	14,224
ნასესხები თანხები	**2,518**
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არაკონტროლირებადი წილი	(632)
წინა პერიოდში ფლობილი აქციები	(632)
შეძენისას წარმოქმნილი გუდვილი	4,160
გადაცემული კომპენსაცია	**5,414**

ბიზნეს გაერთიანების უპირველესი მიზეზი იყო ჯგუფის საავტომობილო პროდუქტებისა და მასთან დაკავშირებული სერვისების საოპერაციო სეგმენტის შემდგომი გაფართოება და მოსალოდნელი სინერგიით სარგებლობა შეძენილი საწარმოსა და ჯგუფის ოპერაციების გაერთიანებით.

გუდვილი

ჯგუფმა აღიარა შემდეგი გუდვილი, რომელიც წარმოიშვა საანგარიშო პერიოდებში განხორციელებული საწარმოთა გაერთიანებებიდან:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
შპს კავკასუს ავტომოტივი	38,803	38,803
შპს ავტო გალერი	28,526	28,526
შპს თეგეტა ინთერნეიშენალი	11,104	11,104
შპს აზტეხ თეგეტა მოტორსი	4,160	4,160
სულ გუდვილი	**82,593**	**82,593**

6. საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი (გაგრძელება)

ჯგუფმა ჩაატარა გუდვილის გაუფასურების შემოწმება 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და თითოეული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შეძენის თარიღისთვის. თითოეული კომპანიისთვის მათი აღდგენითი ღირებულება და საბალანსო ღირებულება შედარდა, რათა დადგენილიყო, მოხდა თუ არა გუდვილის გაუფასურება. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრა გამოყენების ღირებულების გამოთვლების საფუძველზე. ეს გამოთვლები იყენებს ფულადი სახსრების ნაკადების პროგნოზებს, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ ფინანსურ პროგნოზებს, რომლებიც მოიცავს ხუთწლიან პერიოდს. შედეგად, გუდვილის გაუფასურებას ადგილი არ ჰქონია.

7. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ

მართვის მიზნებისთვის, ჯგუფი ორ საოპერაციო სეგმენტს მართავს: ავტომობილები და შესაბამისი მომსახურებები და საავტომობილო პროდუქტები და შესაბამისი მომსახურებები.

ჯგუფის შემოსავლის უმეტესობა საქართველოში გამომუშავდება, შესაბამისად, ინფორმაცია გეოგრაფიული ტერიტორიების შესახებ არ არის წარმოდგენილი.

სეგმენტებს შორის შემოსავლები გაიქვითება კონსოლიდაციისას და აისახება „შესწორებებისა და გაქვითვების" სვეტში.

ყველა კორპორატიული ხარჯი და შემოსავალი, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება არცერთ იდენტიფიცირებულ სეგმენტს, საავტომობილო პროდუქტებსა და დაკავშირებულ მომსახურებებზე გადანაწილდება.

თითოეულ ანგარიშვალდებულ სეგმენტთან დაკავშირებული ინფორმაცია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

	ავტომობილები და შესაბამისი მომსახურებები	საავტომობილო პროდუქტები და შესაბამისი მომსახურებები	სულ სეგმენტები	შესწორებები და გაქვითვები	კონსოლიდირებული
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან	1,196,213	643,975	1,840,188	(462,029)	1,378,159
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(992,630)	(564,146)	(1,556,776)	475,197	(1,081,579)
საერთო მოგება	**203,583**	**79,829**	**283,412**	**13,168**	**296,580**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(37,393)	(126,624)	(164,017)	38,461	(125,556)
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	(18,571)	(35,865)	(54,436)	20,568	(33,868)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	6,480	172,763	179,243	(169,228)	10,015
სხვა საოპერაციო ხარჯები	(5,303)	(6,368)	(11,671)	3,401	(8,270)
ფინანსური შემოსავალი	7,619	11,626	19,245	(8,645)	10,600
ფინანსური ხარჯები	(23,117)	(54,032)	(77,149)	8,707	(68,442)
წილი მეკავშირე საწარმოების ფინანსურ შედეგებში	–	–	–	69	69
საანგარიშგებო სეგმენტის 2023 წლის მოგება	**133,298**	**41,329**	**174,627**	**(93,499)**	**81,128**
სულ აქტივები	**601,614**	**703,573**	**1,305,187**	**(346,342)**	**958,845**
სულ ვალდებულებები	**469,428**	**586,465**	**1,055,893**	**(321,925)**	**733,968**

7. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ(გაგრძელება)

თითოეულ საანგარიშგებო სეგმენტთან დაკავშირებული ინფორმაცია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

	ავტომობილები და შესაბამისი მომსახურებები	საავტომობილო პროდუქტები და შესაბამისი მომსახურებები	სულ სეგმენტები	შესწორებები და გაქვითვები	კონსოლიდი-რებული
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან	702,198	655,304	1,357,502	(407,281)	950,221
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(591,968)	(579,056)	(1,171,024)	418,168	(752,856)
საერთო მოგება	**110,230**	**76,248**	**186,478**	**10,887**	**197,365**
			(125,144)		
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(24,619)	(100,525)		25,011	(100,133)
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	(13,096)	(28,876)	(41,972)	15,103	(26,869)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	6,447	116,834	123,281	(108,586)	14,695
სხვა საოპერაციო ხარჯები	(1,791)	(4,289)	(6,080)	462	(5,618)
ფინანსური შემოსავალი	1,799	11,033	12,832	(4,995)	7,837
ფინანსური ხარჯები	(10,353)	(42,444)	(52,797)	6,468	(46,329)
წილი მეკავშირე საწარმოების ფინანსურ შედეგებში	–	–	–	66	66
საანგარიშგებო სეგმენტის 2022 წლის მოგება	**68,617**	**27,981**	**96,598**	**(55,584)**	**41,014**
სულ აქტივები	**388,103**	**703,668**	**1,091,771**	**(289,758)**	**802,013**
სულ ვალდებულებები	**290,396**	**615,024**	**905,420**	**(273,265)**	**632,155**

8. ძირითადი საშუალებები

მოძრაობები ჯგუფის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში იყო შემდეგი:

